გამოიცემა 1934 წლიდან

№229 (12 604) 30 სექტემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ხიზანიშვილი ზოლასთან?

ვესტ ჰემი რაღაცას აპირებს

»»» 3

# ბაიერნის მძიმე დღეები

ჩემპიონთა ლიგა » 7

გერმანული გრანდის კრიზისი » 10




თუ დღეს კლინსმანმა ლიონი ვერ დაამარცხა...



# გაისად, აგვისტოში

»»» 13

# მესიმ ეტოოს გოლი მოჰპარა

»»» 9



# ასათიანი სიმბოლურში და თურქეთში



რას ფიქრობს კალაძე საარჩაკზე?

ქართული ფეხბურთი

»»» 2-6



ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17. ევროპის ჩემპიონატი

# პლეი ოფის მოლოდინში

## რას გვიქადის ოქტომბერი?



როგორც გუშინ გაუწყეთ, 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჩვენი ნაკრები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ **გელა შეყილაძის** გუნდმა ჯგუფურ რაუნდში მასპინძელ უნგრეთთან 2:2 ფრე ითამაშა, ჩეხეთთან 2:3 დამარცხდა და ბოსნიას 1:0 მოუგო. აქვე ალვნიშნავთ იმასაც, რომ გუშინწინდელი შეცდომა უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ გამოასწორა - აქამდე ეს საიტი გვამცნობდა, რომ დასკვნით ტურში ბოსნიამ საქართველოს 1:0 მოუგო.

11 ჯგუფიდან ორ-ორი გამარჯვებული ავტომატურად ხვდება ელიტრაუნდში. მათ ასევე ემატება ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი. ჯგუფში მოგროვებული ქულებისა და პირველ-მეორე ადგილებზე გასულ გუნდებთან გატანილი ბურთების მიხედვით შეირჩევა. თუ ქულების დარად გატანილი ბურთებიც თანაბარია, მაშინ მიღებულ გოლებს შეადარებენ. იმასაც ვწერდით, რომ ჯგუფური რაუნდის მატჩები 28 ოქტომბერს დასრულდება. მანამდე ზუსტად ოთხი კვირა დარჩა. თუმცა რამდენიმე ჯგუფში უკვე ჩატარდა სამივე ტური და ვნახოთ, რა შანსები აქვს ჩვენს 17-წლამდელთა ნაკრებს.

მაშ ასე, ჩვენს 17-წლამდელებს 4 ქულა და ელიტრაუნდში გასულ გუნდებთან 4 გატანილი (ბოსნიასთან გატანილი გოლი არ გვეთვლება) და 5 მიღებული ბურთი აქვს. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რა შედეგები აქვს სხვა ჯგუფებში მესამეზე გასულ ნაკრებებს.

პირველ ჯგუფში მესამეადგილოსან ჩრდილოეთ ირლანდიას სამი ქულა აქვს და ამ გუნდს ვჯობივართ. მეორე ჯგუფში იგივე მაჩვენებელი აქვს ისრაელს და მასაც ვუსწრებთ. ასევე სამი ქულის ამარად არიან მეოთხე ჯგუფში ყაზახეთი, ხოლო მერვეში ბულგარეთი. მეათე ჯგუფში მაკედონიას სულაც ორი ქულა აქვს.

ასე რომ, ხუთი ჯგუფის ვერცერთი მესამეადგილოსანი ქულებით ვერ გვჯობს. ათი ჯგუფიდან კიდევ 5 ჯგუფშია ჩასატარებელი მატჩები. კიდევ ოთხ მესამეადგილოსანს უნდა ვაჯობოთ. ვნახოთ, თუ რას გვიქადის გასამართი მატჩები.

**დავით ცაბაძე**



მალხაზ ასათიანი

ლეგიონერი

# ასათიანი სიმბოლურში და თურქეთში

საქართველოს ნაკრების მცველმა **მალხაზ ასათიანმა**, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივიდან" კიევის „დინამოშია" განათხოვრებული, უკრაინელთა გუნდში მეორე მატჩი ჩაატარა და გამორჩეულთა შორისაც მოხვდა. „დინამომ" გასულ უქმეებზე „კრივბასი" შინ 3:0 დაამარცხა, მეშვიდე მოგება მიითვალა და დონეცკის „მეტალურგთან" ერთად ცხრილის სათავეშია. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ჩატარებულ შეხვედრაში ასათიანი ნახევარდაცვის ცენტრში გაამწესეს. მალხაზმა 90 წუთი ითამაშა. უკრაინულმა ვებგვერდმა „ფუტბოლმა" ასათიანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

*„კიეველთა ქართველმა დებიუტანტმა მეტოქის შეტევებისას, ბარტულოვიჩისა და ლიულიუკას მიერ გაკეთებული სახიფათო პასები ჩაჭრა და მწვავე იერიშები ჩაშალა. „კრივბასის" მეტოქე კიევის „დინამოზე" სუსტი გუნდი რომ ყოფილიყო, ეს გადაცემები გოლით დასრულდებოდა", - იუწყება „ფუტბოლი".*

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მეორე ტურის მატჩები კი დღეს იწყება. კიევის „დინამოს" „ფერნერბაჰჩე" უმასპინძლებს. კიეველები სტამბოლში 21 ფეხბურთელით ჩაფრინდნენ. ბუნებრივია, მათ შორისაა მალხაზ ასათიანიც.

**დავით ცაბაძე**

საქართველო-ბულგარეთი. მეტოქე

# ბულგარელთა სათბილისო ოცეული ცნობილია

## ტომაშიჩმა მარკოვის ნაკრები იუარა



პლამენ მარკოვი

11 და 15 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი ტურის მატჩები გაიმართება. ექტორ კუპერის გუნდი ჯერ კვიპროსის, მერე კი ბულგარეთის ნაკრებებს უმასპინძლებს. ბულგარელები ჩვენამდე 11-ში იტალიას სოფიაში შეხვდებიან. ბულგარელთა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პლამენ მარკოვმა** ამ ორი თამაშისთვის სანაკრებო შემადგენლობა გუშინ დაასახელა:

მეკარეები: **დიმიტარ ივანკოვი (ბურსა), გეორგი პეტკოვი (ლევსკი);**

მცველები: **ჟივკო მილანოვი (ლევსკი), სტანისლავ მანოლევი (ლიტექსი), ვალენტინ ილიევი (ტერეკი), ალექსანდრ ტუნჩევი (ლესტერი), ივან ივანოვი (ცსკა ს.), ლუსიო ვაგნერი (ლევსკი), მიხაილ ვენკოვი (ლიტექსი);**

ნახევარმცველები: **სტილიან პეტროვი (ასტონ ვილა), სტანისლავ გენჩევი (ვასლუი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი), სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი),ველიზარ დიმიტროვი (მეტალურგი დ. უკრაინა), ბლაგოი გეორგიევი (სლავია);**

თავდამსხმელები: **იველინ პოპოვი (ლიტექსი), მარტინ პეტროვი (მანჩესტერ სიტი), ზდრავკო ლაზაროვი (ცსკა), დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი);**

როგორც ხედავთ, მარკოვის სიაშია „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი **მარტინ პეტროვი**, რომელიც 28 აგვისტოს დანიურ „მიდტიულანდთან" უეფას თასის მატჩში დაშავდა. პეტროვის თამაში ჯერჯერობით საეჭვოა, მაგრამ მარკოვი ამ ფეხბურთელის სხვით ჩანაცვლებას არ ჩქარობს.

ბულგარელთა თავკაცმა „ლევსკის" ხორვატ მცველ **იგორ ტომაშიჩს** ოფიციალურად შესთავაზა ბულგარეთის მოქალაქეობის მიღება და ეროვნულ გუნდში თამაში. სხვათა შორის, ტომაშიჩს „ლევსკიში", ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლნისის „სიონთანაც" უთამაშია. ტომაშიჩს მარკოვის წინადადებაზე ბევრი არ უფიქრია და ბულგარეთის ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

**დავით ცაბაძე**

# ხიზანეიშვილი იმედგაცრუებულია



ოთარ ხიზანეიშვილი

საამსეზონოდ ჯერ საქმეები კარგად არ მისდით **ოთარ ხიზანეიშვილს** და მის ახალ გუნდ „აუგსბურგს". თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში ექვსი ტურის შემდეგ „აუგსბურგი' მე-16 ადგილზეა, ხოლო მისი ქართველი მცველი ოდენ ორჯერ გავიდა მოედანზე.

27 წლის ხიზანეიშვილს ეროვნულ ნაკრებში 19 მატჩი უთამაშია და კვლავაც საინტერესო ფეხბურთელი ეთქმის ეროვნული გუნდისთვის, მაგრამ...

*„წელის კუნთი მტკიოდა და ერთი მატჩის განაცხადშიც ამიტომ არ ვიყავი, ახლა ჯანზე ვარ და ვუცდი, მწვრთნელი როდის მათამაშებს"* - გვითხრა ხიზანეიშვილმა.

წინა სეზონში ოთარი „ფრაიბურგის" ფეხბურთელი იყო და ბადენვიურტემბერგელთა დამრიგებელი **რობინ დუტი** მას არ ათამაშებდა, არ აძლევდა საშუალებას, კონკურენცია გაეწია სხვა მცველებისთვის.

„აუგსბურგს" გამოცდილი **ჰოლგერ ფახი** წვრთნის, რომ არა მისი სურვილი, ხიზანეიშვილი „აუგსბურგში" ვერ მოხვდებოდა, თუმც ჩვენებური ჯერაც ვერ „ჩაჯდა" გუნდის ძირითადში.

*„მთელი მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად გავიარე, საკონტროლო მატჩებიც ვითამაშე, მაგრამ რაც სეზონი დაიწყო, ფაქტობრივად, შანსის მოლოდინში ვარ. არადა, გუნდს კარგი შედეგი არ აქვს, მწვრთნელმა ვერ ააწყო საქმე, მაგრამ შემადგენლობის შეცვლა არ უნდა, სულ ერთსა და იმავე ხალხს ათამაშებს"* - გაკვირვებული და უკმაყოფილოა ხიზანეიშვილი.

*„მქონდა თურქულ „ქაისერისფორში" გადასვლის ვარიანტი, მაგრამ „აუგსბურგი" სხვა ფაქტორების გარდა იმიტომ ავირჩიე, რომ დამარწმუნეს, მწვრთნელს სჭირდებიო,"* - გულმოსულია ბავარიელთა ჩვენებური მცველი.

მაშ, სულ მოლოდინში უნდა იყოს ხიზანეიშვილი?

*„რა თქმა უნდა, ძნელია შეგუება ასეთ სიტუაციასთან. „აუგსბურგში" ჩემთან ერთად ბელარუსი მეკარე ვასილ ხომუტოვსკიც გადმოვიდა. ის კარგი ადამიანი და ასეთივე ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ მასაც არ ათამაშებენ. ფახმა დაინახა რა, რომ მე და ხომუტოვსკი ვმეგობრობთ, ორივეს ერთად გვიხმო და გვითხრა, თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მოგცემთო. თუმც ჯერაც გაურკვეველია, წავა თუ არა ფახი თავისებურ რისკზე და შეცვლის გუნდის შემადგენლობას"* - გვითხრა ხიზანეიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

ნომრის მორიგე რედაქტორი
**შალვა ბიბილაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან

# თავს ნუ მოვიტყუებთ

## ვინც თავის ფულს ხარჯავს, სწორად იქცევა



**„გაგრამ“ უმაღლესი ლიგა რიხით დაიწყო. პირველ ტურში თბილისის „დინამო“ დაამარცხა 2:1. სამი ტურის შემდეგ კი მესამე ადგილზეა, რაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის საკმაოდ კარგი შედეგია.**

**„გაგრა“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია და თავის კოზირები აქვს - განსაკუთრებული ჟინი და ყმაწვილური ენერგია. ამის გარდა, გუნდის შედეგს მნიშვნელოვანად განაპირობებს მწვრთნელის ფაქტორიც.**

**ვლადიმერ ხაჩიძე გამოცდილი სპეციალისტია. ის ახლგაზრდებთან მუშაობაშიც კარგად უნდა იყოს განაფული - რამდენიმე წელი „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობდა და შეიძლება ითქვას, რომ „გაგრა“ და „ვიტ ჯორჯია“ საკლუბო პოლიტიკით ძალიან გვანან ერთმანეთს.**

**„ლელოს“ კითხვებს ვლადიმერ ხაჩიძე პასუხობს.**

**- რამდენად ელოდით თქვენი გუნდის ასეთ სტარტს? ასეთი შედეგი კანონზომიერად მიგაჩნიათ?**

- სიმართლე გითხრათ, არ გვქონდა დაგეგმილი სამი ტურის შემდეგ ასეთი შედეგი, ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. გამაკვირვა იმანაც, რომ წამყვანი გუნდები ამ ეტაპზე არ არიან კარგად მომზადებულები - ამ ფაქტორმაც გამოიწვია ის, რომ ახლა მესამე ადგილზე ვართ.

**- თქვენი გუნდის მომზადების დონით კმაყოფილინ ხართ?**

- არც ჩვენ ვართ ძალიან კარგად მზად, „გაგრა“ ძიების პროცესშია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ წამყვან გუნდებს მომზადებისთვის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ.

**- „გაგრის“ მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილი ხართ?**

- მუხრანში ვვარჯიშობთ. სავარჯიშო პირობებს ნორმალური ეთქმის, ოღონდაც წვიმის დროს ჭირს.

**- „გაგრა“ მაშინ ჩაიბარეთ, ჩემპიონატისთვის მზადება უკვე დაწყებული რომ ჰქონდა და სეზონი სათასო თამაშებით ჰქონდა გახსნილი. ალბათ საკმარისი დრო არ გქონდათ, თქვენი იდეები ბოლომდე მიგეტანათ ფეხბურთელებამდე, თქვენი შეხედულებისამებრ გეწარმოებინათ მოსამზადებელი ეტაპი.**

- მას შემდეგ, რაც „გაგრაში“ მივედი, არც ერთი ფეხბურთელი არ დაგვიმატებია, უბრალოდ რამდენიმე მოთამაშე გადავიყვანეთ მეორე გუნდში. „გაგრას“ ფიზიკური მომზადების პიკი უკვე გავლილი ჰქონდა და აქცენტი ტაქტიკურ ვარჯიშებზე და გადავიტანეთ. ომიანობის გამო მოსამზადებელი ციკლი ჩავარდა. ახლა ნელ-ნელა ვცდილობთ სწორი ფეხბურთის თამაშს.

**- და როგორია ვლადიმერ ხაჩიძის შეხედულება სწორ ფეხბურთზე?**

- ფეხბურთელებმა პირველ რიგში ორთაბრძოლის მოგება უნდა ისწავლონ, მერე კი შეტევაში გადასვლისას ყველამ უნდა იცოდეს, რა და როგორ გააკეთოს.

**- სამი თამაში ანალიზისთვის ცოტაა, მაგრამ მაინც რა დაგანახათ პირველმა სამმა ტურმა - „გაგრა“ რომელი ადგილებისთვის შეძლებს ბრძოლას?**

- ჯერ მაინც ადრეა ამაზე ლაპარაკი. როგორც უნდა იყოს, პატარა სასიკეთო ძვრებს უკვე ვხედავ. „გაგრა“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია და ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილება აკლიათ, გარდა ამისა, ძალიან მოკლე სკამი გვაქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ სეზონში „გაგრას“ მაინც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა.

**- „გაგრის“ საკლუბო სტრატეგია „ვიტ ჯორჯიისას“ ჰგავს. ეს მკაცრად განსაზღვრული გეზია?**

- აქცენტი ახალგაზრდებზეა აღებული, გვინდა, დონორი კლუბი ვიყოთ, სხვა გუნდებისთვის ფეხბურთელების მიმწოდებელი. მიმაჩნია, რომ საქართველოში ახლა ასეთი საკლუბო პოლიტიკაა ყველაზე ოპტიმალური. საქართველოში ჯერ არის საიმისო სიტუაცია და პირობები, რომ ჩვენი გუნდები საკლუბო დონეზე რაღაცას ჩაებღაუჭონ.

**- „დინამო“, „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „ლოკომოტივი“... მიგაჩნიათ, რომ ამ კლუბების მიერ დახარჯული ფული ფუჭია?**

- თავის მოტყუება იქნება იმის თქმა, რომ ეს გუნდები ევროსარბიელზე რაღაცას მიაღწევენ. ვინც თავის ფულს ხარჯავს, ის სწორ პოლიტიკას ატარებს, ხოლო ვინც ვიღაცის ფულს ხარჯავს, იმას სულ სხვა სტრატეგია აქვს.

**- თავის ფულს ხარჯავს „ლოკომოტივი“, რომელმაც აიყვანა რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი - ასეთი ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატს რომ დაუბრუნდნენ, ეს არ არის საქმე? ფეხბურთს პირველ რიგში გულშემატკივრისთვის თამაშობენ და ქომაგსაც ის უნდა, მოედანზე კარგი ფეხბურთელები იხილოს...**

- ძალიან კარგია, ასეთი ფეხბურთელები რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ ჩემპიონატს, მაგრამ ისინი ცოტანი არიან და ამინდს ვერ შექმნიან. არ უნდა იყოს ფეხბურთელთა მასობრივი გადინება, მაგრამ ამის შეჩერება ჯერ შეუძლებელია. ქართულ ფეხბურთში დიდი ფული თუ არ ჩაიდო, საკლუბო დონეზე ღირებულს ვერაფერს მივაღწევთ.

**- „გაგრაში“ თუ ხედავთ სატრანსფეროდ საინტერესო ახალგაზრდებს?**

- ჩვენთან არის ხუთი-ექვსი ისეთი ახალგაზრდა, დიდი პერსპექტივა რომ აქვს, მაგრამ ისინი ჯერ უნდა დაკაცდნენ, მათ დრო სჭირდებათ, მინიმუმ ერთი-ორი წელი მაინც. კონკრეტულად კი არ მსურს ვინმეს გამორჩევა.

**- „გაგრამდე“ არაერთ გუნდში გიმუშავიათ. როგორ ფიქრობთ, ყველაზე ნაყოფიერად სად გამოგივიდათ ეს?**

- ძალიან საინტერესო იყო „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობა, იქაც ხომ ახალგაზრდული გუნდი გვყავდა. მერე წავედი „ბორჯომში“ და პირველი წელიწადნახევარი იქაც ნაყოფიერად ვიმუშავე, კარგი სამუშაო პირობები იყო და ჩემ საქმეშიც არავინ ერეოდა. დიდ პოტენციალს ვხედავ „გაგრაში“. კლუბის სტრატეგია სწორია და იმედი მაქვს, წარმატებაში ჩემს წილ აგურსაც დავდებ.

**- თქვენი სამწვრთნელო განათლების საქმე რა ეტაპზეა?**

- ალბათ იცით, რომ კიევში ვსწავლობ პროფლიცენზიის ასაღებად. ეს ძალიან საინტერესოა, პრაქტიკული მეცადინეობაც გვაქვს, ათი დღით ვიყავით გერმანიაში „შტუტგარტის“ ვარჯიშების დასაკვირვებლად და იქიდან მნიშვნელოვანი სამწვრთნელო მასალა ჩამოვიტანე. ნოემბერში დიპლომს უნდა დავიცვა, დეკემბრის ბოლოს კი კიევში გამოცდის ჩასაბარებლად უნდა ჩავიდე.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# კალაძემ სპარტაკი გამორიცხა

### კაპიტანი კონტრაქტს გააგრძელებს



სამიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც **კახა კალაძის** გადაბირებით მოსკოვის „სპარტაკის“ ახალი თავკაცი **მიკაელ ლაუდრუპია** დაინტერესებული. უფრო მეტიც, სააგენტოთა მტკიცებით კალაძე ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას მოსკოვურ კლუბს მიაშურებს. კალაძეზე სხვა ჭორები გაუღერდა - საქართველოს ნაკრების კაპიტნით გაძლიერება „ვოლფსბურგსა“ და „ევერტონს“ უნდათო. ბუნებრივია, ეს ხმები კალაძემდეც მივიდა და გუშინ კახამ ამ საკითხზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

*„ეს მხოლოდ სულელური ვერსიაა. ხაზგასმით ვაცხადებ, ეს ჭორია. „მილანთან“ კიდევ სამი წლით მაკავშირებს კონტრაქტი და ჩემს უახლოეს გეგმებში კლუბის შეცვლა ნამდვილად არ შედის. უფრო მეტიც, ალბათ, მალე კიდევ ერთხელ გავახანგრძლივებ კონტრაქტს“*, - განმარტა კახა კალაძემ.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ხიზანიშვილი ვესტ ჰემს სურს

### ძოლა ვაჭრობას 750 ათასიდან იწყებს



საქართველოს ნაკრების მცველ **ზურაბ ხიზანიშვილით** გაძლიერება „ვესტ ჰემმა“ ჩაიფიქრა. ეს ცნობა გუშინ „მირორმა“, „გარდიანმა“ და სხვა პოპულარულმა ბრიტანულმა წყაროებმა გაავრცელეს. ამ ტრანსფერის ინიციატორი კი „ვესტ ჰემის“ მთავარი მწვრთნელი **ჯანფრანკო ძოლაა.**

*„ზურაბ ხიზანიშვილს პოლ ინსის „ბლექბერნში“ ჯერ მხოლოდ ორ მატჩი აქვს ნათამაშები. შესაბამისად, საქართველოს ნაკრების მცველისა და „ვესტ ჰემის“ ინტერესები თანხვედრი უნდა იყოს. ანტონ ფერდინანდისა და ჯორჯ მაკარტნის წასვლის შემდეგ ჯანფრანკო ძოლას გადაწყვეტილი აქვს, გუნდი ხიზანიშვილით გააძლიეროს. უფრო მეტიც, ქართველი მცველის სანაცვლოდ იტალიელი 750 ათასი ფუნტიდან იწყებს ვაჭრობას. „ვესტ ჰემის“ თავკაცს იანვრის დასაწყისში, სატრანსფერო პერიოდის გახსნისთანავე უნდა ხიზანიშვილის გადაბირება. მას სჯერა, რომ ქართველი მომდევნო წლიდან უკვე „აპტონ პარკზე“ ითამაშებს“*, - ნათქვამა ზემოთ ნახსენებ ინფორმაციაში.

**დავით ცაბაძე**

# ყენია დუბლებში, საგოლე პასით



ბურთით ლევან ყენია

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ლევან ყენიამ** გერმანიაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. მართალია, ეს „შალკეს“ მეორე გუნდში მოხდა, მაგრამ მაინც ალსანიშნავია. „შალკეს“ დუბლებმა „ლევერკუზენის“ რეზერვისტები სტუმრად 2:0 დაამარცხეს. ამ მოგებით „ხუმარებმა“ 9 ქულა დააგროვეს და „ფერლისთან“ ერთად მეშვიდე-მერვე ადგილს იყოფს დასავლეთ რეგიონალლიგაში.

„ლევერკუზენის“ მეორე გუნდთან ყენიამ სრულად ითამაშა. „შალკეს“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩვენებურმა საგოლე პასი მიითვალა. 90-ე წუთზე **ტრაუფეტერმა** ქართველის იშვიათი პასი შეირგო და საბოლოო ანგარიში, 2:0 დააფიქსირა.

**დავით ცაბაძე**

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

III ტურის მიმოხილვა

# სასიამოვნო და უსიამოვნო ტენდენციები



ლოკომოტივი-დინამო 1:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ხუთი** შეხვედრიდან სამი მოულოდნელი შედეგით რომ დასრულდება, იმ ტურს სენსაციური არ უნდა ვუწოდოთ? აი, ასე - უცნაურად და დამაინტრიგებლად დაიწყო საიუბილეო ჩემპიონატი; ერთადერთი, რაზეც გული გვწყდება, ნაკლები შედეგიანობაა - მესამე ტურში ჩატარებულ ხუთ მატჩში მხოლოდ ხუთი გოლი გავიდა. სტადიონებზე გულშემატკივრების სიმცირეზე (ზესტაფონის გარდა) აღარაფერს ვამბობთ - ამ არასასიამოვნო ტენდენციას უკვე დიდი ხანია მივეჩვიეთ. ახლა კი სენსაციებითა და მოულოდნელობებით აღსავსე მესამე ტურზეც ვისაუბროთ.

## გაუთავებელი შეხვედრები, შეკრებები...

საიუბილეო ჩემპიონატის ერთ-ერთმა აშკარა ფავორიტმა „ზესტაფონმა" სეზონი ორი ურთულესი გასვლითი მატჩით დაიწყო. **თემურ მახარაძის** გუნდმა ამბიციები იმ ორივე შეხვედრაში დაადასტურა და ქვემო ქართლიდან ოთხი ქულა წამოიღო. აქედან გამომდინარე, „მესხეთთან" საშინაო მატჩში უპირობო ფავორიტად ითვლებოდა; მაგრამ ფეხბურთში ხშირად ბევრი რამ ლოგიკას არ ექვემდებარება: „მესხეთმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს და უფრო მეტიც - ახალციხეში სამი ქულით დაბრუნდა! გასაგებია, რომ „ოლიმპთან" და „სიონთან" უმძიმესი მატჩების მერე „ზესტაფონის" ფეხბურთელებს შედარებით სუსტ მეტოქესთან სათანადო განწყობა არ ექნებოდათ; შესაძლოა, მართლაც გადაღლილები იყვნენ, მაგრამ „ზესტაფონის" ერთ-ერთი კოზირი ხომ საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამია (თანაც, ამით ყველა კონკურენტთან აშკარა უპირატესობა აქვს). ნურც იმ უმნიშვნელოვანეს ნიუანსს დავივიწყებთ, რომ „მესხეთი" მატჩის ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში რიცხობრივ უმცირესობაში იყო; თუმცა მასპინძლებმა ვერც ეს ფაქტორი შეირგეს, უამრავი საგოლე მომენტი გააცუდეს და... პენალტიც ვერ გამოიყენეს! ამ ყველაფრის მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ სტუმრებმა დაუმსახურებლად გაიმარჯვეს - **კობა თედიაშვილის** გუნდმა მერამდენედ დაამტკიცა, რომ „მესხეთთან" იოლ გასეირნებას არავინ უნდა ელოდოს. ამ გუნდში საკმაოზე ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია და თითოეულმა მათგანმა მწვრთნელის დავალება პირნათლად შეასრულა. ერთადერთი, რამაც ოდნავ გააუფერულა ახალციხელთა წარმატება, გუნდის ახალწვეულის - **შოთა გრიგალაშვილის** გაძევება იყო. ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ ფეხბურთის თამაში ნამდვილად იცის, თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ უფრო ნაკლები ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონოდა.

...მატჩის შედეგზე არანაკლებ მოულოდნელად მოგვეჩვენა „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძის განცხადებაც. გამოცდილმა მწვრთნელმა საკუთარი გუნდის მარცხის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად გადაღლილობა და „რაღაც შეკრებები" ახსენა. უთუოდ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ექტორ რაულ კუპერის** მიერ ჩატარებულ ღია ვარჯიშს გულისხმობდა. იმ ვარჯიშზე „ზესტაფონის" ოთხი ფეხბურთელი (**როინ კვასხვაძე, უჩა ლობჟანიძე, მურთაზ დაუშვილი, ბექა გოცირიძე**) იყო მიწვეული და განსაკუთრებულად არავინ დატვირთულა. ასეც რომ ყოფილიყო, „მესხეთთან" მატჩამდე ოთხი დღე იყო დარჩენილი; რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ზემოთ ნახსენებ საკმაოდ გრძელ სათადარიგოთა სკამზე. არა უშავს - „ზესტაფონს" მეოთხე ტურში დასვენება უწევს და ასე დასვენებული დაელოდება ბოლო წლების უპრინციპულესი მეტოქის - თბილისის „დინამოს" სტუმრობას...

## კანონზომიერი მოულოდნელობა

...2002 წლის 10 ნოემბერს **ლუის ცაკარიასის** „ლოკომოტივმა" **დათო სირაძის** ერთადერთი გოლით **ივო შუშაკის** „დინამოს" მოუგო. მას მერე მეტოქეები თექვსმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და „ლოკომოტივი" ვერაფრით ახერხებდა თანაქალაქელებთან გამარჯვებას. და აი, მეჩვიდმეტე ცდა წარმატებული აღმოჩნდა: ახალგაზრდა მწვრთნელების დუეტმა (**გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძე**) მრისხანე მეტოქესთან მატჩში აბსოლუტურად სწორი ტაქტიკა და სტრატეგია აირჩია. „დინამოს" რომ ფლანგებს გადაუკეტავ, 90 წუთის განმავლობაში უმკაცრესი პრესინგით ეთამაშები და ამას ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობაც დაემატება, ეს უკვე თითქმის გამარჯვების საწინდარია. მიმოხილვის დასაწყისში სენსაციები რომ ვახსენეთ, „ლოკომოტივი"-"დინამოს" მატჩის შედეგზე თან - ითქმის, თან - არა; რა თქმა უნდა, წინა სეზონთან შედარებით, „ლოკომოტივს" აბსოლუტურად სხვა მიზნები აქვს, მაგრამ „დინამოსთან" შეხვედრაში ფავორიტად ძნელად თუ ვინმე მოიაზრებდა. მით უმეტეს, რომ მოქმედმა ჩემპიონმა სასტარტო მატჩში წაგების მერე თამაშის ხარისხი აშკარად გამოასწორა. თუმცა „დინამომ" ვერაფერი მოუხერხა თავგანწირვით მოასპარეზე მასპინძლებს - უამრავი მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდნენ. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა ზოგიერთ დინამოელს ბურთთან განშორება უჭირდა - არადა, ამ დროს პარტნიორები ბევრად უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ. და მთავარიც - ჩინებულად ითამაშა „ლოკომოტივის" მეკარემ **გიორგი ლომაიამ**, სულ მცირე, სამ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარა გოლს რომ გადაარჩინა. ლომაიაზე გუშინაც ბევრი ვისაუბრეთ და მხოლოდ ერთს დავამატებთ: „ლოკომოტივი"-"დინამოს" მატჩს ექტორ კუპერი ესწრებოდა!

...მატჩის შემდეგ „დინამოს" გერმანელი მწვრთნელი **რაინერ ცობელი** უილბლობასა და საკუთარი გუნდის თავდამსხმელთა გამოუცდელობაზე წუხდა. ჩვენი აზრით, მარტო ეს ორი ფაქტორი არ იყო „დინამოს" წაგების მიზეზი; ისიც უცნაურად გვეჩვენება, რომ მოქმედ ჩემპიონს ერთობ მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს...

...წინა ცხრამეტ ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, როცა „დინამომ" პირველ სამ ტურში ორი მატჩი წააგო: 1999-2000 წლების სეზონში...

## საპატიო სტუმრები და უპატიებელი ფრე

მესამე ტურის მესამე მოულოდნელობა „სიონის" ვერგამარჯვება იყო; შემადგენლობითა და პირობებით ბოლნისური კლუბი თუ არ აღემატება, არავის ჩამორჩება. თუმცა ახალ სეზონში აშკარად არასახარბიელო სტარტი აიღო - სამ მატჩში ოთხი ქულა ასეთი ამბიციური გუნდისთვის ვერაფერი შედეგია. ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, თუ ვისთან ითამაშა „სიონმა" - „ბორჯომი" ხომ ჩემპიონატის ერთ-ერთი უსუსტესი გუნდია. ეგ კი არა, ზოგის აზრით, „ბორჯომს" ზამთრის შესვენებამდე კინკილა ქულის მოპოვება უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ახალბედა მწვრთნელის **გიორგი სუხიაშვილის** შეგირდებმა ეს „პრობლემა" ნაადრევად გადაჭრეს. არადა, ერთი შეხედვით, „სიონს" დაუგეგმავი ქულების დაკარგვის უფლება არ აქვს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ **ოთარ კორღალიძის** გუნდის უამრავი ცნობადი ახალწვეული ერთმანეთში მალე შეთამაშდება და ეს ყველაფერი შედეგზეც აისახება. ამ მატჩზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ ეს იყო „ბორჯომისა" და „სიონის" პირველი საყაიმო ანგარიში ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ისტორიაში. ხოლო ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ კუპერი ბორჯომში ჩავიდა და თამაშს ტრიბუნიდან (ანუ, ჩვეულებრივ ქომაგებთან ერთად) უცქირა, უკვე ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია, ისე, როგორც ქვემო ქართლის გუბერნატორის **დავით კირკიტაძის** სტუმრობა ბორჯომში...

## შეცვლების ფასი

ტურის დარჩენილ ორ შეხვედრაში, ასე თუ ისე, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა; თუმცა ვერავინ იტყვის, რომ „გაგრამ" ან „ვიტ ჯორჯიამ" თავიანთი მატჩები უბრძოლველად მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრაში თავი შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს; უფრო მეტიც - სწორედ მათი უდიდესი ძალისხმევით მოხდა ორივე მატჩში გარდატეხა. თანაც, ორივეჯერ ახალგაზრდა ნახევარმცველები მოექცნენ ყურადღების ცენტრში: **ზამორ დათუნაშვილი** („გაგრა") და **გიორგი კვალინიძე** („ვიტ ჯორჯია"). ეს უკანასკნელი ზედიზედ მეორე ტურია, შეცვლაზე შემოდის და ერთიმეორეზე ეფექტური საჯარიმო დარტყმებით „ვიტ ჯორჯიასთვის"უძვირფასესი ქულები მოაქვს. ეს გამარჯვება **ნესტორ მუმლაძის** გუნდისთვის ზედიზედ მესამე იყო და საიუბილეო მეოცე ჩემპიონატს სრულიად დამსახურებული ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ასევე დამსახურებულად უკავია სატურნირო ცხრილში საპატიო მესამე ადგილი დებიუტანტ „გაგრას" - ახალგაზრდული გუნდი კვლავაც ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ისე, დღეს მეოთხე ტური იწყება და „გაგრა" რომ „ბორჯომს" უნდა ესტუმროს, აქაც არის ინტრიგა: **ვლადიმერ ხაჩიძე** თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ!

## ტურის მწვრთნელ(ებ)ი

„მესხეთმა" სტუმრად „ზესტაფონი" დაამარცხა - როგორ შეიძლება, რომ ახალციხელთა მთავარ მწვრთნელს **კობა თედიაშვილს** ამაგი „წყალში ჩავუყაროთ"? თანაც, ასეთ მრისხანე მეტოქესთან მატჩის ბოლო ნახევარი საათი ათი კაცით რომ ითამაშებ და მასპინძელთა შეტევებსაც გაუძლებ, არ არის პატარა ამბავი.

მეორე მხრივ, „ლოკომოტივის" გამარჯვებასაც გვერდს ვერ ავუვლით; მით უმეტეს, როცა საქმე „დინამოსთან" მოგებულ შეხვედრასთან გვაქვს. ზემოთაც აღვნიშნეთ - „ლოკომოტივის" მწვრთნელებმა მეტოქე კოლეგას ტაქტიკური „დუელი" მოუგეს. ანუ, ის შემთხვევაა, როცა ტურში ერთდროულად ორი ნომინანტი მწვრთნელი გვყავს: **კობა თედიაშვილი** („მესხეთი") და **გიორგი კიკნაძე** („ლოკომოტივი").

## III ტურის სიმბოლური ნაკრები




## ტურის ფეხბურთელი: ლევან ცქიტიშვილი

„ლოკომოტივი"-"დინამოს" მატჩი მესამე ტურის მშვენება იყო; განსაკუთრებით შთამბეჭდავი სანახავი მეორე ტაიმი გამოდგა, როცა ორივე გუნდმა ტემპს მოუმატა და მოედანზეც უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. „დინამოს" ბევრი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ იხეირა; აი, „ლოკომოტივმა" კი ანგარიში გახსნა და... „ერთი მსახიობის თეატრიც" ვნახეთ! მასპინძელთა კაპიტანს **ლევან ცქიტიშვილს** საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე, ჩვენთან თუ უცხოეთში, არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაუტარებია; თუმცა ერთ-ერთი განსაკუთრებული, ალბათ, 27 სექტემბრის წვიმიან საღამოს იყო: ცქიტიშვილმა თავის ბევრ ახალგაზრდა კოლეგას დაანახვა, თუ როგორ უნდა თამაშობდეს თანამედროვე სტილის ცენტრალური ნახევარმცველი! მერე რა, რომ ორ კვირაში 32 წელი შეუსრულდება - ოსტატობას ასაკი ვერაფერს უზამს.

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2. ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 4. ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 5. სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 6. მესხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 7. დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 8. მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 9. ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 10. ბორჯომი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**IV ტური**

**30 სექტემბერი, სამშაბათი**

16:00 ბორჯომი-გაგრა
16:00 სიონი-მესხეთი

**1 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

15:00 მგლები-სპარტაკი
15:00 ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
15:00 დინამო-ოლიმპი

*ზესტაფონი ისვენებს*

ოქტომბერში თამაშები 15 საათზე დაიწყება

ეროვნული ბიბლიოთეკა



კობა თედიაშვილი ქართულ ფეხბურთში დიდად ცნობილი სპეციალისტი რომ არ არის, ამას თავად ამბობს. მას არც დიდი ფეხბურთი უთამაშია და დიდი გუნდებიც არ გაუწვრთნია. თუმცა ახალციხის „მესხეთი“ შარშანდელ სადებიუტო სეზონში უმაღლეს ლიგაში მეექვსე ადგილზე გაიყვანა. წლევანდელი პირველობაც ახალციხელებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ მთავარი მაინც „ზესტაფონის“ დამარცხება იყო, კაცნაკლულმა „მესხეთმა“ ჩემპიონატის ფავორიტი სტუმრად დაამარცხა (1:0).

„ლელომ“ კობა თედიაშვილი ტურის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

ტურის მწვრთნელები

კობა თედიაშვილი

# მესხეთი ფეხბურთს თამაშობს

**- ბატონო კობა, გილოცავთ „ზესტაფონში“ გამარჯვებას და ტურის მწვრთნელობას.**

- დიდი მადლობა... ტურის მწვრთნელობა? ძალიან სასიამოვნოა. როდესაც ჟურნალისტები გაფასებენ, ამაზე კარგი რა უნდა იყოს. მართალია, სიხარულისგან ბავშვივით არ ვხტუნავ, მაგრამ დიდი სტიმული რომ არის, ორი აზრი არაა.

„ზესტაფონთან“ მოგებას რაც შეეხება, ასეთებიც ხდება. აგერ, „არსენალმა“ სახლში „ჰალთან“ წააგო. ესაა ფეხბურთი, ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია. მთავარია, კონკრეტული მატჩისთვის რომელი გუნდი როგორ მოემზადება, ძალებს როგორ აღიდგენს, რა განწყობით ითამაშებს.

ეტყობა, მატჩის მოგებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით. მიუხედავად იმისა, რომ გვაკლდნენ ლაშა ქებაძე, ლადო ახალაია და ლევან მერებაშვილი. ეს სამი მოთამაშე ჩვენთვის დიდი ძალაა და საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ვთამაშობდით. ამიტომ გამარჯვება კიდევ უფრო სასიხარულოა ჩვენთვის.

**- თქვენი აზრით, სათამაშო ტაქტიკით მოიგეთ თუ უბრალოდ, გაგიმართლათ?**

- ორივე იყო. გამართლების გარეშე, კლასიც ვერ გიშველის, ამის მაგალითია „ზესტაფონი“. როინ ონიანი საკმაოდ მაღალი კლასის, გამოცდილი მოთამაშეა, მაგრამ პენალტი ვერ გაიტანა. ჩვენ ლამის ერთი მომენტი გვქონდა და მოვიგეთ. ფეხბურთი გამართლება და პლუს ჭკვიანური ტაქტიკაა.

თანაც, ფაქტია, რომ ჩვენმა ბიჭებმა თამაში იციან, გამოცდილები არიან. გამოუცდელი ერთი ჩემი შვილი, ლევან თედიაშვილია.

**- ალბათ, მწვრთნელი მამის გუნდში შვილის თამაში გარკვეულ უხერხულობას ქმნის.**

- დიახ, ბავშვიც დაძაბულია და მეც, შესაძლოა, გულშემატკივარმა წამომაძახოს, შვილობის გამო ათამაშებსო. თუმცა არა მგონია, ლევანი საქმეს გვიფუჭებდეს. სამი შეხვედრა მოვიგეთ და მგონი, ვერავინ იტყვის, უსამართლოდ ათამაშებსო.

**- თქვენზე გულშემატკივარმა ბევრი არაფერი იცის და გააცანით ხალხს თავი - სად თამაშობდით, სად მუშაობდით?**

- ბორჯომში ვთამაშობდი, შემდეგ კი ამ ქალაქის გუნდში, „თორში“, მწვრთნელად დამნიშნეს. უმაღლესში რომ გადმოვედით, სოსო ფრუიძემ შემცვალა, მე კი რეგიონალლიგის ფარმკლუბი ჩამაბარეს, ტრაბახით არ ვამბობ, წარმატება მქონდა და ახალციხის „მესხეთიდან“ 2006 წელს დამიკავშირდნენ - გუნდი უმაღლეს ლიგაში გადმოვიყვანე.

**- „მესხეთი“ საერთოდ რა მიზანს ისახავს?**

- დიდი ამბიციები არ გაგვაჩნია. ერთადერთი მიზანია, ყველა მატჩში ქულები მოვიპოვოთ. ალბათ, გავარდნა არ დაგვემუქრება, მეხუთე-მეექვსე ადგილზე თუ გავედით, კარგი იქნება.

**- მგონია, რომ ახალციხის „მესხეთს“ მეტოქეები სერიოზულად მაინც ვერ აღიქვამენ და ეს თქვენს სასარგებლო ფაქტორად იქცა.**

- შესაძლოა, ასეთი მიდგომა მართლაც არის და ეს ჩვენთვის სასარგებლო პოზიციაა. ჩვენ ნებისმიერ მეტოქესთან მობილიზებულები ვემზადებით.

საერთოდ, დროა, ხალხი შეეჩვიოს, რომ ახალციხის „მესხეთი“ ფეხბურთს თამაშობს, დრო იცვლება და მას ბევრი სიახლე მოაქვს. შარშანდელ სეზონში უმაღლეს ლიგაში მეექვსე ადგილი შემთხვევით არ დაგვიკავებია. წლევანდელ პირველობაზეც ორ ფავორიტთან, „ოლიმპთან“ და „ზესტაფონთან“ 4 ქულა მოვიპოვეთ. ახლა ყველა მიხვდება, რომ „მესხეთი“ სერიოზული გუნდია.

**- ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ „მესხეთის“ მოთამაშეები ფიზიკურად კარგად მომზადებული არ არიან.**

- სეზონისთვის სათანადოდ მართლა ვერ მოვემზადეთ. როცა ხალხი იხოცებოდა და ტყე იწვოდა, ჩავთვალეთ, რომ ბორჯომში მყოფი 25 ახალგაზრდა კაცის ვარჯიში უხერხული იქნებოდა. სტადიონთან მიმდინარეობდა რეზერვისტების შეკრება და მიხვდებით, უხერხულს ვინ ჩივის, ამორალურად გამოჩნდებოდა.

ამის გამო, 8 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე არ გვივარჯიშია. ყველანი ველოდებოდით ომში განვევას. მთელი ერთი თვით დასვენება გუნდს აშკარად დაეტყო. ფაქტობრივად, სექტემბერში თავიდან დავიწყეთ მომზადება. არა უშავს, ისეთ თამაშსაც არ ველოდებოდი, როგორიც ვაჩვენეთ.

**- ვფიქრობ, ყველას აინტერესებს, რა მდგომარეობაშია თავდამსხმელი ლადო ახალაია.**

- მონდომებით ვარჯიშობს. 26 წლის ბიჭია და ჯერ კიდევ შეიძლება, რომ ითამაშოს. ეტყობა, გულით სურს დაბრუნება. მას ხელს შევუწყობთ. „ზესტაფონთან“ ოჯახური მიზეზის გამო ვერ ითამაშა. თორემ, ნელ-ნელა ფორმაში შედის.

**- წლევანდელ ჩემპიონატში სიურპრიზების სიმრავლე რითი ავხსნათ?**

- გუნდები გათანაბრდნენ და ეს ძალიან მახარებს. ათი წლის წინ, ჩემპიონატში მხოლოდ მეორე-მესამე ადგილებისთვის იბრძოდნენ, ჩემპიონის ვინაობა კი ცნობილი იყო. ასეთი გამოკვეთილი ფავორიტი ახლა არაა. ჩემპიონობის მოპოვება შეუძლიათ „დინამოს“, „ლოკომოტივს“, „ვიტ ჯორჯიას“, „ზესტაფონს“, „სიონს“ და „ოლიმპს“.

დარწმუნებული ვარ, წელს იქნება უჩვეულოდ საინტერესო და დაძაბული ჩემპიონატი. ეს უკვე ჩანს და მტკიცებაც არ სჭირდება. ხომ ხედავთ, წელს უქულოდ სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი გუნდია, როცა შარშან ხუთი-ექვსი ტური იყო გასული და რამდენიმე უქულო გვყავდა. წელს აშკარა აუტსაიდერიც არაა და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი გვექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლოკომოტივის ილფი და პეტროვი

თბილისის „ლოკომოტივი“ უნიკალური გუნდია მწვრთნელთა შტაბით - ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავს (გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე), რაც, რატომღაც აქამდე აფიშირებული არ იყო. მეკარეთა მწვრთნელი 29 წლის თამაზ ოდიკაძეა. სამივე ახალგაზრდაა (კიკნაძე და ზამთარაძე 32-32 წლის არიან).

რაც მთავარია - „ლოკომოტივს“ თავისი ილფი და პეტროვი ჰყავს, ორი მთავარი მწვრთნელი, რომლებიც შეხმატკბილებული ცდილობენ დაწერონ სათავისო წიგნი „ლოკომოტივის“ ჩემპიონობაზე. ჯერ ეს „წერა“კარგად გამოსდით, შემდეგ კი ვნახოთ. რადგან ტურის საუკეთესო ორი მთავარი მწვრთნელიდან ერთი „ლოკომოტივის“ თავკაცია და ეს „ერთი“ რეალურად ორია, ჩვენ „ლოკომოტივის“ორივე მწვრთნელს ვესაუბრეთ.

## ზაზა ზამთარაძე
## ერთმანეთს ვენდობით

**- მეორე მთავარ მწვრთნელად როდის დაინიშნეთ?**

- დიდი ხანია, ასეა. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ვიქნები თუ ასისტენტი, მთავარია, რომ კარგად ვიმუშაოთ.

**- ორი მთავარი მწვრთნელი მაინც არაა ხშირი მოვლენა. ერთად როგორია მუშაობა?**

- ერთად ვფიქრობთ ყველა საკითხზე და ვიღებთ გადაწყვეტილებებს.

**- ორი მწვრთნელი გვახსოვს შვედეთისა და საქართველოს ნაკრებებში. თქვენი ტანდემი რომელ ვარიანტს ჰგავს?**

- ალბათ, უფრო შვედურს. ჩვენ ერთმანეთს ვენდობით.

**- გადაწყვეტილებებს რომელი იღებთ?**

- გიორგის ეკუთვნის მთავარი სიტყვა. საერთოდ, ჩვენი შემთხვევა სპეციფიკურია და ამის ახსნა ძნელია.

**- როგორც ვიცი, ბავშვობიდან ერთად მოდიხართ.**

- დიახ, ასეა, ჩვენი დედები მეგობრები არიან და შვილებიც დავმეგობრდით, უბნელები ვართ, მერე გუნდელები ვიყავით „დინამოში“, „ფრაიბურგში“. მწვრთნელობაც ერთ დროს დავიწყეთ, გიორგი „ოლიმპში“ იყო, მე საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში“. როცა მთავარ მწვრთნელად ნიშნავდნენ, დამირეკა, თუ წამოხვალო. თან ამიხსნა ვითარება, რომ ორი-სამი ტურის შემდეგ, შესაძლოა, მოგვხსნანო. მაინც წავედი, მეგობარს ასეთ დროს უნდა დაუდგე გვერდში... მერე ერთად წავედით ქუთაისის „ტორპედოში“ და ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში“. მაშინ მაგრად გავრისკე, მაგრამ ასე მერჩივნა.

**- სულ რისკავთ?**

- არის ვითარება, სადაც გარისკვა ღირს, მაგრამ ყოველთვის არ უნდა გარისკო, უაზრობაცაა.

**- „ლოკომოტივის“ დაკომპლექტებაზეც უნდა გკითხოთ. ნახევარმცველების უმრავლესობა უფრო „თავისუფალი მხატვარია“ - ლევან ცქიტიშვილი, ვიტალი დარასელია, ირაკლი სამხარაძე და ირაკლი ჩირიკაშვილი. მუშა საყრდენი არ გჭირდებოდათ?**

- ჩვენი საყრდენი ზვიად ჩხეტიანია, ის ამ პოზიციაზე ძალიან კარგად მუშაობს, მისით კმაყოფილი ვართ და ამიტომაც არავინ აგვიყვანია. ჩხეტიანი უდიდეს შავ სამუშაოს ასრულებს, ერთი სიტყვით, „ლოკომოტივისთვის“ საჭირო კაცია.

## გიორგი კიკნაძე
## დინამო გავშიფრეთ!

**- „დინამოსთან“ შეხვედრა გავიხსენოთ. თქვენი აზრით, რა იყო გამარჯვების მთავარი მიზეზი?**

- ვფიქრობ, „დინამოს“ გაშიფვრა შევძელით. თანაც, ჩვენ გვყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც დავალებების შესრულება შეუძლიათ.

**- „დინამოს“ გაშიფვრა ასეთი ადვილი არ უნდა იყოს.**

- „დინამოს“ შეტევები, უმთავრესად, ფლანგებიდან ვითარდება და ჩვენ მათ ამოკეტვას შევეცადეთ. „დინამოში“ ვაწაძე და მერებაშვილი საკვანძო ფიგურები არიან და მათი განეიტრალებაც მოვახერხეთ.

**- რას მივაწეროთ თავდამსხმელ კახელიშვილის დაცვის მარჯვენა ფლანგზე დაყენება?**

- ესეც ტაქტიკური ამოცანიდან გამომდინარეობდა. დაჩი ფოფხაძე დისკვალიფიცირებული იყო. მის შემცვლელად კახელიშვილი იმიტომ დავაყენეთ, რომ რუსთავის „ოლიმპში“ ჩვენი წამოსვლის შემდეგ სწორედ ამ პოზიციაზე ათამაშებდნენ. როდესაც გიორგის ველაპარაკე, გვითხრა, პრობლემა არ არისო. მას აქვს სისწრაფე და მსურდა ელიავას და გველესიანის სწრაფი გარღვევები შეეჩერებინა. ასეც გააკეთა.

**- სამხარაძის მარჯვენა ნახევარმცველობა რაღას ნიშნავდა?**

- ესეც ტაქტიკის ნაწილი იყო. ირაკლი სწრაფია და ამ ფლანგიდან შეტევებს იოლად ვერ წამოიწყებდნენ. მან და კახელიშვილმა, ისევე როგორც მთელმა გუნდმა, დავალება ძალიან კარგად შეასრულეს. შუაში კი ცქიტიშვილის თამაშმა შეხვედრის ბედი გადაწყვიტა.

**- სამი ტურის შემდეგ „ლოკომოტივი“ ერთ-ერთი ლიდერია. მზად არიან მოთამაშეები საჩემპიონო ბრძოლისთვის, მაგალითად, ფსიქოლოგიურად?**

- ჩვენ ისეთი მოთამაშეები შევარჩიეთ, საჩემპიონო ბრძოლისა და მოგების გემო რომ იციან. ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს და ვფიქრობ, ისინი გამოცდილი ხალხის გვერდით ბევრ რამეს ისწავლიან. ჯერ კარგად მივდივართ და იმედია, არაფერს დავთმობთ.

**- დათო ოდიკაძის ძმა, თამაზი „ლოკომოტივის“ მეკარეთა მწვრთნელია. „დინამოს“ მარჯვენა ფლანგის ჩაკეტვაში ოჯახური საიდუმლოება ხომ არ გამოიყენეთ?**

- ყველამ იცის, რომ „დინამოს“ შეტევებში ოდიკაძეს წამყვანი როლი ენიჭება და მის განეიტრალებაზეც წინასწარ ვიზრუნეთ. (იცინის) თამაზი ამ საქმეში არ ჩაგვირთავს.

**- „ლოკომოტივის“ ფიზიკური მომზადება გაკმაყოფილებთ?**

- უკეთესობის სურვილი გვაქვს, მაგრამ ომმა გეგმები აგვირია. რამდენიმე ხანი შევჩერდით, მერე თავიდან მოგვიწია მზადების დაწყებამ. ჩემპიონატის დასაწყისშივე, მეორე ტური გამოვტოვეთ, რაც სულაც არაა კარგი - ასე გუნდი ტონუსიდანვარდება. თუმცა ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ და მჯერა, „ლოკომოტივი“ გაცილებით უკეთესად ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**



მესამე ტურში გამართულ დედაქალაქურ დერბიში ლევან ცქიტიშვილს გოლი არ გაუტანია. თუმცა ამ ნახევარმცველის თამაშმა ძველი ცქიტიშვილი გაგვახსენა. ვინც ეს თამაში ნახა, უდავოდ დაგვეთანხმება, რომ ორივე გუნდიდან გამორჩეული სწორედ ლევანი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ინფორმაციით, ცქიტიშვილის კარგი თამაში ნაკრების თავკაც ექტორ კუპერსაც თვალში მოხვდა და დიდი შანსია, ის ეროვნულს მალე დაუბრუნდეს.

ერთი სიტყვით, ცქიტიშვილს განვლილ და მომდევნო მატჩებზე, საკლუბო და სანაკრებო თემებზე ვესაუბრეთ.

ტურის ფეხბურთელი. ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

# ეს მოგება დიდხანს მემახსოვრება

**- ტურის ფეხბურთელად დამასახელეთ? ეს ნამდვილად არ ვიცოდი... რა გითხრათ, მოხარული ვარ. როგორც ყველა ფეხბურთელისთვის, ეს ჩემთვისაც დიდი სტიმულია. მართალია, ასაკოვანი მოთამაშე ვარ, მაგრამ ძალიან გამეხარდა. მადლობელი ვარ... მთელ ჩემს გუნდსაც მადლობას ვეუბნები. „დინამოსთან“ რომ ვერ მოგვეგო, ალბათ ტურის ფეხბურთელიც არ ვიქნებოდი.**

**- „დინამოსთან“ მატჩს დღეს როგორ იხსენებ?**

- ყველა ფეხბურთელმა სული და გული ჩადო . „დინამო“ მოქმედი ჩემპიონია, ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია ეროვნულ ჩემპიონატში და ბუნებრივია, დღესაც კარგად ვიხსენებ ამ მოგებას. ეს წარმატება დიდხანს მემახსოვრება.

**- „დინამოსთან“ ყველა გუნდი ორმაგად მოტივირებული თამაშობს და „ლოკომოტივიც“ არ უნდა იყოს გამონაკლისი...**

- დიახ, სწორედ ასე იყო. „დინამოსთან“ მოგება ყველა ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულია. ამასთან, განსაკუთრებულად მინდოდა ჩემს ყოფილ კლუბთან მომესინჯა ძალები. ღმერთის წყალობით, კარგად წაგვივიდა თამაში და წარმატებასაც მივაღწიეთ.

**- შეხვედრას ექტორ კუპერიც ესწრებოდა და ალბათ ესეც დამატებითი სტიმული იყო...**

- რა თქმა უნდა, მისი სტადიონზე ყოფნა სტიმული და მოტივაციაა ორივე გუნდის ფეხბურთელებისთვის.

**- მაინც რის ხარჯზე შეძელით ამ მნიშვნელოვანი სამი ქულის აღება?**

- მობილიზების, სწორი თამაშის ხარჯზე. მართალია, გუნდის კაპიტანი ვარ, მაგრამ თანაკლუბელებიც რომ არ ამყოლოდნენ, ძნელი იქნებოდა წარმატების მიღწევა. ბუნებრივია, ამ მოგებაში მწვრთნელების წვლილიც დიდია. გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე უკვე დიდი ხანია მწვრთნელად მუშაობენ და სათანადო გამოცდილებაც შეიძინეს. სწავლას არ თაკილობენ და დღითი დღე იმდიდრებენ ცოდნას.

**- ჩვეული ტექნიკურობა, გრძელი და ზუსტი პასები, შეტევების სიმწვავე და ორგანიზებულობა - ამ და სხვა ეპითეტებით შეიძლება აღიწეროს შენი თამაში. როგორც გამოჩნდა, სასურველი ფორმის დაბრუნებამდე ბევრი არ გიკლია.**

- კი ეგრეა, ათიოდე დღეც მეყოფა და უკვე ის ძველი ცქიტიშვილი ვიქნები, რომელიც გულშემატკივარს „დინამოდან“ ახსოვს.

**- ჩვენი ინფორმაციით, „დინამოსთან“ შენი კარგი თამაში კუპერსაც მოხვდა თვალში და მის სიაში ხარ. მზად ხარ ნაკრებში რომ გამოგიძახონ?**

- ისევ შემიძლია, ნაკრებს გამოვადგე. ყოველთვის სიხარულითა და პატივით ვღებულობდი ეროვნულში გამოძახებას და ახლაც გამიხარდება.

**- კუპერის ნაკრებზე რა წარმოდგენა შეგექმნა?**

- გუნდი გააზრებულად თამაშობს. არგენტინელმა ორი თვეა, რაც გუნდი ჩაიბარა და უკვე დაატყო ხელი. აღსანიშნავია, რომ გუნდი მეორე ტაიმებს პირველზე უკეთ თამაშობს. დროა, ქულებიც მოვიპოვოთ და იმედი მაქვს, ოქტომბრის მატჩებს თბილისში მოვიგებთ.

**- ისევ ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. ახალი ფორმატი რამდენად მოგწონს?**

- ეს ჩემპიონატი უფრო დაძაბულია. თანაც ახლა 5-6 გუნდი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის და ეს უკეთესია. მათ არც სხვა გუნდები ჩამორჩებიან. „კერკეტი კაკალი“ არაერთია და ამიტომაცაა სენსაციები რომ მომრავლდა.

კარგი გუნდების მომრავლება აღსანიშნავია, ისევე როგორც „კოლხიდას“ სატელევიზიო პიარი. ახლა მოედნებსაც უნდა მივხედოთ და ჩემპიონატის დონე ნამდვილად აიწევს.

**დავით ცაგაძე**

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები

# მესხმა ქარვანს ლიდერობა შეუნარჩუნა

მეორეხარისხოვანი საფეხბურთო ქვეყნების ქართული ლეგიონის მიმოხილვას აზერბაიჯანით ვიწყებთ, სადაც ყველაზე მეტი ჩვენებური თამაშობს. სამეზობლოში მე-6 ტურის მატჩები გაიმართა, რომელმაც ევლახის „ქარვანი“ ლიდერად დატოვა („ხაზართან“ ერთად). ამ კლუბში მხოლოდ ერთი ქართველია – **მიხეილ მესხი**. „ქარვანმა“ „კაბალას“ უმასპინძლა და 2:1 აჯობა. მატჩის 79-ე წუთზე მიხეილ მესხმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი. არადა ქართველი ლეგიონერი სულ ორი წუთის შესული იყო „ქარვანის“ კაპიტნის, **ქამალ გულიევის** ნაცვლად. სტუმართა მწვრთნელმა **რამიზ მამედოვმა** მესხის გოლს პრესკონფერენციაზე საეჭვო უწოდა. დამარცხებულთა რიგებში სრულად ითამაშა **თორნიკე აფციაურმა**. „კაბალა“ 7 ქულით მეცხრე ადგილზეა.



მიხეილ მესხი ამერიდან ქარვანში შედეგიანად გადავიდა

წინა ტურში „ბაკილიმ“ **გივი ჩხეტიანის** გოლის წყალობით მოულოდნელად ქულა აართვა **კახა ცხადაძის** „სტანდარდს“, თუმცა ამ მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო ჩხეტიანი დერბის დააკლდა – უმისოდ კი აუტსაიდერები „ბაქიმ“ არ დაინდო – 7:0. მატჩმა „შაფაზე“ მაინცდამაინც დიდი აჟიოტაჟი ვერ გამოიწვია – დერბის სანახავად სულ 400 მაყურებელი მივიდა. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო **დავით ქოქიაშვილი**, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა. 79-ე წუთზე კი **შოთა ჯიშკარიანი** გამოჩნდა, იმ დროისთვის „ბაკილი“ უკვე 0:6-ს აგებდა. **ამირან მუჯირმა** მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, ხოლო 99-ნომრიანმა **გიორგი დემეტრაძემ** – ბოლო 26 წუთი, თუმცა ჩვენებურებს ეს დროც ეყოთ – ამირანმა 34-ე და 38-ე წუთებზე გაიტანა, დემეტრაძემ კი პირველი ბაქოური გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე შეაგდო. „ბაქი“ 13 ქულით მესამე ადგილზე გადავიდა. „ბაკილი“ კი კინკილა ქულით ბოლოსწინა, მე-13 ადგილზეა.

ზაქათალის „სიმურგმა“ სტუმრად მოუგო „ყარაბახს“ – 2:0. სტუმართა ქართულმა კვარტეტმა – **მიხეილ მახვილაძე, კახაბერ ჩხეტიანი, გრიგოლ დოლიძე** და **დავით ბოლქვაძე** – სასტარტოში ითამაშა. შეცვლით არავინ შეუცლიათ, მაგრამ ბოლქვაძემ მეორე ყვითელი ბარათის გამო 47-ე წუთზე დატოვა მოედანი. მასპინძელთა რიგებში თავიდან ბოლომდე ითამაშა ახალწვეულმა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა**. მატჩის შემდეგ **რომან პოკორამ** განაცხადა, რომ უბოლქვაძეოდ შემდეგ ტურში გაუჭირდებათ, მაგრამ გუნდმა უმისოდაც უნდა ისწავლოს თამაში. „სიმურგი“ 13 ქულით მეოთხეა, „ყარაბახი“ 7 ქულით მერვეა.

აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ბაქოს „ნეფთჩის“ აშკარა კრიზისი უდგას – მე-6 ტურში დედაქალაქელებმა მოკრძალებული ნბს-ის დამარცხება ვერ შეძლეს – 0:0. **გიორგი ადამიამ** 90 წუთი ითამაშა, **გიორგი ჭელიძე** მოედანზე 74-ე წუთზე **დმიტრი კრუგლოვის** ნაცვლად გამოჩნდა. ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი ბაქოური დერბი იყო, „ოლიმპიკმა“ ვერაფერი მოუხერხა ცხადაძის „სტანდარდს“ – 0:0. „ოლიმპიკის“ შეტევებს სიმწვავე ვერ შემატა **მიხეილ ხუციშვილმა**, ის 78-ე წუთზე შეცვალეს, **რომან ახალკაცი** მხოლოდ 84-ე წუთზე გამოჩნდა, **რევაზ გეწაძე** კი სათადარიგო იყო. **ლევან სილაგაძე** და **დავით ჭიჭველიშვილი** (87-ე წუთზე შეცვალეს) „სტანდარდის“ კაპიტან **ჰუსეინ მაჰამედოვს** კარის მშრალად შენახვაში დაეხმარნენ. **მიხეილ ალავიძე** სათადარიგო გოლკიპერია. **ბაჩანა ცხადაძე** განაცხადში არ ყოფილა. „ოლიმპიკს“ 9 ქულა აქვს, ვიცე-ჩემპიონი მხოლოდ მე-6 ადგილზეა, „სტანდარდი“ 8 ქულით მეშვიდეა.

### ქეცბაია ასპროცენტიანია

ქართველი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** ევროთასებზე წარმატებას შინაურ ჩემპიონატში უნაკლო სვლას უნაცვლებს – მისი „ანორთოსისი“ ოთხი ტურის მერე უდანაკარგოდ, 12 ქულით ლიდერობს. „ანორთოსისმა“ სტუმრად ლიმასოლის აელ დაამარცხა – 2:0. **კლიმენტი ნიტაიშვილი** არ გამოჩენილა. ამ ტურში არც **ლევან ქებაძეს** უთამაშია და არც – **ლევან მაღრაძეს**. ქებაძის „ეთნიკოსი“ მეშვიდეზეა (5 ქულა), ხოლო მაღრაძის „აპოლონი“ – მეცხრეზე (4).

### პირველი მატჩი, პირველი გოლი

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ქართველი ფორვარდი **მიხეილ ბარაბაძე**, სავარაუდოდ, „ესბიერგში“ გადავა. ის ამ კლუბში ვარჯიშობს, თუმცა ჯერჯერობით მეორე დივიზიონში გავარდნილ ჰიკ-ში აგრძელებს თამაშს. მეორე დივიზიონის აღმოსავლეთ ზონაში სეზონი ახლა დაიწყო. პირველ ტურში ჰიკ-მა სტუმრად 4:0 გაანადგურა „სოლეროდი“. მეორე გოლის ავტორი ( 42-ე წუთი) ბარაბაძეა.

ლატვიის ვირსლიგაში მორიგ ტურში „სკონტომ“ „რიგა“ 2:1 დაამარცხა. გამარჯვებულთა რიგებში **ვლადიმერ დვალიშვილმა** 80 წუთი ითამაშა, **დავით გამეზარდაშვილი** სათადარიგო იყო. ჩემპიონმა „ვენტსპილსმა“ სტუმრად „მეტალურგსი“ დაამარცხა – 2:1. **ზურაბ მენთეშაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. დაუგავპილსში თვალსასეირო დერბი გაიმართა, **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ „დაუგავას“ 3:3 დაუზავდა. **პავლე დათუნაიშვილმა** მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, მან ყვითელი ბარათი მიიღო. მოწინავე ექვსეულში ასეთი ვითარებაა – მენთეშაშვილის „ვენტსპილსი“ 53 ქულით ლიდერობს, „სკონტო“ 44 ქულით მეორეა, „დინაბურგი“ 37 ქულით – მეოთხე. აუტსაიდერი „ბლაზმა“ სტუმრად 1:2 დამარცხდა „ვინდავასთან“ ბრძოლაში. **ირაკლი ქორთუამ** 90 წუთი ითამაშა. „ბლაზმა“ 15 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

ლიტვის ჩემპიონი „კაუნასმა“ „ვალგირისი“ 5:0 გაანადგურა. სტუმართა რბევაში მონაწილეობა **ნუკრი მანჩახავამ** მიიღო. „კაუნასი“ 41 ქულით მეორე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. IV ტური

### აღმოსავლეთი ზონა

**ვიტ ჯორჯია 2–ნ/დინამო 3:0**

1:0 ზაქრაძე (68), 2:0 მაისაშვილი (90. პენ), 3:0 ზაქრაძე (90+2)

ვიტ ჯორჯია 2: ა. მიქაბერიძე, დ. ხურცილავა, გ. ადამაძე, ლ. კასრაძე, ი. ვეკუა, დ. მაისაშვილი, რ. ლანიაშვილი, გ. ვასაძე, მ. როსტიაშვილი (72. ვ. ფურცელაძე), გ. ჯანელიძე (81. ჯ. გოგიაშვილი), ი. სვანიძე (59. ბ. ზაქრაძე)

*სათადარიგოები: ი. გამრეკლიძე, მ. დვალაშვილი, ჯ. ცხოვრებაძე, შ. ღურბელეიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი*

ნორჩი დინამო: ვ. გაბრიჩიძე, ლ. ლაბარტყავა (46. კ. ნაჭყებია), ბ. მამარდაშვილი, ა. კალაძე, გ. დაბრუნდაშვილი, თ. უხურგუნაშვილი (62. ლ. ნეფარიძე), თ. ბოკუჩავა, გ. გურაბანიძე (46. ა. შენგელია), გ. გრიგალაშვილი, ა. ღვთისავრიშვილი, ი. ქავთარაძე

*სათადარიგოები: ლ. გაბუნია, კ. დევიძე, ნ. ჩიხლაძე*

*მთავარი მწვრთნელი: რეზო ბარამიძე*

გაფრთხილება: ლ. ლაბარტყავა, ი. ქავთარაძე, დ. ხურცილავა, რ. ლანიაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**დილა–სიონი 2 3:0**

1:0 ჩიხრაძე (65), 2:0 ფაილოძე (66), 3:0 ჩიხრაძე (85)

დილა: ბ. კეჩხუაშვილი, შ. ცოცხალაშვილი, ი. სორდია, გ. თარგამაძე, გ. ჩიხრაძე, ბ. მაჭავარიანი, დ. ჩერქეზიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი (46. ნ. სადალაშვილი), თ. ბარამიძე, დ. ფაილოძე (84. შ. პაპიტაშვილი), გ. იჩქითი (60. გ. გურეშიძე)

*სათადარიგოები: ი. დგებუაძე, თ. მინდიაშვილი, გ. ივანაშვილი, ი. თოდუა*

*მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი*

სიონი 2: ნ. გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, ო. ნაყოფია, ვ. იობაშვილი, გ. გაბიძაშვილი, ლ. სანიკიძე, დ. ბუბუტეიშვილი (70. ლ. ალფაიძე), ლ. უგულავა, ვ. უგრეხელიძე ლ. ჯიქიძე, მ. ოქროპირიძე

*სათადარიგოები: ლ. გიგინეიშვილი, მ. ჭაველაშვილი, შ. გაბრიჭიძე, ი. ბრეგვაძე, გ. გიორხელიძე, ბ. ჭაველაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი*

გაფრთხილება: ლ. ჯიქიძე, თ. ბარამიძე, შ. პაპიტაშვილი

არბიტრი: მ. უშურაძე (ლანჩხუთი)

**ჰერეთი–თბილისი 1:0**

1:0 მ. თოფურია (83)

ჰერეთი: ა. ბილიხოძე, ბ. ხარაიშვილი, გ. ლომიძე, შ. ფარულავა, გ. მაჭარაშვილი, ვ. თანდაშვილი (67. ლ. გვარაძე), მ. კუპრაშვილი, გ. ყორღანაშვილი, შ. ლობჟანიძე, მ. თოფურია (85. ლ. მეტრეველი), ი. ტაბატაძე (73. კ. წვერავა)

*სათადარიგოები: ვ. მატვიენკო, ი. მაჭავარიანი, ბ. ზედგენიძე, ბ. გელაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი*

თბილისი: მ. ხარშილაძე, გ. სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, გ. ოდიშარია, ლ. ხოხონიშვილი, გ. გურეშიძე, გ. მიქელაძე (87. ი. მოდებაძე), გ. ზვიადაძე (57. გ. ჯაში), გ. კბილცეცხლაშვილი, ა. სებისკვერაძე, მ. ტორონჯაძე (84. ჭაფოძე)

*სათადარიგოები: გ. გიორგობიანი, ბ. ბელქანია, გ. სულუხია*

*მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური*

გაფრთხილება: ხოხონიშვილი, მაჭარაშვილი, გვარაძე

არბიტრი: ზ. ასკაროლლი (ქარელი)

**ჩიხურა–ამერი 1:1**

0:1 გ. ტიკურიშვილი (28), 1:1 მ. მიქაძე (75)

ჩიხურა: შ. დოლაძე, ე. ზივზივაძე, რ. ბარაბაძე, ნ. მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, ი. ჭილლაძე, ზ. ნოზაძე (76. ი. ზაბახიძე), ა. დოლონაძე, ლ. კობახიძე (76. ბ. პეტრიაშვილი), მ. მიქაძე, ა. რიგავა (76. დ. გულიაშვილი)

*სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, ლ. ჩიკვაიძე, გ. ცარციძე, ნ. მაჭარაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე*

ამერი: ლ. ნადირაშვილი, ზ. გვაძაბია, გ. ელბაქიძე, თ. სანიკიძე, მ. კაკაბაძე, ი. ხუციძე (86. ნ. ქებაძე), ლ. ლაფერაშვილი (72. გ. ხელაძე), ბ. ჩიმაკაძე, ლ. ბოჯგუა, გ. ტიკურიშვილი, გ. ბენდელიანი

*სათადარიგოები: ა. გვენცაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. ჯელაძე, გ. გრძელიძე, ა. ადეიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე*

გაფრთხილება: ლაფერაშვილი, ტიკურიშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**დინამო 2 (თბ)–გაგრა 2 1:0**

1:0 ი. სიხარულიძე (36)

დინამო 2 (თბ): გ. ლორია, გ. მინდორაშვილი, გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. ჩადუნელი, გ. გუგავა, ც. ცერცვაძე (62. ვ. ბოლქვაძე), ლ. კაკუბავა, დ. ქმუშაძე, გ. ჯოხაძე (68. ზ. ჭადაშვილი), ი. სიხარულიძე, ზ. ქანთარია (46. დჯუისი)

*სათადარიგოები: თ. ჭყონია, გ. დარასელია, რ. კოპაძე, ნ. მამრაში*

*მთავარი მწვრთნელი: დათო კველიშვილი*

გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, გ. სეფიაშვილი, ვ. ქვრივიშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, გ. კვატალიანი, ლ. ლალიანი, ი. ხელაძე, თ. მეტრეველი (60. დ. ჩხაიძე), ბ. ყიფიანი (46. ე. კილაძე), ლევან სეთურიძე (57. ა. აბაშიძე), მ. ხოკერაშვილი

*სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, ა. ტატუნაშვილი, მ. მესხი, ი. სუხიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე*

გაფრთხილება: ხელაძე, კვანტალიანი, ქამუშაძე, ქვრივიშვილი, ცერცვაძე

არბიტრი: ვასილ ელისაბედაშვილი (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 2. დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 3. ვიტ ჯორჯ. 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4. ამერი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 5. სიონი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| 6. ჩიხურა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-4 | 5 |
| 7. თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 8. ნ/დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 9. კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 10. ჰერეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 11. გაგრა 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

თბილისი-ვიტ ჯორჯია 2
ამერი-ჰერეთი
გაგრა 2-ჩიხურა
სიონი 2-დინამო 2
კახეთი-დილა

*ნორჩი დინამო ისვენებს*

### დასავლეთის ზონა

**ზესტაფონი 2–ხობი 1:0**

1:0 ბერიძე (15)

ზესტაფონი: გ. ძაძამია, თ. ხიხაძე, ე. სანტოსი, ზ. ლობჟანიძე, კ. მარქარიანი, თ. ბერიძე (66. გ. ხაჩიძე), ც. ბუკია, ვ. ლომაშვილი, თ. გორგიაშვილი, ნ. სტეფანიშვილი (77. ლ. ცხადაძე), რ. კეჭაყმაძე (61. დ. კვირიკეიშვილი)

*სათადარიგოები: ა. სუხიაშვილი, დ. ბერუაშვილი, ს. კამლაძე, ო. ბოჭორიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: გია ნადირაძე*

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, მ. შონია, გ. გოგენია, ა. კვირკველია, ვ. ჯამბურია, რ. ლატარია, ლ. ლეფსაია (61. შ. გრიგოლია), ვ. ფირცხალავა, გ. გაგუა, დ. სართანია, კ. გოგენია

*სათადარიგოები: ლ. ჭურლულია, ლ. ჩაჩიბაია, ლ. თოდუა, რ. ჩიტაია, კ. ალანია, ლ. ჭითანავა*

*მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია*

გაფრთხილება: კ. მარქარიანი, გ. ძაძამია, თ. გორგიაშვილი, ც. ბუკია, გ. გაგუა

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ტორპედო–ჭიათურა 0:2**

0:1 სეფერთელაძე (51), 0:2 სევასტოპულო (71)

ტორპედო: ო. მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, თ. ხარებავა, ბ. ბიბილაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ბ. ჩხეტიანი (66. გ. მოდერიძე), დ. კოსტავა (61. თ. დანელია), მ. ბესარაშვილი (74. ე. მუშკუდიანი), მ. კობერიძე, ა. ქობალია, ზ. ტიელიძე

*სათადარიგოები: ო. კუჭუხიძე, ლ. რატიანი, მ. შველიძე*

*მთავარი მწვრთნელი: კ. კარანაძე*

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ი. ბრუელი, გ. კევლიშვილი, ლ. ეგაძე, გ. სეფერთელაძე, ვ. ტყემალაძე, ნ. ნგოკო (74. გ. ხაჩიძე), ზ. ხაჭიპერაძე (88. ნ. გაფრინდაშვილი), დ. სევასტოპულო (86. კ. ძაგანია), გ. ილურიძე

*სათადარიგოები: ზ. დარჯანია, ნ. ტყემალაძე, დ. ჯაჯანიძე, ლ. ცუცქირიძე*

*მთავარი მწვრთნელი: გიგლა იმნაძე*

გაფრთხილება: ბიბილაშვილი, ხარებავა, ეგაძე, ნგოკო

არბიტრი: არსენ ნონიკაშვილი (თბილისი)

**ბათუმი–სამტრედია 0:2**

0:1 ბათურაძე (54), 0:2 ეცადეიშვილი (75)

ბათუმი: ი. თოთლაძე, ლ. რამიშვილი, გ. გოგიტაური, მ. ფარტენაძე, ნ. გოგუაძე, დ. გალოგრე, ბ. მახარაძე, ი. ტულუში (46. ლ. კალანდაძე), ბ. დემურაძე, დ. მალაზონია (65. ვ. მჭედლიძე), გ. ზოიძე (46. გ. გორჯელაძე)

*სათადარიგოები: მ. ჭადიძე, გ. ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე*

*მთავარი მწვრთნელი: ა. გოგიტიძე*

სამტრედია: ი. შენგელია, ს. გოგია, გ. კვესეიშვილი, დ. სამსეიშვილი, რ. ნინუა, ლ. მახარაძე (74. ზ. ეცადეიშვილი), შ. ჩომახიძე, ლ. ბაკურაძე, გ. თურმანიძე, ა. ადეიშვილი, გ. ბოხუა

*სათადარიგოები: დ. კეკელიძე, ა. თელია, გ. ჯანგველაძე, გაგა სალდაძე, ი. შენგელია*

*მთავარი მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი*

გაფრთხილება: ლ. რამიშვილი, შ. ჩომახიძე, ბ. მახარაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**მეშახტე–გურია 1:1**

1:0 ჯ. ავალიშვილი (23. პენ), 1:1 ხ. მგელაძე (88)

მეშახტე: თ. გიორგაძე, ი. ონაძე, ი. გვეტაძე, მ. ბოჭორიშვილი, გ. ჯიშიაშვილი, ლ. მაჩაიძე, გ. გოგუა, გ. გობეჯიშვილი, გ. გვეტაძე, ჯ. ავალიშვილი, ბ. გვეტაძე

*სათადარიგოები: მ. თორთლაძე, რ. კალანდაძე, ვ. წერეთელი, ვ. ლომაძე*

*მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე*

გურია: ა. აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ი. ცინცაძე, ჯ. გიგიბერიძე (82. ვ. ჯაყელი), ი. კილაძე, გ. იმნაძე, გ. ბედოიძე, მ. კოტრიკაძე (75. ი. სულაბერიძე), ს. მოდებაძე, ხ. მგელაძე, გ. კვერენჩხილაძე (54. ქურიძე)

*სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ლ. ჯორბენაძე, მ. დათიაშვილი, გ. შენირული*

*მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი*

გაფრთხილება: ბ. გვეტაძე, გ. გვეტაძე, გ. გობეჯიშვილი, გ. კვერენჩხილაძე, ი. კილაძე

გაძევება: გ. გობეჯიშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მერანი-ბაია**

*გადაიდო, გაიმართება 10 ოქტომბერს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-4 | 9 |
| 2. სამტრედია | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| 3. კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4. ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 5. ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 6. მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 7. ზესტაფონი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 8. დინამო (ბთ) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 9. გურია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-6 | 2 |
| 10. ტორპ. 2008 | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |
| 11. მეშახტე | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

ბაია-ზესტაფონი 2
სამტრედია-მერანი
ჭიათურა-დინამო ბათუმი
გურია-ტორპედო2008
კოლხეთი ფოთი-მეშახტე

*ხობი ისვენებს*

## მეორე ლიგა

### II ტური

**28 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა-ბორჯომი 2 | 1:3 |
| სპარტაკი 2-ზოოვეტი | 3:2 |
| არაგველები-ერთობა | 0:0 |
| ლიახვი-ლოკომოტივი | დღეს |

**29 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| ნ. დინამო 2-დუშეთი | 2:7 |
| ამერი 2-ჰერეთი 2 | 1:0 |
| იმედი-ალაზანი | 3:1 |
| ალგეთი-გარეჯი | 2:1 |
| I.B.S.U.-სამგორი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. სპარტაკი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 3. ბორჯომი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 4. ამერი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 5. არაგველები | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. ალგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | „-2 | 4 |
| 7. იმედი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 8. I.B.S.U. | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 9. ჰერეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 10. ერთობა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 11. ლიახვი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12. ლოკომოტ. 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 13. სამგორი | 1 | 0 | 0 | 1 | )-5 | 0 |
| 14. გარეჯი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 15. ზოოვეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 16. 35-ე სკ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 17. ალაზანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |
| 18. ნ. დინამო 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2-9 | 0 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991–1993 წელი

**I ტური 24.09**

| | |
|---|---|
| სიონი-მგლები | 0:0 |
| ვიტ ჯორჯია-ბორჯომი | 2:1 |
| მესხეთი-ლოკომოტივი | 0:1 |
| ზესტაფონი-ოლიმპი | 3:0 |
| დინამო-გაგრა | 3:1 |
| U 16 ნაკრები-სპარტაკი | 0:1 |

**II ტური 29.09.08**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-მგლები | 0:2 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| ოლიმპი-მსხეთი | 2:2 |
| ზესტაფონი-სიონი | 3:0 |
| სპარტაკი-დინამო | 1:5 |
| ლოკომოტივი-U16 ნაკრები | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2. ზესტაფონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. მგლები | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 5. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 6. ნაკრები U 16 | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 8. მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 9. ოლიმპი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 10. სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 11. ბორჯომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 12. გაგრა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### 1993–1994 წწ.

**I ტური 23.09**

| | |
|---|---|
| გლები-სიონი | 3:0 |
| ბორჯომი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ლოკომოტივი-მსხეთი | 4:0 |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| გაგრა-დინამო | 0:2 |
| ამერი-სპარტაკი | 6:1 |

**II ტური 27.09**

| | |
|---|---|
| მგლები-ბორჯომი | 6:0 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 3:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:0 |
| სიონი-ზესტაფონი | 0:0 |
| ლოკომოტივი-ამერი | 3:4 |
| დინამო-სპარტაკი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-4 | 6 |
| 2. მგლები | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 3. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 5. ოლიმპი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-4 | 3 |
| 7. ზესტაფონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 8. სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 9. ბორჯომი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-6 | 1 |
| 10. მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |
| 12. გაგრა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### 1995–1996 წწ

**I ტური 23.09**

| | |
|---|---|
| მგლები-სიონი | 3:0 |
| ბორჯომი-ვიტ ჯორჯია | 4:1 |
| ლოკომოტივი-მსხეთი | 7:0 |
| ოიმპი-ზესტაფონი | 2:1 |
| გაგრა-დინამო | 1:1 |
| ამერი-სპარტაკი | 2:0 |

**II ტური 27.09**

| | |
|---|---|
| მგლები-ბორჯომი | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 1:4 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:2 |
| სიონი-ზესტაფონი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ამერი | 2:0 |
| დინამო-სპარტაკი | 6:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| 2. მგლები | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 3. ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 5. გაგრა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 6. ბორჯომი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7. ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. ზესტაფონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 9. სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 10. ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-8 | 0 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |
| 12. მესხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. II ტურის წინ

# მთავარი მატჩი მიუნხენში

## იუვე ბელარუსში გადახალისებული შემადგენლობით


მანჩესტერი ოლბორგისათვის ემზადება

### E ჯგუფი

### ოლბორგი-მანჩესტერ იუნ.

**უეინ რუნი** ძირითადში ბრუნდება. **სერ ალექს ფერგიუსონმა** "ბოლტონთან" ბოლო ტურის მატჩში თავდამსხმელი თადარიგში გაამწესა. ის 71-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაგრამ გოლი მაინც გაიტანა.

დანიაში "იუნაიტედის" ბოლო სტუმრობა სენსაციური შედეგით დასრულდა. 2006-07 წლების სეზონში "კოპენჰაგენმა" მას მინიმალური ანგარიშით მოუგო. დღეს ინგლისელებს რუნის ოსტატობა ძალიან წაადგებათ.

ორი კვირის წინ "ოლბორგმა" გლაზგოდან ერთი ქულა წამოიღო, 0:0. დანიელებს ბრძოლა შეუძლიათ. ისინი არც "მანჩესტერს" დანებდებიან. მაგრამ გუნდი დანიის პირველობაზე უსახურად თამაშობს. მან ზედიზედ ორი მატჩი წააგო ("კოპენჰაგენსა" და "ორჰუსთან"), ხუთი ბურთი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა.

მიმომხილველები დაცვის სუსტ თამაშს ამერიკელი **დენი კალიფის** "მიდტიულანდში" გადასვლას აბრალებენ. გასულ უქმეებზე "ოლბორგს" დანიის თასზე მეორე დივიზიონურ "ბრონშოისთანაც" ძალიან გაუჭირდა. მან მსაჯისაგან დამატებულ დროში 3:2 მოიგო.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული მცველი **მიკაელ იაკობსენი** დააკლდებათ. მას **ლასე ნილსენი** შეცვლის. "სელტიკთან" მატჩში იაკობსენის ნაცვლად წითელი ბარათი მის კოლეგა **მიხაელ ბოშამპს** აუფრიალეს, მაგრამ უეფამ შეცდომა გამოასწორა. ავსტრალიელი ლეგიონერი ძირითად შემადგენლობაში იქნება. დაშავებულია დანიის ნაკრების მარჯვენა მცველი **კასპერ ბოგელუნდი**, მაგრამ მაინც უნდა ითამაშოს.

"მანჩესტერ იუნაიტედს" ორი ნახევარმცველი აკლია: **ოუენ ჰარგრივსი** და **მაიკლ ქერიკი**. **ედვინ ვან დერ სარმა** ტრავმა მოიშუშა. ჰოლანდიელი მეკარე "ჩელსისთან" ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში დაშავდა, მაგრამ "ოლბორგთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოლბორგი:** ზაზა, ბოგელუნდი, ბოშამპი, ოლფერსი, ნილსენი, აუგუსტინუსენი, რისგარდი, ანდრეას იოჰანსონი, კაკა, დიუ, კურტი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გარი ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი,ევრა, რონალდო, ფლეტჩერი, სქოულზი, რუნი, ტევესი, ბერბატოვი.

**მსაჯი:** ოლეგარიო ბანკერენსა (პორტუგალია)

### ვილიარეალი-სელტიკი

"ვილიარეალი" ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. გუნდმა ხუთ ტურში 13 ქულას მოუყარა თავი. **მანუელ პელეგრინი** უკეთეს სტარტს ვერც კი ინატრებდა. მიმომხილველები "ყვითელ სუბმარინებს" ჩემპიონობისათვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებენ.

ორი კვირის წინ "ვილიარეალმა" მანჩესტერში 0:0 ითამაშა. გასულ უქმეებზე მან ხიხონის "სპორტინგს" 1:0 მოუგო. გოლი **ჯუზეპე როსიმ** გაიტანა. იტალიელი თავდამსხმელი ექვსკვირიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა მინდორს.

"სელტიკს" ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩებში უსუსტესი სტატისტიკა აქვს (მხოლოდ ერთი ქულა). ორი კვირის წინ გლაზგოელები დებიუტანტ "ოლბორგთანაც" ვერაფერს გახდნენ. სამაგიეროდ, შოტლანდიის პირველობაზე ასპარეზობენ კარგად ("რეინჯერსთან" წაგებას თუ არ ჩავთვლით). მათ ზედიზედ სამი გამარჯვება აქვთ.

"სელტიკი", როგორც წესი, 4-4-2 სქემით თამაშობს. **გორდონ სტრაჩანმა** "ვილიარეალთან", შეიძლება, ერთი თავდამსხმელი გამოიყვანოს. ვილიარეალელ **მარკოს სენას** ერთი პასით შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა.

ესპანელებს თავდასხმაში პრობლემები აქვთ. **ნიჰათი** ოპტიმალური ფორმისაგან შორსაა. როსის პრაქტიკა აკლია. ეს უკანასკნელი, შეიძლება, სკამზე გაამწესონ. ძირითადში კი მის ადგილას **ლორენტეს** ვიხილავთ. "სელტიკს" საკადრო პრობლემები არ აქვს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, კაპდევილა, გონსალო (ან ედმილსონი), გოდინი, ანხელი, პირესი, ეგურენი, სენა, კასორლა, ნიჰათი, როსი (ან ლორენტე).

**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი (ან ვილსონი), კოლდველი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, რობსონი, ჰარტლი, მელონი (ან მაკგიდი), სამარასი (ან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი).

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

### F ჯგუფი

### ფიორენტინა-სტიაუა

ორი კვირის წინ "ფიორენტინამ" "ლიონთან" შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. იტალიელები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ (**ჯილარდინოს** დუბლით). ბოლო 17 წუთში ფრანგებმა ორი გოლი შეაგდეს და შეხვედრა ფრედ დასრულდა.

დღეს ფლორენციული კლუბი პირველი სამი ქულის მოპოვებას აპირებს. რუმინელებს იტალიელებთან თამაში ჯოჯოხეთურად უჭირთ. "სტიაუა" აპენინურ კლუბებს ევროპულ სარბიელზე ცხრაჯერ შეხვდა და ერთხელაც ვერ მოუგო, უფრო მეტიც, გოლიც კი ვერ გაუტანა.

ორი კვირის წინ რუმინელებმა შინ "ბაიერნთან" მინიმალური ანგარიშით წააგეს. გოლი **დანიელ ვან ბუიტენმა** თავით გაიტანა. მასპინძელთა თავკაცი **მარიუშ ლეკატუში** იმედგაცრუებული დარჩა. მისი აზრით, გერმანელებს გაუმართლათ, რომ მოიგეს.

"ფიორენტინას" არავინ ჰყავს დისკვალიფიცირებული. არ ჰყავს გაფრთხილებულიც კი, რომ მას დისკვალიფიკაციის საფრთხეზე დაემუქროს. ორი კვირის წინ კვიპროსთან სანაკრებო მატჩის მოსამზადებელ ეტაპზე, ფლორენციელმა **ალესანდრო გამბერინიმ** მხარი ამოიგდო, თუმცა უკვე გამოჯანმრთელდა. მწყობრში არიან **ლუჩანო ძაური** და **ჯანლუკა კომოტო**. **მანუელ პასკუალს** კი ეს თამაშიც გაუცდება.

"ფიორენტინა" სამი თავდამსხმელით შეუტევს (**მუტუ**, **ჯილარდინო**, **სანტარა**). "სტიაუას" დაცვას დიდი ჯაფა დაადგება. გუნდს **ბანელ ნიკოლიტა** უბრუნდება. **ოვიდიუ პეტრემ** და **მირელ რადოიმ** ვარჯიში განაახლეს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა:** ფრეი, გობი, გამბერინი, კროლდრუპი, კომოტო, მონტოლივო, ფელიპე, დონადელი, მუტუ, ჯილარდინო, სანტანა.

**სტიაუა:** საპატა, მარინი, გიონეა, გოიანი, ოგარარუ, ტოია, გომესი, ლოვინი, სემედო, სტანჩუ, ანტურო.

**მსაჯი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

### ბაიერნი-ლიონი

მიმომხილველთა აზრით, ეს თამაში ტურის უმთავრესი შეხვედრა იქნება. ხუმრობა ხომ არ არის: გერმანიის ჩემპიონი საფრანგეთის ჩემპიონის პირისპირ. ბავარიელებს მძიმე დროება უდგათ. "სტიაუასთან" გამარჯვების შემდეგ, გუნდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ ორჯერ წააგო - ჯერ "ვერდერთან" 2:5, ხოლო გასულ უქმეებზე "ჰანოვერთან" 0:1. ნამატჩევს **მარკ ვან ბომელმა იურგენ კლინსმანი** გააკრიტიკა და თქვა, რომ გუნდს ტაქტიკა არა აქვს. მწვრთნელმა მას კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა.

სუსტად თამაშობს მეკარე **მიხაელ რენზინგი**. სპეკულაციების თანახმად "ბაიერნმა" მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. განიხილება ვალენსიელი **ტიმო ჰილდებრანდის** კანდიდატურა. მას გერმანელთა თავკაცი **იოგი ლიოვი** ლობირებს. ლიოვს ბუნდესგუნდისათვის სჭირდება მეკარე სტაბილური სათამაშო პრაქტიკით.

დავუბრუნდეთ დღევანდელ მატჩს: "ბაიერნის" ფსიქოლოგიური მდგომარეობა უკეთესის სურვილს ტოვებს. ამას ემატება ტრავმები. ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი, **ჰამით ალთინთოფი**, **კრისტიან ლელი** და **დანიელ ვან ბუიტენი** ტრავმებს იშუშებენ და გუნდს დღესაც დააკლდებიან.

"ლიონს" "ნანსისთან" ბოლო ტურის მატჩში (2:1) **ქარიმ ბენზემა** დაუშავდა. ექიმების განცხადებით, ტრავმა სერიოზული არ არის. თავდამსხმელმა მიუნხენში უნდა ითამაშოს. ფრანგებს ორი დაშავებული **ფაბიო სანტოსი** და **გროსო** არ ეყოლებათ. ეს უკანასკნელი იანვრამდე ვერ ითამაშებს. დაშავებულია კიდევ ერთი მცველი, **ფრანსუა კლერი**. მას მუხლის მყესი აქვს გაწყვეტილი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, შვაინშტაიგერი, ოტლი, ზე რობერტო, რიბერი, ტონი, კლოზე.

**ლიონი:** ლორისი, ბუმსონგი, კრისი, ტულალანი, სკილაჩი, რევეიერი, ჟუნინიო, ბოდმერი, გოვუ, კეიტა, ბენზემა.

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

### G ჯგუფი

### არსენალი-პორტუ

"არსენალმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში სენსაციური მარცხი იწვნია. მან შინ "ჰალ სიტისთან" წააგო (1:2). ლონდონელებს ცხრილში ღირსეული ადგილი უჭირავთ, მაგრამ უკლებლივ ყველა ქულა დაუგეგმავად გაანიავეს.

ორი კვირის წინ "მეთოფეებმა" კიევში ფრედ ითამაშეს (1:1). გუნდი შინ გაცილებით უკეთ თამაშობს. ლონდონელებს თურქეთსა და პორტუგალიაში სტუმრობა ელით. ამ ფონზე "ემირიტსზე" მოხვეჭილ ქულებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

ორი კვირის წინ "პორტუმ" "ფენერბაჰჩეს" 3:1 ასიამოვნა. **ლუჩო გონსალესი** საუცხოო ფორმაშია. შარშანდელი სეზონის შემდეგ, "პორტუ" საგრძნობლად დასუსტდა. მოგეხსენებათ, ზაფხულის ტრანსფერებისას ის **ჟოზე ბოსინგვასა** და **რიკარდო კვარეშმას** გამოეთხოვა.

"არსენალს" **სამირ ნასრი** უბრუნდება. დაშავებული არიან **ალექს სონგი**, **აბუ დიაბი**, **ედუარდო** და **ტომაშ როსიცკი**. **არსენ ვენგერმა** დაცვის გასაძლიერებლად შეიძლება **იოჰან ჯურუს** უხმოს. "არსენალს" ჩემპიონთა ლიგაში 22-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია აქვს. "პორტუს" ინგლისში ოთხი თამაშია, არ მოუგია. ის "ემირიტსს" გასულ სეზონშიც ეწვია და 0:2 წააგო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კოლო ტურე, გალასი, კლიში, ფაბრეგასი, დენილსონი, უოლკოტი, ნასრი, ადებაიორი, ვან პერსი.

**პორტუ:** ელტონი, საპურანუ, ბრუნო ალვეში, როლანდო, ფუჩილე, ტომაშ კოშტა, რაულ მეირელესი, ლუჩო გონსალესი, ტარიკი, ლისანდრო, როდრიგესი.

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

### ფენერბაჰჩე-დინამო

"ფენერმა" შარშანდელ ლიგაში შთამბეჭდავად ითამაშა. მაგრამ ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ, გუნდის საქმეები ვერ აეწყო. **ლუის არაგონესს** დათხოვნა ემუქრება. გუნდი თურქეთის ჩემპიონატშიც სუსტად ასპარეზობს და ორი კვირის წინ, "პორტუსთანაც" იოლად წააგო (1:3). სტამბოლელთა ერთადერთი იმედი მათი სტადიონია. მათ "შუქრუ სარაჩოღლუზე" 14-მატჩიანი წაუგებელი ევროპული სერია აქვთ.

კიევის "დინამოს" 1 აგვისტოს შემდეგ არ წაუგია. მას მერე გუნდმა უკრაინის პირველობაზე ერთი ფრე ითამაშა და ჩემპიონთა ლიგაში - ორი („არსენალთან“ ორი კვირისწინანდელი მატჩის გარდა, საკვალიფიკაციო ეტაპზე, ირლანდიურ "დროგედასთან"). კიეველთათვის სტამბოლური ფრეც მისაღები შედეგი უნდა იყოს.

"ფენერბაჰჩეს" ძირითადი მეკარე **ვოლქან დემირელი** უბრუნდება. თურქებს საკადრო პრობლემები აქვთ, საეჭვოა **სემიჰ სენთურქის**, **ხოსიკოს**, **ალექსისა** და **ედუს** ასპარეზობა. ვერ ითამაშებენ **დეივიდი** და **ვედერსონი**, რომელთაც ამ სეზონის უკლებლივ ყველა თამაში გამოტოვეს. მწყობრშია თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **კოლინ კაზიმ-რიჩარდსი**. მას **დანიელ გუისა** შეეშველება.

ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდებათ სტუმრებსაც: **იუსუფი**, **არტემ მილევსკი**, **ოლეგ გუსევი** და **კარლოს კორეა**. გვინეელი თავდამსმელი ძირითადში ითამაშებს **ისმაელ ბანგურა**. ნახევარდაცვას **ოგნიენ ვუკოევიჩი** გაუძღვება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გონული, ლუგანო, ონდერი, რობერტო კარლოსი, ემრე, შაჰინი, ალექსი, ბორალი, რიჩარდსი, გუისა.

**დინამო:** შოვკოვსკი, ბეტაო, დიაკატე, მიხალიკი, ნესმაჩნი, ვუკოევიჩი, ნინკოვიჩი, ალიევი, გიოანე, ერიომენკო, ბანგურა.

**მსაჯი:** ტომას აინვალერი (ავსტრია)

### H ჯგუფი

### ზენიტი-რეალი

წელს "ზენიტმა" ორი ტიტული მოიპოვა. მან უეფას თასი და ევროპის სუპერთასი დაისაკუთრა. პეტერბურგელები პირველად თამაშობენ ჩემპიონთა ლიგაში, რუსეთის პირველობაზე კი პრობლემები შეექმნათ. გუნდი ორ ფრონტზე სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა. ის 14 ქულით ჩამორჩება გათამაშების ლიდერ ყაზანის "რუბინს". მას შვიდი ქულა აშორებს მეორე ადგილისაგან, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. წელს "ზენიტი", შეიძლება, ევროპული საგზურის გარეშე დარჩეს.

მადრიდის "რეალი", რახანია, მე-10 ჩემპიონთა თასს უმიზნებს. სამეფო კლუბი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ლიგას მერვედფინალში ეთიშება. მიმომხილველთა აზრით, წელს მადრიდელებს შეუძლიათ, ნავსი გატეხონ. გასულ უქმეებზე "რეალმა" "ბეტისს" 2:1 სძლია. ყველა ტურნირში ეს გუნდის ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იყო.

"ზენიტს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს. გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი **რომან შიროკოვი**, აგრეთვე თურქი თავდამსხმელი **ფათიჰ თექე**. ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება ბელგიელი მცველი **ნიკოლას ლომბერტსი**. მას მუხლის მყესები გაიწყვიტა.

ბატე-სთან პირველ მატჩში "რეალს" **პეპე** და **რუბენ დე ლა რედი** დააკლდა. მათ სასჯელები მოიხადეს და პეტერბურგში გაემგზავრნენ. "ბეტისთან" მატჩში **ბერნდ შუსტერმა ფაბიო კანავარო** დაასვენა. დღეს ის ძირითადში ითამაშებს. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **ვესლი სნეიდერი**, **ფერნანდო გაგო** და **გუტი**. **რაულმა** ბოლო ოთხი შეხვედრა ძირითადში ჩაატარა. დღეს ის შეიძლება სკამზე გაამწესონ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, კრიჟანაცი, პიუგრენიე, სირი, ზირიანოვი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, დანი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, ვან დერ ვაარტი, დიარა, დე ლა რედი, იგუაინი, ვან ნისტელროი, რობენი.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### ბატე-იუვენტუსი

"იუვენტუსის" სტუმრობა ბელარუსისათვის განსაკუთრებული მოვლენაა. ბატე სახელოვანი მეტოქისათვის თავის დახრას არ აპირებს. ის სასურველი შედეგის მიღწევას შეეცდება. ორი კვირის წინ, ყველასათვის უცნობმა კოლექტივმა "რეალს" დიდი ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ 0:2 წააგო.

პირველ ტურში "იუვენტუსმა" "ზენიტს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით მოუგო. იტალიის პირველობაზე "ქალბატონმა" "კატანიასა" და "სამპდორიასთან" ზედიზედ ორი ფრე ითამაშა. მიმომხილველთა აზრით, გუნდი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფება.

მასპინძლებს ერთი ფეხბურთელი დააკლდებათ: ნახევარმცველი **ანრი კაგუში**, რომელიც მადრიდული მატჩისას გააძევეს. "იუვენტუსის" პრობლემები უფრო სერიოზულია. ვერ ითამაშებენ **ჟორჟე ანდრადე**, **კრისტიანო ძანეტი**, **დავიდ ტრეზეგე** და **ჯონათან ზებინა**. ტურინში დარჩნენ **კრისტიან პოულსენი** და **ჯანლუიჯი ბუფონი**. **კლაუდიო რანიერიმ**, შეიძლება, ისევ ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს ახალგაზრდა ვარსკვლავი **სებასტიან ჯოვინკო**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბატე:** ვერემენკო, ლიხტაროვიჩი, სოსნოვსკი, მირჩევი, კრივეცი, ნეხაიჩიკი, კაზანცევი, სივაკო, სტასევიჩი, იურევიჩი, ზაუნერჩუკი.

**იუვენტუსი:** მანინგერი, დე ჩელიე, კიელინი, ლეგროტალიე, გრიგერა, ნედვედი, კამორანეზი, სისოკო, ჯოვინკო, დელ პიერო, ამაური.

**მსაჯი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა


რაფაელ ვან დერ ვაარტი



ანდრეი შევჩენკო

ფეხბურთი და ავტო

# ოთხი ბეჭდის მბრძანებლები

## აუდის ახალი მოდელები რეალისა და მილანისთვის

„აუდის“ მძლოლ ფეხბურთელთა დიდ ოჯახში, რომელშიც შედიან **რონალდინიო, ჯანლუკა ძამბროტა, ფაბიო კანავარო, რაფაელ ვანდ დერ ვაარტი, ანდრეი შევჩენკო** და **რუუდ ვან ნისტელროოი**, ამ დღეებში მატებაა. „აუდის“ კონცერნმა პარტნიორი კლუბების, „რეალისა“ და „მილანის“ რამდენიმე ფეხბურთელს ახალი მოდელები გადასცა.

2003 წლის დასაწყისიდან „აუდი“ ექსკლუზიური მოდელებით ამარაგებს „რეალს“. ახლა ეს პარტნიორობა ახალი გზით მიდის. ამის დამადასტურებელია გოლფის ტურნირი „ბოადილია დელ მონტეს“ გოლფკლუბის მოედანზე, რომელიც „აუდის“ ინიციატივით მოეწყო, სანამ ესპანური კლუბის ფეხბურთელებს მანქანის გასაღებს ოფიციალურად გადასცემდნენ. ორად გაყოფილი გუნდიდან ამოარჩიეს გოლფის სეზონის საუკეთესო და ახალბედა მოთამაშე. ვან დერ ვაარტის გარშემო შემოკრებილი ფეხბურთელები სწორედ გოლფით ერთობოდნენ.

დადგა მოდელების არჩევის მომენტიც და ფეხბურთის ვარსკვლავებმა „აუდის“ ყველაზე სპორტულ მოდელებს დაადგეს თვალი. იმ დროს, როცა ვან დერ ვაარტს 4.2 ლ სამუშაო მოცულობის ძრავიანი „აუდი S5“ გადასცეს, მისი თანაგუნდელები - **პეპე, სერხიო რამოსი, ფერნანდო გაგო** და **უესლი სნეიდერი** მომავალში სპეციალურ სავარჯიშო სესიებს გაივლიან „აუდი R8“-ით. სამეფო კლუბის მოთამაშეთა შორის კიდევ ერთი პოპულარული მოდელია „აუდი Q7“. არც მეტი, არც ნაკლები, 9 ფეხბურთელმა გამოთქვა ამ მანქანის მიღების სურვილი.

„მილანის“ ფეხბურთელები უფრო თავისუფალნი იყვნენ „აუდის“ მოდელების არჩევისას. საერთაშორისო არენაზე მოპოვებული 18 ტიტულით „როსონერი“ მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ საფეხბურთო კლუბადაა მიჩნეული. რონალდინიოს ხმაურიანი გადაბირებით „მილანმა“ სატრანსფერო ბაზარზე ერთგვარი სენსაცია მოახდინა. ბრაზილიელი ვარსკვლავი ბარსელონასა თუ მილანში ისევ ოთხბეჭდიანი ემბლემით შემკული ავტოთი ივლის. მას გადასცეს „აუდი Q7“, 4.2 - ლიტრიანი დიზელის ძრავით. იგივე მოდელი აირჩიეს სხვებმაც, კერძოდ, რონალდინიოს თხუთმეტმა თანაგუნდელმა, **კაკამ** „აუდი R8“-ს დაადგა თვალი.

„აუდისთან“ პარტნიორობის დადებით მხარეზე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა და ფაქტობრივმა მმართველმა **ადრიანო გალიანიმ** „მონცას“ ავტოდრომზე, ფეხბურთელებისთვის მანქანების გადაცემის დროს ისაუბრა:

*„ჩვენი კლუბის სახელით მსურს სიამაყით განვაცხადო: ამ პრესტიჟულმა ავტომწარმოებელმა „მილანი“ ამოირჩია იმიტომ, რომ იტალიაში ფეხბურთის დახმარებით დამკვიდრებულიყო. ამით გრძელდება ორ დიდ ბრენდს შორის მთელ მსოფლიოში აღიარებული პარტნიორობა. შავ-წითელი საფეხბურთო მაისურა და ოთხი ბეჭედი ყველგან შესამჩნევი სიმბოლოა. ისინი პრესტიჟსა და დიდ შედეგებზე ზრუნავენ“.*

ცნობისთვის, „აუდი“ და „მილანი“ 2007 წლიდან პარტნიორობენ. მათ ხელშეკრულება 2010 წლამდე გააგრძელეს.

ფეხბურთელებისთვის ავტომობილების გადაცემის ოფიციალურ ცერემონიალს დაესწრო ადამიანი, ვინც უდიდესი როლი შეასრულა „აუდის“ მსოფლიო პოპულარიზაციაში. ესაა **რინალდო „დინდო“ კაპელო,** კაცი, რომელმაც ლეგენდარული „ლე მანის 24-საათიანი რბოლა“ სამჯერ მოიგო. ბოლოს ეს ახლახან, ივნისში მოხდა. კაპელოს, **ტომ კრისტენსენის** და **ალან მაკნიშის** იტალიურ-დანიურ-ბრიტანულმა ტრიომ დიზელის ძრავიანი, ლია ტიპის სპორტპროტოტიპ „აუდი R10TDI“-ით გაიმარჯვა. როცა „დინდო“ სპორტკარის კოკპიტში არ ზის, ამ დროს მილანის ოლქ ალესანდრიაში განთავსებულ „აუდის“ ცენტრზე ზრუნავს.

ლეგენდები

# როცა მეკარეებსაც გააქვთ...

*„დღეს ჩვენი არსებობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მიზანია არა მარტო გადავარჩინოთ კარი გოლისგან, არამედ წინ თამაშითაც დავეხმაროთ გუნდს“*, - ეს სიტყვები ეკუთვნის ლეგენდარულ კოლუმბიელ მეკარე **რენე იგიტას,** რომელსაც ეტყობა სჯერა, რომ გოლების გატანა უფრო შეუძლია, ვიდრე ბურთების მოგერიება.

სანახაობა ყოველთვის გარანტირებულია, როცა მეკარე მეგოლედ გადაიქცევა ხოლმე. გულშემატკივრები, მოთამაშეები და მწვრთნელები სხვანაირად აღიქვამენ იმ სიტუაციას, როცა კარის დარაჯი, რომელიც დროის რაღაც მონაკვეთში უმოძრაოდ და უმოქმედოდ დგას, გამოცოცხლდება და მეტოქის საჯარიმოში რიცხობრივი უპირატესობის შექმნა შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ მათ მთავარ მოვალეობას ბურთების მოგერიება შეადგენს, დაგვეთანხმებით, თამაში უფრო საინტერესო ხდება, როცა მეკარე თავდამსხმელის ფუნქციებს ითავსებს. მაგრამ ამავე დროს, ის იმდენად სწრაფი და მოქნილი უნდა იყოს, რომ კარში დაბრუნებაც მოასწროს, რათა მოწინააღმდეგეს, კონტრშეტევისას, კარი ცარიელი არ შეატოვოს. ასეთი მაგალითებით ძირითადად სამხრეთამერიკული ფეხბურთი გამოირჩევა. გავიხსენოთ სამი ყველაზე ცნობილი გოლკიპერი, რომელსაც მოწინააღმდეგის კარისკენ არაერთი წარმატებული რეიდი ჩაუტარებია. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი იშვიათი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი.

ერთ-ერთი ასეთი ოსტატია პარაგვაელი **ხოსე ლუის ჩილავერტი.** 43 წლის მეკარე „ალბიროხას“ (პარაგვაის ნაკრების მეტსახელი) კარს ბოლოს საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იცავდა, სადაც ის ტურნირის საუკეთესო „მეცინოვნედ“ აღიარეს. თანაგუნდელების გამხნევებისა და მათთან ერთად შეტევაზე გადასვლის მისეული სტილი ძალიან ბევრს მოსწონდა.

*„ბევრი რამ მინახავს და გამიკეთებია ფეხბურთში, მაგრამ ერთი რამ, რითაც ვამაყობ, არის მეკარის იმიჯი. მანამდე, ჩვენ ვდგამდით რაღაც ძეგლს, რომელიც კარის შუაგულში დგას და იტანს დაცინვასა თუ სტვენას, როცა შეცდომას უშვებს. მაგრამ ჩვენ ეს სტერეოტიპი შევცვალეთ. ვაჩვენეთ, რომ ბევრი რამის შეცვლა შეგვიძლია, თვით თამაშის მოგებაც კი“* - განუცხადა ჩილავერტმა ფიფას ვებგვერდის კორესპონდენტს.

მან ფეხბურთს თავი 2003 წელს დაანება, როცა მის ანგარიშზე 60-ზე მეტი გოლი ირიცხებოდა, მათ შორის, გამაოგნებელი „ჰეთ-თრიკი“ შინაური ლიგის 1999 წლის გათამაშებაში.

**რენე იგიტა,** კოლუმბიის ნაკრების მეკარე 1987-1999 წლებში, ეჭვგარეშეა, ყველაზე გამორჩეული, ექსცენტრიკული კარის ბურჯია. არ შეიძლება, არ გაგახსენდეს 1995 წელს, ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის დროს, მის მიერ მოგერიებული ბურთი, რომელსაც „მორიელის დარტყმა“ უწოდეს. იმის მაგივრად, რომ ჩვეულებრივად აელო ერთ-ერთი მორიგი შეტევისას დარტყმული ბურთი, ის წინ გადახტა, თითქმის კარის ხაზიდან ქუსლებით გამოიტანა ბურთი და ხელებით დაეყრდნო „უემბლის“ გაზონს. ძნელია ამის სიტყვებით გადმოცემა. თუმც მკითხველთა დიდ ნაწილს ეს საზღაპრო კადრი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ქრესტომათიასა და კურიოზებშია შესული, უთუოდ ნანახი ექნება (იხ. ფოტო ერთ-ერთი ვარჯიშიდან).

*„ზოგი ამბობს, ცოტათი გიჟს უნდა ჰგავდე, კარგი მეკარე რომ იყოო. მათ მიაჩნიათ, რომ ძალიან სარისკოა, როცა მეკარე საჯარიმო დარტყმას ასრულებს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ დრო შეიცვალა. ახლა ჩვენი როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური ხდება. მეკარის მიზანია არა მარტო გადავარჩინოთ კარი გოლისგან, არამედ წინ თამაშითაც დავეხმაროთ გუნდს“* - მიაჩნია „ელ ლოკოს“ (ანუ, შეშლილი - იგიტას მეტსახელი).

შესაძლოა, ზემოთ ხსენებული წყვილი ორი გამორჩეული სამხრეთამერიკელი მეკარეა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტი ბურთი **როჟერიუ სენის** აქვს გატანილი. 35 წლის ბრაზილიელის ანგარიშზე 80-ზე მეტი გოლია და ამიტომ, ის მსოფლიოში ყველაზე სასარგებლო გოლკიპერადაა აღიარებული. „სან პაულუსთან“ ერთად მან სამჯერ მოიგო „ლიბერტადორესის თასი“, ხოლო 2005 წელს, იაპონიაში, გუნდს ფიფას საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატიც მოაგებინა, თავად კი ტურნირის საუკეთესო მეკარედ დასახელდა.

სენი შესანიშნავად ასრულებს არა მარტო საჯარიმოებს, არამედ პენალტებსაც. გერმანიასაც ჰყავს მსგავსი სპეციალისტი. **ჰანს-იორგ ბუტმა** ბუნდესლიგის 324 მატჩში 26 საჯარიმო დარტყმა შეასრულა და გერმანიაში ყველაზე წარმატებულ გოლეადორ მეკარედ ითვლება. 34 წლის გოლკიპერი „ჰამბურგში“, „ლევერკუზენსა“ და „ბენფიკაში“ თამაშობდა, მერე კი „ბაიერნის“ სარეზერვო მეკარე გახდა.

2004 წლის აპრილში ბუტმა საკუთარ თავზე მტკივნეულად გამოსცადა ის, რასაც წარმატებიდან მარცხამდე ერთი ნაბიჯი ჰქვია, უფრო სწორად - წარმატებიდან საცოდაობამდე. „ლევერკუზენისა“ და „შალკეს“ მატჩის 76-ე წუთზე მან გოლი გაიტანა და ანგარიში 3:1 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. საზეიმო ხტუნვა-ხტუნვაში საკუთარ კარამდე მას დაახლოებით 100 მეტრი უნდა დაეფარა. ამ დროს, ჩვეული პოზიციის დაკავებაც ვერ მოასწრო, როცა ბურთმა თავზე გადაუფრინა და... ბადეში გაეხვია. „შალკეს“ ფორვარდმა **მიკე ჰანკემ** ცენტრში ბურთის გათამაშების შემდეგ რამდენიმე მეტოქე მოატყუა და ბუტის კარისკენ ზუსტად დაარტყა...

მეკარეებს იშვიათად გააქვთ გოლი ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაციიდან, მაგრამ გერმანიის ნაკრების აწ უკვე ყოფილი კარის დარაჯი **იენს ლემანი** ამ მხრივ გამონაკლისია. 1997 წლის დეკემბერში, „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიის“ (რურის დერბი) შეხვედრის დროს, ლემანმა ბოლო წუთზე თავური გაიტანა და მატჩი 2:2 დამთავრდა. ცოტა ხნის წინ, ბრაზილიური სერია B-ს მატჩში, „ავაის“ მეკარე **ედუარდუ მარტინიმ** გოლი 100 მეტრიდან შეაგდო. აქვე, შეგვიძლია გავიხსენოთ ბორისოვის ბატე-სა და თბილისის „დინამოს“ ოთხი წლის წინანდელი მატჩი (უეფას თასზე), როცა მასპინძელთა მეკარე **ალექსანდრ ჟევნოვმა** ქართველ კოლეგას სწორედაც საკუთარი კარიდან გაუტანა.

ასეა თუ ისე, წესმა, რომელიც უკრძალავს მეკარეს თანაგუნდელისგან ფეხით დაბრუნებული ბურთის ხელში აღებას, ორ ძელს შორის მდგომი ადამიანის ნიჭი სხვა კუთხით გამოავლინა. ჰოლანდიელი **ედვინ ვან დერ სარი** მიჩნეულია ყველაზე ჭკვიან მეკარედ, რომელიც თავისუფლად ერთვება შეტევაში, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს. მაგრამ ეს სულ უფრო იშვიათად ხდება, რადგან დღეები, როცა მცველებისა და გულშემატკივრების თვალწინ მეკარე ტოვებდა თავის „სამუშაო ადგილს“ და ცდილობდა, დახმარებოდა შეტევას, ისტორიას ჩაჰბარდა.


რენე იგიტას მორიელის დარტყმა

გვერდი მოამზადა
დავით ჩუბინიძე



ბარსელონა

# მესიმ ეტოოს გოლი წაართვა?

## ლაპორტა ესპანიოლს ადანაშაულებს

„ესპანიოლისა“ და „ბარსელონის“ დერბი სკანდალური გამოდგა. ამ თემაზე მიმოხილვისას უკვე ვისაუბრეთ. გახსოვთ, რომ „ბარსას“ „ულტრასებმა“ „მონჟუიკზე“ ნამდვილი ობსტრუქცია მოაწყვეს. სტუმრების ვაი გულშემატკივრებმა „ესპანიოლის“ „ინჩასებს“ მაშხალები დაუშინეს. მერე არც ეს იკმარეს და ხალხის მასაში ტრიბუნის შესასვლელთან მოგლეჯილი რკინის კარი ისროლეს. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ბარსელონური დერბის ერთ საინტერესო დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას.

შეხვედრის მინურულს არბიტრმა **ლუის მედინა კანტალეხომ** მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. „ესპანიოლის“ ფეხბურთელები მსაჯს შემოეხვივნენ და ჩხუბი დაუწყეს. ამასობაში, **სამუელ ეტოო** და **ლეო მესი** ერთმანეთს საკმაოდ ცხარედ ეკამათებოდნენ. საქმე ისაა, რომ პენალტის შესრულება ეტოოს ევალება. ყველა დარწმუნებული იყო, რომ დარტყმას სწორედ კამერუნელი შეასრულებდა, მაგრამ... გოლი მესის ანგარიშზე ჩაიწერა.

გუშინ „ბარსელონის“ ოფისში არგენტინელმა ფორვარდმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ალბათ, ლეო ფიქრობდა, რომ ჟურნალისტებს ყველაზე მეტად გუნდში არსებული სიტუაცია აინტერესებდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქტუალური თემა სწორედ ის ეპიზოდი იყო, როცა ეტოოს პენალტი არ დაარტყმევინა. მესიმ მომხდარი ასე განმარტა:

*„ძალიან გთხოვთ, ამის გამო სკანდალს ნუ აავორებთ. პენალტის დარტყმა ეტოოს უნდოდა, ეს ყველამ დაინახა, მაგრამ მაშინ მისი ჯერი არ იყო. თუ გახსოვთ, „რასინგთან“ შეხვედრაში 11-მეტრიანი სწორედ სამუელმა შეასრულა. ამიტომ, გადავწყვიტე, „ესპანიოლისთვის“ მე გამეტანა. მოკლედ, პენალტები ერთმანეთის მონაცვლეობით უნდა შევასრულოთ. სხვათა შორის, გვარდიოლასგან სრული თავისუფლება გვაქვს მონიჭებული. მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, ერთმანეთში მოილაპარაკეთო. ჰოდა, მეც ამ უფლებით ვისარგებლე“.*

ახლა კი დერბიში მომხდარ ინციდენტს დავუბრუნდეთ. პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. სამართალდამცავებმა უსაფრთხოებისთვის საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარეს და „ბოიშას ნოუს“ („ბარსას“ ფანების რადიკალური დაჯგუფება) ვანდალებს ამით ხელ-ფეხი გაუხსნეს. კიდევ კარგი, პოლიციამ ინციდენტის შემდეგ მაინც იყოჩაღა და ეჭვმიტანილები დროულად დააკავა. სპეცრაზმის კლანჭებში 25 გულშემატკივარი აღმოჩნდა, თუმცა სასამართლომ მტკიცებულებების ნაკლებობის გამო 20 კაცი დარბაზიდან გაათავისუფლა, ხუთ „ინჩასს“ კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„ესპანიოლის“ ხელმძღვანელობა „ბარსას“ ქომაგების ქმედებით აღშფოთებულია და პასუხისმგებლობას კლუბის ბოსებს აკისრებს. **ჟოან ლაპორტასთვის** მათი მოსაზრება სრულიად მიუღებელი და გაუგებარია. აი, რა განაცხადა კატალონიური გრანდის პრეზიდენტმა:

*„მომხდარი ფაქტის გამო ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ მესმის, ჩვენ რა შუაში ვართ. „ბარსელონას“ არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. პასუხი შეხვედრის ორგანიზატორებმა და ეჭვმიტანილებმა უნდა აგონ. ჩვენ უსაფრთხოებისთვის ძალიან დიდ ფულს ვხარჯავთ, მაგრამ ამ საქმეში ფული მაინც არ არის მთავარი, მთავარი მონდომებაა. „ესპანიოლის“ მესვეურებმა ბევრი გარემოება ვერ გაითვალისწინეს და ახლა ჩვენ გვაბრალებენ. სჯობდა, დაგვკავშირებოდნენ და გულშემატკივრების შავ სიას მაშინვე მივაწვდიდით. „ბოიშას ნოუს“ დაჯგუფებას „კამპ ნოუზე“ შესვლა დიდი ხნის წინ ავუკრძალეთ. მოკლედ, საკუთარი შეცდომის გამო პასუხისმგებლობის სხვაზე დაკისრება ამორალური საქციელია“.*

ვალენსია

# ხოაკინი: კუმანი არაკვალიფიციურია

„ვალენსია“ პრიმერა დივიზიონის ლიდერია. „ღამურებმა“ პირველობა მეხუთე ტურშიც შეინარჩუნეს. ყველა გულშემატკივარს ახსოვს, რომ გასულ სეზონში ეს გუნდი უძლიერესთა ლიგიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ამ გასაოცარი ტრანსფორმაციის უმთავრეს მიზეზად **ხოაკინი** მთავარი მწვრთნელის შეცვლას ასახელებს. გამოცდილმა ესპანელმა ნახევარმცველმა **რონალდ კუმანის** მისამართით ისეთი სიტყვები დახარჯა, რომ ჰოლანდიელი ნასიამოვნები ნამდვილად ვერ დარჩებოდა:

*„დეპრესია და სასოწარკვეთა დაძლეულია. ჩვენ ლიდერები ვართ. „ვალენსია“ ელიტას დაუბრუნდა. არადა, გასულ სეზონში დამცირებული და შეურაცხყოფილი ვიყავით. დამეთანხმებით, შემადგენლობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. იგივე ბიჭები წელს გაცილებით გამართულ და სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობთ. ამის გამო ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა გახდა ასეთი ტრანსფორმაციის მიზეზი - რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის შეცვლა. როგორც იქნა, ნამდვილი საფეხბურთო სპეციალისტი დაგვინიშნეს. კუმანმა თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა. ის საკუთარ პერსონაზე შეყვარებული ადამიანია და ცდილობდა, ჩვენზე უპირატესობა დაემტკიცებინა. დარწმუნებული ვარ, შარშანდელი ყველა პრობლემა მისი დილეტანტური მუშაობის ბრალია“.*

მართლაც სერიოზული ბრალდებაა. სრული სურათის შექმნის მიზნით, ჟურნალისტმა ხოაკინს შეახსენა, რომ კუმანის მეთაურობით „ვალენსია“ ესპანეთის სამეფო თასს დაეუფლა. ანდალუსიელს ამ შენიშვნაზე ასეთი პასუხი აქვს:

*„ეს შემთხვევითობისა და ფეხბურთელთა თავდადების წყალობით მოხდა. ჩვენ გავბრაზდით და გავიმარჯვეთ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ესპანეთის სამეფო თასი განსხვავებული ფორმატის ტურნირია. პრიმერა დივიზიონს კი სტაბილურობა სჭირდება. კუმანმა ნამდვილად არ იცოდა, გუნდს სტაბილურობა როგორ უნდა მოეპოვებინა. მოკლედ, ჩვენი ყოფილი მწვრთნელი არაკვალიფიციური სპეციალისტია და მიხარია, რომ „ვალენსიას“ აღარ ავარჯიშებს...“*




ატლეტიკო

# აგირეს ეშინია...

## სევილიამ როხიბლანკო მიწაზე დაანარცხა

„ატლეტიკომ“ მიმდინარე სიზონში პირველი საშინაო შეხვედრა წააგო. დაგვეთანხმებით, დედაქალაქური კლუბის შთამბეჭდავ თამაშებს გულშემატკივრები სეზონის დაწყებისთანავე შეეჩვივნენ, მაგრამ ამჯერად, „როხიბლანკოს“ არ გაუმართლა. *„სევილიამ“ „ატლეტიკო“ ღრუბლებიდან მიწაზე დაანარცხა,“* - ასეთი შეფასება მისცა **ხავიერ აგირეს** ბიჭების მარცხს „დიარიო მარკამ“. მადრიდელთა წარუმატებლობა **ლუიშ ფაბიანოს** ერთადერთმა გოლმა განაპირობა. საკადრო პრობლემებმა მასპინძელს სერიოზულად გაურთულა საქმე. ტრავმების გამო აგირეს გუნდს **მანიშე** და **სიმაო** გამოაკლდნენ. გამოჩნდა, რომ პორტუგალიური დუეტი სერიოზულ ძალას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, „ატლეტიკოს“ ნახევარდაცვაში ძალიან უჭირდა. რა დასამალია და, **ბანეგასა** და **ლუის გარსიას** წყვილი დაკისრებულ ამოცანას ვერ გაუმკლავდა. ამიტომაც იყო, რომ სევილიელები ბურთს საიმედოდ აკონტროლებდნენ და მეტოქის საჯარიმოს განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე უახლოვდებოდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს არ იყო „ატლეტიკოს“ დღე...

აგირე 3 ქულის დაკარგვით, რა თქმა უნდა, უკიდურესად უკმაყოფილო დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მის შეგირდებს საქმე არ გამოსდიოდათ, მექსიკელ სპეციალისტს მათთვის საყვედური არ უთქვამს:

*„სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი თამაში წავაგეთ. ისე ვერ ვიასპარეზეთ, როგორც დავგეგმეთ, მაგრამ ამაში ფეხბურთელების დანაშაულს ვერ ვხედავ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. გასათვალისწინებელია, რომ საკადრო პრობლემები გვქონდა. იმედია, ამ სიტყვებს სპეკულაციისთვის არავინ გამოიყენებს. არ გამოვრიცხავ, რომელიმე ჟურნალისტმა, ექსპერტმა ან მწვრთნელმა თქვას, რომ „ატლეტიკოს“ ეგრეთ წოდებული მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს. დღევანდელი წარუმატებლობა, ალბათ, უფრო მარტივად უნდა აიხსნას - „სევილიას“ ყველაფერი გამოუვიდა, ჩვენ კი არაფერი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ფეხბურთში მსგავსი რამ ხშირად ხდება...“*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი

# კლინსმანს მაშინ ლიოვი ჰყავდა...

## იურგენის შეცდომები. ფეხბურთელებს ჰიტცფელდისეული ტაქტიკური განმარტებები ენატრებათ

მაშ ასე: „ბაიერნი" კრიზისშია, იურგენ კლინსმანი კი - ამ კრიზისის ეპიცენტრში. „ვერდერთან" წაგება (2:5) რეკორდმაისტერისთვის ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი იყო 1979 წლის შემდეგ. „ჰანოვერთან" 0:1-ის შემდეგ კი უკვე ფაქტია, რომ მიუნხენურმა გრანდმა 1977 წლის მერე ბუნდესლიგაში ყველაზე ცუდი სტარტი აიღო - ორი ანტირეკორდი და ზედიზედ ორი მარცხი 8 დღის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ კლინსის წინამორბედმა ოტმარ ჰიტცფელდმა გასულ სეზონში (ბუნდესლიგაში) მხოლოდ ორი თამაში წააგო. კლინსმანს კი ორი წაგება 6 ტურის შემდეგ აქვს. ეს ისე, ცნობისთვის...

### როტაცია

როტაციას **ოტმარ ჰიტცფელდიც** მიმართავდა და საკმაოდ ხშირად წარმატებასაც აღწევდა. **იურგენ კლინსმანმა** კი, ფაქტია, ამ მხრივ ნამდვილად გადააჭარბა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ მას მერე, რაც კლინსიმ გერმანიის თასზე კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** არ ათამაშა, გუნდის (**ოლივერ კანის** წასვლის შემდეგ) ისედაც არეული იერარქია, კიდევ უფრო აურ-დაურია. „ჰანოვერთან" იურგენმა **ზე რობერტო** და **ლუსიო** განაცხადში საერთოდ არ შეიყვანა, ხოლო **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **დანიელ ვან ბუიტენი** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მცირე ტრავმები აწუხებდათ. ლუსიო და ზე რობერტო კი აბსოლუტურად ჯანმრთელები იყვნენ. ძირითად შემადგენლობაში **ბრენო** და **ხოსე ერნესტო სოსა** ვიხილეთ.

„ბაიერნის" ყოფილი კაპიტანი **შტეფან ეფენბერგი** ცამდე მართალია, როცა ამბობს - სეზონი ახალი დაწყებულია და როტაცია, მით უმეტეს, ასეთი მასშტაბებით, ნამდვილად ნაადრევიაო. დისკუსიები მიდის გუნდის შიგნითაც. მაგალითად, ვან ბომელის თქმით, როცა მწვრთნელი როტაციას მიმართავს, ეს მისი საქმეა. მაგრამ კითხვაზე - განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ დიდი ამბიციების მქონე გუნდი ჯერ შეთამაშდეს და მერე დაიწყოს როტაციებიო, ჰოლანდიელი ასე პასუხობს: *„მართალი ხართ"!*

ნაადრევ როტაციას კი მხოლოდ ის შედეგი მოაქვს, რომ რეკორდმაისტერის მეტოქეებს ხელ-ფეხი ეხსნებათ.

### სისტემა

ჯერ იყო 4-4-2, მერე 3-5-2, ახლა ისევ 4-4-2. თანაც, ამჯერად ოთხი, ერთ ხაზზე განლაგებული ნახევარმცველი - ორი ჩამშლელითა და ორი ფლანგის შუამარბით. „ბილდის" ინფორმაციით, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს, ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ კლინსმანს თითქმის არასდროს აქვს სრულყოფილი გეგმა ტაქტიკის შესახებ. და სწორედ აქ იშვაის მოსაზრება, რომ იურგენი, როგორც მწვრთნელი, ჯერ სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის და რომ გერმანიის ნაკრებში მისი წარმატებები **იოახიმ ლიოვის** დამსახურება იყო, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავდა ბუნდესგუნდის ტაქტიკა-სტრატეგიას. კლინსი კი... კლინსი, უბრალოდ, მოტივატორის როლს თამაშობდა.

### კლინსმანის ენა

ყველას კარგად გვახსოვს ამონარიდები მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაღებული ფილმიდან, რომელშიც კლინსმანი თავის შეგირდებს ისეთ სიტყვებს ეუბნება, რომ ისინი მზად არიან, მოედანზე თავი დადონ.

და რა ხდება ახლა? კლინსმანი კომპიუტერზე ამობეჭდილ ძირითად შემადგენლობას კედელზე გააკრავს ხოლმე და მატჩის წინ, ფეხბურთელებთან საუბრისას, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი განცხადებებით იფარგლება: *„იბრძოლეთ, ხშირად აწოდეთ საჯარიმოში"*. და მეტი არც არაფერი! ფეხბურთელები კი უკმაყოფილონი არიან. მათ ტაქტიკური განმარტებები ენატრებათ. მაგალითად, „ჰანოვერთან" და „ვერდერთან" მატჩების დროს, შესვენებისას, კლინსმანმა გასახდელი ნაადრევად დატოვა. ფეხბურთელებს მხოლოდ ის უთხრა, რომ შეცვლებს გააკეთებდა, თან ისე, რომ შესაცვლელი მოთამაშეებისთვის დეტალურად არაფერი აუხსნია.

### კლინსმანის სამწვრთნელო შტაბი

იურგენმა მიუნხენში სულ 11 სპეციალისტი ჩაიყვანა. ეს არის მისი სამწვრთნელო შტაბი. იქ შედიან ასისტენტები, ფსიქოლოგები და ა.შ. მოკლედ, ეს არის გუნდი... გუნდში. და თანაც, მისი შტაბიდან 70 პროცენტი გერმანულად არ ლაპარაკობს. შესაბამისად, ფეხბურთელებს დღემდე ვერ გაუგიათ ზუსტად, ვის რა გეგმა აქვს, ვინ რას აპირებს, ვინ როგორ მუშაობს... აი, გერმანიის ნაკრებში კი კლინსმანს გვერდით ლიოვი ჰყავდა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ „იოგი" იყო მისი ტაქტიკოსი.

### ვარჯიში

კლინსმანის ვარჯიშები ხშირად დახურულია. თუმცა თამაშების დროს ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი ვარსკვლავი ცუდ (ფიზიკურ) ფორმაშია. როცა გუნდი აგებს, თითქოს, მოთამაშეებს აღარ აქვთ იმის ძალა, რომ ბოლომდე იბრძოლონ. შესაბამისად, აღარ არსებობს მატჩის მიწურულს გატანილი მნიშვნელოვანი გოლები. ჰიტცფელდის ხელში ასე არ იყო...

### ჰიონესი: ასე გაგრძელება არ შეიძლება!

„ბაიერნში" მონასტერი არეულია და შესაბამისად, ნერვიულობს კლუბის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესიც**. „ჰანოვერთან" მატჩის დროს ულიმ აღარ იცოდა, სად დამალულიყო. არადა, „ვერდერთან" კომპრომატული წაგების შემდეგ მენეჯერს ხმა არ ამოუღია. ამჯერად კი ჩათვალა, რომ შაბათის ფიასკო მართლაც მეტისმეტი იყო.

...და ჰიონესიც ალაპარაკდა: *„ცხადია, საზეიმო და გასახარი არაფერი ხდება. ცხადია, ეს არ არის ის სიტუაცია, რომელზეც ვოცნებობდით და როგორიც საერთოდ „ბაიერნში" უნდა იყოს. ცხრილს რომ ვუყურებ, ნერვები მეშლება. ფაქტია, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება"*.

როგორც ხედავთ, ული ჯერჯერობით სიმშვიდეს ინარჩუნებს, რადგან იცის, რომ თუ აფეთქდა, ამას დიდი ამბები მოჰყვება. ეტყობა, ის მიიჩნევს, რომ აფეთქება ნაადრევია.

ჰიონესი: *„სამშაბათს, „ლიონთან" მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ იმის დაბრუნებას, რაც ბოლო ორ კვირაში დავკარგეთ. ისე, სხვებისგან განსხვავებით, მე ნამდვილად არ მგონია, რომ წელს „ბაიერნი" ორ სახეს აჩვენებს - კარგს ჩემპიონთა ლიგაში და არც ისე კარგს ბუნდესლიგაში"*.

### ნუთუ კლინსმანი ცუდი მწვრთნელია?

და მაინც, ნუთუ კლინსმანი, როგორც მწვრთნელი, არ ვარგა? როტაციის გამო რომ გააკრიტიკეს, გაჯიუტდა და თქვა - *სწორად მოვიქეცი და მომავალშიც ასე მოვიქცევიო*. სიჯიუტე მისი მინუსია. თუმცა დღეს თუ არა ხვალ მაინც დაისმება ასეთი კითხვა: არის კი კლინსი „ბაიერნისთვის" შესაფერისი მწვრთნელი?

გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი უკვე ფიქრობს, რომ ეს ასე არაა. ამ აზრის მქონეთ მაგალითად ისევ და ისევ ლიოვი მოჰყავთ - ის რომ არა, კლინსმანი გერმანიის ნაკრებში ვერაფერს მიაღწევდაო.

*„ბუნდესლიგა და გერმანიის ნაკრები სხვადასხვა კატეგორიებია. ვფიქრობ, იურგენს ეს უნდა სცოდნოდა. მაგრამ ის უდიდესი ეგოისტია და ამას ახლაც ამჟღავნებს. საფეხბურთო გუნდს ბუდას ქანდაკებები ვერ დაეხმარება, გუნდს ტაქტიკა სჭირდება, ფეხბურთელებს კი ტაქტიკური მითითებები. 30 წელია, „ბაიერნის" ფანი ვარ და თუ ჩემი აზრი რამეს ნიშნავს, ამას ვიტყვი: სიამოვნებით ვიხილავდი ჩვენი საყვარელი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე კრისტოფ დაუმს"* - ესეც ერთ-ერთი ქომაგის მოსაზრება.

### ...დაბოლოს

დღეს მიუნხენური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში „ლიონს" ხვდება და თუ ბავარიელებს ფეხი დაუცდათ, აი მერე კი მართლა ცოდვაა კლინსმანი. რადგან: ბუნდესლიგა ხანგრძლივი მარათონია და სიტუაციის გამოსწორება კიდევ შეიძლება, ჩემპიონთა ლიგაში კი...

ინტერვიუ შტეფან ეფენბერგთან

# კრიზისიდან გამოსავალი ჯერ არ ჩანს

## ეფე: ბაიერნის კაპიტანი გერმანულად უნდა ლაპარაკობდეს!

**შტეფან ეფენბერგი ის კაცია, ვისი აზრიც „ბაიერნის" ქომაგებს ყოველთვის აინტერესებთ, შეიძლება, ყველაზე მეტადაც კი. განსაკუთრებით კი ახლა, როცა რეკორდმაისტერი აშკარა კრიზისშია. ეფეს ინტერვიუ გაზეთ „ბილდის" ჟურნალისტმა სთხოვა...**

**- ჰერ ეფენბერგ, „ბაიერნზე" საუბარი მარკ ვან ბომელის თემით დავიწყოთ. თქვენ რეკორდმაისტერის ყოფილი კაპიტანი ხართ და საინტერესოა, როგორ უყურებთ ამჟამინდელი კაპიტნის მდგომარეობას?**

- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვან ბომელის დემონტაჟი იწყება. ის ამ სეზონში უკვე ორ ოფიციალურ შეხვედრაში იჯდა სათადარიგოთა სკამზე. არადა, ვან ბომელი თითქოს კლინსმანის მარჯვენა ხელია. როცა კაპიტნები ჯანმრთელად არიან და არც დისკვალიფიკაცია აქვთ, მათ სათადარიგოთა სკამზე არ სვამენ ხოლმე.

**- თქვენ რა ახსნას უძებნით კლინსმანის გადაწყვეტილებას?**

- მისი საქციელი ძალიან რთული გასაგებია. განა კლინსმანი არ იყო, ვან ბომელს კაპიტნის სამკლაური რომ გადასცა? გუნდის კაპიტანი კი ისეთი ფიგურაა, რომელიც როტაციაში არასდროს უნდა მოყვეს. ამით ჰოლანდიელთან მიმართებაში უკვე კითხვის ნიშანი გაჩნდა. იმედი მაქვს, კლინსმანს კარგად ესმის საქმის არსი. კაპიტანმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ მწვრთნელი მას 100 პროცენტით ენდობა და მხარში უდგას.

**- აქვს თუ არა „ბაიერნს" იერარქიის პრობლემა?**

- რა თქმა უნდა, აქვს და თანაც დიდი. მეტსაც გეტყვით: „ბაიერნში" იერარქია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. როცა გუნდის კაპიტანი ხარ და სათადარიგოთა სკამზე გსვამენ, მერე ძალიან ძნელია, თანაგუნდელებს მოსთხოვო, პატივი მეცითო. ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებულ კაპიტანს არც ერთ გუნდში არ მიიღებენ სერიოზულად და არ შეხედავენ ისე, როგორც ნამდვილ ლიდერს.

**- სხვა პრობლემებს სად ხედავთ?**

- ფეხბურთელები, რომლებიც წესით სასტარტოში უნდა თამაშობდნენ, სკამს ხეხავენ, მაგალითად, ვან ბომელი და პოდოლსკი. თუ ასე გაგრძელდა და მდგომარეობა არ გამოსწორდა, თუ ქაოსი და არეულობა არ შეწყდა, თუ არ დაისახა სრულფასოვანი და ყოველმხრივ გაწერილი გეგმა, შესაძლოა, „ბაიერნს" ამ სეზონში სერიოზული პრობლემები შეექმნას. ჩვენ ყველამ ხომ ვიცით, ვინც შეეწირება ამ ამბავს.

**- თქვენ რომ ვან ბომელის ადგილზე იყოთ, როგორ მოიქცეოდით?**

- მე რომ მის ადგილზე ვიყო, თანაგუნდელებთან ხუმრობას შევწყვეტდი. ის კაპიტანია და მათთან გარკვეულ დისტანციას უნდა ინარჩუნებდეს. სწორედ ასე მიიღებს ის პატივისცემას (მართალია, ჯერჯერობით ისედაც არ აკლია, მაგრამ მაინც) და მხოლოდ ამ შემთხვევაში აღიარებენ ლიდერად. როცა მოედანზე გავა, იქ ცეცხლი უნდა დაანთოს. ღიად უნდა ისაუბროს ყველაფერზე და თუ საჭიროა, ხელებით და ფეხებით უნდა დაიცვას თავისი მოსაზრება... ასე იქცევიან კაპიტნები, ასე ვიქცეოდი მეც...

**- და ეს ყველაფერი რომ არ გამოუვიდეს, მერე რა ქნას კლინსმანმა? ვან ბომელის შემცვლელი ლუსიოა. იქნება კი ბრაზილიელი ღირსეული კაპიტანი?**

- მე რომ რეკორდმაისტერის მწვრთნელი ვიყო, კაპიტნად იმ ფეხბურთელს დავნიშნავდი, რომელიც გერმანულად ლაპარაკობს. გუნდის თავს ყოველთვის უნდა შეეძლოს განცხადებების გაკეთება, არა მარტო თანაგუნდელებთან, არამედ მედიაშიც. თარჯიმნის დახმარებით კი ეს შეუძლებელია. „ფიორენტინაში" ყოფნისას წელიწად ნახევრის განმავლობაში კაპიტანი ვიყავი და იტალიურის არცოდნის გამო, მედიასთან სერიოზული პრობლემები მქონდა.

**- სხვა რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს „ბაიერნის" კაპიტანი?**

- გუნდში და გუნდს მიღმა ყველა უდიდეს პატივს უნდა სცემდეს. ამას გარდა, „კარგი ტიპი" არ უნდა იყოს...

**- „ბაიერნის" რომელი ფეხბურთელი აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს?**



- სამწუხაროდ, არც ერთი.

**- მაგრამ ფაქტია, რომ ვილაც უნდა იყოს გუნდის თავი...**

- რა თქმა უნდა. მე, მაგალითად, შვაინშტაიგერს, ლამსა და კლოზეს შორის გავაკეთებდი არჩევანს. ისინი ძალიან გამოცდილები და პატივცემული ფიგურები არიან. და რაც მთავარია, გერმანულად ლაპარაკობენ!

**- როგორ ფიქრობთ, დაალწევს „ბაიერნი" თავს ამ კრიზისს?**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ გუნდში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


დერბის მთავარი მომენტი. რონალდინიოს გოლი ინტერის კარში

დიდი მატჩის გამოძახილი

# ანჩელოტის იტალიური გაკვეთილი

## განსაკუთრებული კაცი განსაკუთრებულ სივრცეში, ანუ იქ, სადაც ტაქტიკასა და სტრატეგიაზე დისერტაციებს წერენ

უიქენდის მთავარმა საფეხბურთო მოვლენამ (მილანური დერბი) მთლიანად დაჩრდილა ევროპის სხვა სტადიონებზე გამართული შეხვედრები და ეს ბუნებრივიცაა - ერთმანეთის პირისპირ ხომ თავად „მილანი" და „ინტერი" წარდგნენ, თანაც ამ სეზონში ლომბარდიული გრანდები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. რა იხილა გულშემატკივარმა კვირა საღამოს „სან სიროს" მწვანე მინდორზე? შესაძლოა, ეს არ იყო ფეერიული მატჩი, უამრავი საგოლე მომენტითა თუ უხვი გოლით, მაგრამ ეს მაინც იყო დიდი მატჩი დიდი გუნდების მონაწილეობით. ეს იყო თრილერი, რომელშიც ყველაფერი ერთმა „სასიკვდილო ტყვიამ" გადაწყვიტა. ეს ტყვია კი იმ ფეხბურთელმა გაისროლა, რომლისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ...

დიახ, ერთადერთი გოლი **რონალდინიოს** ანგარიშზეა, არადა, ბრაზილიელის სასტარტოში მოხვედრას ცოტა თუ ელოდა. გაუჩო ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცოდით დერბიმდე. გემახსოვრებათ, „ლელოშიც" ვწერდით იტალიური პრესის ვარაუდებს. მართალია, ერთ-ერთ ვარიანტში „რონი" ძირითადში იყო, მაგრამ უპირატესობა მეორე სქემას ენიჭებოდა, სადაც შეტევაში **ალეშანდრე პატოს** მხარდამხარ **ანდრეი შევჩენკოს** უნდა ეთამაშა...

სინამდვილეში, **კარლო ანჩელოტიმ** მაინც თავისი ფავორიტი 4-3-2-1 აირჩია და შეტევაში ბრაზილიური ტრიო გაამწესა: ცენტრფორვარდად პატო დადგა, მარცხენა გარემარბის ფუნქცია რონალდინიომ იტვირთა, მარჯვნიდან კი **კაკა** მოქმედებდა. მოდი, ვთქვათ, რომ ეს ტრიო ჯერ შეთამაშებული არაა, თუმცა არც ის დროა შორს, როცა ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგებენ. გავიხსენოთ გოლი და ამაშიც დავრწმუნდებით. კომბინაცია სწორედ რომ ბრაზილიელებმა გაითამაშეს - „რონიმ" შესანიშნავი გადაცემა გაუკეთა კაკას და საჯარიმოსკენ დაიძრა, კაკამაც დროულად შენიშნა თანამემამულის მოძრაობა და იუველირული სიზუსტით დაასვა ბურთი თავზე. გაუჩოს დარტყმა უზადო გამოდგა. გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ რონალდინიომ პირველი იტალიური გოლი გაიტანა და მაინცდამაინც „ინტერის" კარში; პირველი გოლი და ისიც დერბიში; გოლი იმ „ინტერის" კარში, რომელიც ასევე ცდილობდა მის გადაბირებას ამ ზაფხულს; და გოლი თავით, მაშინ, როცა „მეორე სართულზე" თამაში მისი კოზირი არასოდეს ყოფილა...

...მაგრამ ამ გოლმა იტალიაში სერიოზული დავა-კამათი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ რონალდინიოს პასის მომენტში კაკა თამაშგარეს ზღვარზე იდგა, შეიძლება, 10-15 სანტიმეტრით წინ, მეტით არა... თუმცა მსაჯმა გოლი ჩათვალა და უმჯობესია, ამ გადაწყვეტილებას ყველა შეურიგდეს. კამათს აზრი აღარ აქვს. უნდა ვიმსჯელოთ საერთო სურათით - ანუ, კვირა ღამეს „მილანი" უკეთესი იყო და ამ ისტორიის მთელი არსიც ესაა.

დიდებული იყო **კლარენს ზეედორფი**. ჰოლანდიელმა **ანდრეა პირლოს** პოზიცია დაიკავა და მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა. მისი ფუნქცია ბურთის ბრაზილიელებამდე მიტანა იყო, ამასთან, ჩამშლელის როლიც უნდა შეესრულებინა. ზეედორფმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, ანჩელოტის თავსატეხიც გაუჩინოს - ეგებ, მწვრთნელს პირლოსთვის ახალი ფუნქციის გამონახვაც კი დასჭირდეს. ანდრეა ხომ მეტწილად გრძელი განივი გადაცემებით ინყებს იერიშებს, ასეთი ფორმაციის „მილანს" კი, ვფიქრობთ, ეს გრძელი გადაცემები ყველაზე ნაკლებად სჭირდება.

ცალკე უნდა ითქვას **კრისტიან აბიატიზეც**. „მილანის" კიპერს ურთულესი დარტყმები არ მოუგერიებია, მაგრამ მთლიანობაში ძალზე დამაჯერებლად ითამაშა. ცხადია, ეს მის თანაგუნდელებზე დადებითად აისახა. აბიატი ბრწყინვალე იყო გამოსვლებზეც, „ნერაძურის" ტანმაღალ მოიერიშეებს არაერთხელ აწაპნა კიდეც ბურთი და რამდენჯერმე „ლიბეროს" ფუნქციაც შეასრულა. საინტერესოა, რომ ამ სეზონში „მილანმა" პირველად შეძლო კარის მშრალად შენახვა და ეს იმ გუნდთან, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად ენადა ამ „ბასტიონის" აღება და რომელსაც შიშისმომგვრელი შეტევის ხაზი ჰყავს. „ინტერზე" ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვით ანჩელოტიზე.

...და რა შეიძლება ითქვას კარლეტოზე? ის კვლავაც მოწოდების სიმაღლეზეა. ვფიქრობთ, კარლომ დერბის ჩინებულად უდირიჟორა. ტაქტიკური არჩევანიც (4-3-2-1) გამართლებული აღმოჩნდა - შუა ხაზში ანჩელოტიმ ტექნიკური და მებრძოლი ფეხბურთელების სინთეზი მონახა, რის ხარჯზეც „როსონერიმ" მოედნის ცენტრში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. თუ რას ნიშნავს ფეხბურთში მოედნის ცენტრის მოგება, ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება. კარლო კვლავაც პოულობს ძალას, ააშენოს ახალი „მილანი" და, წესით, ეს უნდა მოახერხოს კიდეც. კვირა საღამოს მან სერია A-ში გუნდი მე-400-დ გაიყვანა მოედანზე და ეს საიუბილეო ამბავი გამარჯვებითაც აღნიშნა. ბარემ გავიხსენოთ, რომ უმაღლეს დონეზე ანჩელოტის სამწვრთნელო დებიუტი 1996 წელს შედგა, როცა მისმა „პარმამ" „ნაპოლის" გადაუარბინა (3:0). სხვათა შორის, **ჟოზე მოურინიო** „ინტერის" მეოთხე მწვრთნელია, ვისაც ანჩელოტიმ დერბი მოუგო. აქამდე, ჟოზეს ბედი **ალბერტო ძაკერონიმ, ექტორ კუპერმა** და **რობერტო მანჩინიმ** გაიზიარეს.

■ ■ ■

„ინტერმა" სეზონში პირველი მარცხი იგემა და თან, ზეპრინციპულ მეტოქესთან ჭიდილში. ამით, „ნერაძურიმ", შესაძლოა, ის თავდაჯერებულობა დაკარგოს, რომელიც სეზონის პირველივე მატჩიდან მოსდევს. იტალიელი ჟურნალისტები „ინტერის" ამ თვისებაზე „ლეჩესთან" შეხვედრის (1:0) შემდეგაც ამახვილებდნენ ყურადღებას - მიუხედავად იმისა, რომ გუნდს სუსტ მეტოქესთან თამაში არ მისდიოდა, მის გამარჯვებაში მაინც ყველა დარწმუნებული იყო. გავიხსენოთ „იუვენტუსის" პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილის** დერბისწინა განცხადება - ჩვენ „მილანს" ვუქომაგებთ, რათა ვირწმუნოთ, რომ „ინტერის" შეჩერება შეიძლებაო. „ინტერი" მართლაც შეაჩერეს. ახლა მოურინიოს ერთი დიდი თავსატეხი აქვს: მან გუნდს „მადონინას" წაგება უნდა დაავიწყოს.

და მაინც, როგორი შთაბეჭდილება დატოვა „ინტერმა" დერბიში? გუნდმა წააგო სრულიად დამსახურებულად, თუმცა კარგად გამოჩნდა, თუ რამხელა რესურსის პატრონია. „ინტერის" შეტევებს დიდი ხიფათი მოაქვს, რადგან ამ კრებულს ბრწყინვალე შეტევითი პოტენციალი აქვს და ინდივიდუალისტებიც უხვად მოეპოვება. გავიხსენოთ დერბის ბოლო წუთები, როცა კაცნაკლულმა „ნერაძურიმ" რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანა აბიატის კართან. ამაში გასაკვირი არაფერია, როცა შეტევაში სამი გიგანტი - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ხულიო კრუსი** და **ადრიანო** გყავს. ეს ფეხბურთელები თანაბრად ძლიერები არიან როგორც ტექნიკურ, ისე ფიზიკურ ასპექტში, სიმაღლის გათვალისწინებით კი „მეორე სართულზეც" უდიდეს ხიფათს წარმოადგენენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მოურინიოს ხელში ამოუწურავი რეზერვია, დანარჩენი კი თავად პორტუგალიელის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

ჟოზე ჯერ კიდევ ახალი კაცია იტალიაში. ის გამოუცდელია სერია A-ს ბატალიებში და შესაძლოა, ამიტომაც წააგო დუელი ანჩელოტისთან. იტალიელთა აზრით, შეცდომა იყო სასტარტოში **რიკარდო კვარეშმას** დაყენება. პორტუგალიელი გარემარბი ძალიან ტექნიკურია, თუმცა იტალიის ჩემპიონატისთვის ჯერ კიდევ უნდა „გაიზარდოს".

მოურინიომ კვლავ 4-3-3 აირჩია და ამაშიც წააგო. მისი გარემარბები, კაკასა და რონალდინიოსგან განსხვავებით, მოედნის სიღრმეში შესვლისთვის თავს არ იწუხებდნენ. **ამანტინო მანსინი** და კვარეშმა არ არიან იმ ტიპის ფეხბურთელები, ცენტრი გაამყარონ და შუა ხაზში გუნდის თამაშს მეტი საიმედოობა შემატონ. შედეგად, „ინტერმა" ცენტრი დათმო და ბუნებრივია, ეს საბოლოოდ ტაბლოზეც აისახა.

მოურინიო ჭკვიანია და დასკვნებს უთუოდ გამოიტანს, იტალიელი ჟურნალისტები კი მას მეტი გამჭრიახობისკენ მოუწოდებენ. „განსაკუთრებული" კაცი განსაკუთრებულ ქვეყანაში მოხვდა, სადაც საფეხბურთო ტაქტიკა-სტრატეგიებზე ლამის კვლევითი ცენტრები მუშაობენ და დისერტაციებს იცავენ. ეს მან კარგად უნდა გაიაზროს.

■ ■ ■

ცხადია, მატჩის შემდგომ ანჩელოტი და მოურინიო სხვადასხვა განწყობაზე იყვნენ. მათი კომენტარებიც შესაბამისი პათოსისაა. თავდაპირველად, „მილანის" დამრიგებლის ნააზრევს გავეცნოთ:

*„ჩვენ განვიკურნეთ. ამის თქმის საფუძველს დერბიში გამარჯვება მაძლევს. ალბათ, კიდევ გამოჩნდებიან კრიტიკოსები, რომლებიც „მადონინას" მოგებას შემთხვევითობას მიაწერენ, მაგრამ ეს არ გვაღელვებს. ნათლად ვხედავ, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ და მთავარია, კურსი შევინარჩუნოთ...*

*რონალდინიო ჯერ კიდევ არაა 100%-ით მზად, მაგრამ ამან არ შემაშინა და მისი სასტარტოში დაყენება გადავწყვიტე. გაუჩო პარტნიორებს გადაცემებით ამარაგებდა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. ის დიდებული იყო და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გააგრძელებს...*

*ეს იყო პირველი „მშრალი" მატჩი ამ სეზონში. შეხვედრის ბოლო წუთებში ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მეტოქემ სამი ტანმაღალი და ტექნიკური თავდამსხმელი დაგვიპირისპირა, მათ უკან კი შემტევი ნახევარმცველები მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა მცველებმა გამოცდა შესანიშნავად ჩააბარეს და ამით დიდადაც მასიამოვნეს. მათი და აბიატის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ...*

*მოურინიოსთან დაპირისპირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ნამდვილად ღირს. ეს გამარჯვება სხვა კუთხით გახლავთ პრინციპული - ჩვენ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ და ცხრილში ზემოთ ავინაცვლეთ. „ინტერთან" მოგებამ წერტილი უნდა დაუსვას „მილანის" შავ პერიოდს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება".*

საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენა მოურინიოსეული შეჯამება. ის ფიქრობს, რომ ლოგიკური იქნებოდა, მატჩი ფრედ დამთავრებულიყო:

*„ჩემი აზრით, მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა. ჩვენ ვერ გავიტანეთ გოლი, მათ კი ეს მოახერხეს და მოიგეს კიდეც. ეს არის და ეს. ისე კი, დიდებული შეხვედრა იყო, ნამდვილი დერბი და დასანანია, რომ ქულაც ვერ ავიღეთ. თუმცა უმჯობესია დამარცხდე, ვიდრე ფეხბურთის თამაშის გეშინოდეს. დიახ, ჩვენ ვთამაშობთ, მომავალში კი ბევრჯერ გავიმარჯვებთ... რაც შეეხება სატურნირო ცხრილს. „ინტერი" ლიდერია. დიახ, დიახ, არ მოგესმათ, ჩვენ ვლიდერობთ - „ლაციო" ნაკლებად მაინტერესებს, „რომას", „იუვენტუსსა" და „მილანს" კი ქულებით ვუსწრებთ, რაც მაძლევს კიდეც იმის თქმის საფუძველს, რომ ლიდერები ვართ. მსაჯის შეცდომებსა და გოლზე საუბარი არ მინდა. შესაძლოა, დისკვალიფიკაცია მივიღო, რისი სურვილიც ნამდვილად არ მაქვს".*

იტალიელი ჟურნალისტების მთავარი სამიზნე კი მატჩის გმირი რონალდინიო გახლდათ. აი, მისი კომენტარიც:

*„მქონდა იმედი, რომ გოლის გავიტანდი. ახლა უზომოდ გახარებული ვარ, რომ ეს შევძელი. ეს იყო დიდებული მატჩი, რომელიც არასდროს დამავიწყდება. „მილანში" ყოველდღე უფრო და უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს. აქ ჩემი ნამდვილი სახლი ვიპოვე და არსად წასვლას აღარ ვაპირებ. გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, აქ თამაში ყველას გვსიამოვნებს და დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებებსაც მივაღწევთ... რაც შეეხება გოლს, ის მართლაც შესანიშნავი გამოვიდა. კაკამ ბრწყინვალე პასი მომცა, ბურთი ხელსაყრელი ტრაექტორიით წამოვიდა... გოლს ტიფოზებს ვუძღვნი. სტადიონზე არანორმალური ატმოსფერო იყო შექმნილი და ქომაგების დალალატება არ შეიძლებოდა. მადლობა მათ".*


პატო და გატუზო კამბიასოს წინააღმდეგ

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის აკადემია

# ქუდი მოიხადეთ, სპორტის აკადემია 70 წლისაა



დიმიტრი ჯაფარიძე

წლევანდელი სასწავლო წლის დასაწყისი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიისთვის გამორჩეული უნდა ყოფილიყო - წლეულს აკადემიას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. გამორჩეული მართლაც იყო, ოღონდ... არა ზეიმურობით. შარშანდელ პრობლემებს, როცა აკადემიას შენობა დაატოვებინეს, წლისთავზე ახალი დაერთო – აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ყოფილი ენციკლოპედიის შენობას შეაფარა თავი. ბოლო ხანებში კი ამ შენობაში აწ უკვე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის“ ადმინისტრაცია და რამდენიმე აუდიტორია იყო განთავსებული. ახლა, თავად აკადემიაც დარჩა კიდევ ერთხელ, ღია ცის ქვეშ (შეგახსენებთ, ამ ერთ წელიწადში „ქარიშხალასა“ და ასკა-ს ბაზებზეც ბინადრობდნენ). თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც სტრუქტურულად შეუერთდა სპორტის აკადემია ზემოხსენებული ცენტრის სტატუსით, ყველაფერს აკეთებს ურთულესი სიტუაციის დასარეგულირებლად. ადმინისტრაციისთვის თავშესაფარი გამოიძებნა. ცენტრის ახალმა თავკაცმა, პროფესორმა **დიმიტრი ჯაფარიძემ** პრობლემები, მოგვარების რიგითობით, კონკრეტულად გაწერა აკადემიის ცალკეული რგოლების ხელმძღვანელებთან ერთად. უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, არის სასწავლო პროცესი.

*"შევხვდი ყველა ხელმძღვანელს მიმართულებების მიხედვით და გავეცანი პრობლემებს.შექმნილ სიტუაციაშიც არ გვაქვს სასწავლო პროცესის დაზარალების უფლება, ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ პირობების გაუმჯობესებისთვის გამუდმებული ზრუნვის რეჟიმში. სხვა გ ზა არ არის. ჩვენი კარი მუდამ ღიაა, მობრძანდით, გაგვიზიარეთ პრობლემების მოგვარების თქვენეული ხედვა“*, - თქვა დიმიტრი ჯაფარიძემ გუშინ პროფესორ-მასწავლებლებთან და აკადემიის სხვა თანამშრომლებთან შეხვედრისას.

თათბირზე დაისვა არაერთი მწვავე საკითხი, მათ შორის აკადემიის ბედთან დაკავშირებით, ისეთებიც, რომელზეც შეუძლებელი იყო პასუხის გაცემა, მაგრამ ცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა თქვა, რომ თავის მხრივ, არც ერთ შენიშვნას უყურადღებოდ არ დატოვებს და რაც მის შესაძლებლობებს არ აღემატება, გადაჭრის კიდეც.

თავს უფლებას მივცემთ და ერთ კონკრეტულ საკითხს თავად შევეხებით: დღეს სპორტის აკადემიის შენობაში დევნილებია ჩასახლებული. რატომ არ შეიძლება, ასევე დროებით, აკადემიის სპორტული ბაზები, განსაკუთრებით დარბაზები, გამოიყენოს ცენტრმა სასწავლო პროცესისთვის? ვფიქრობთ, შესაძლებელია, ხოლო თუ კეთილი ნება იქნება, შეთანხმების ფორმაც გამოინახება...

**თენგიზ თომაშვილი**

რაგბი. ლეგიონერი



ჩოგბურთი

# დებიუტიც ასეთი უნდა

## სოფიო შაფათავას პირველი გამარჯვება WTA-ს ტურნირში



სოფიო შაფათავა

19 წლის **სოფიო შაფათავა** (277) კარიერაში პირველად თამაშობს WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში და თანაც წარმატებულად. უზბეკეთის დედაქალაქში დაიწყო „ტაშკენტის ღია პირველობა“, წლეულს ეს მე-10, საიუბილეო შეჯიბრებაა. სოფიო ძირითად ბადეში რეიტინგის წყალობით უკანასკნელ მომენტში მოხვდა, მას მერე, რაც კლასიფიკაციაში ქართველზე წინ მდგომმა რამდენიმე ჩოგბურთელმა უზბეკეთში ჩასვლა იუარა. ტურნირის საპრიზო ფონდი 145 ათასი ამერიკული დოლარია.

გუშინ, ტაშკენტში ძირითადი ბადის პირველი წრის მატჩები გაიმართა. ცენტრალურ კორტზე შაფათავა 19 წლის ფრანგ **კინი ლაისნეს** (331) დაუპირისპირდა, რომელიც სპეციალური მიწვევით მოხვდა ძირითად ბადეში. გასულ კვირაში ლაისნე **მაკა ჩახნაშვილთან** ბრძოლაში დამარცხდა იტალიაში. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფრანგს ქართველებთან მარცხი ჩვევაში გადაუვიდა. პირველი სეტი სოფიომ იოლად და ერთი ამოსუნთქვით მოიგო – 6:3, მეორე სეტში კი ლაისნემ იმარჯვა – 6:4. გადამწყვეტ სეტში ფრანგმა ქართველის მოწოდება მოიგო და 4:2 დაწინაურდა, თუმცა შაფათავამ კრიზისულ სიტუაციაში ძალა მოიკრიბა და ზედიზედ 4 გეიმის მოგებით კარიერაში პირველად გავიდა ამ დონის ტურნირის მერვედფინალში – 6:3, 4:6, 6:4.

„ტაშკენტის ღია პირველობის“ მერვედფინალში სოფიო შაფათავას მეტოქე დღეს გაირკვევა. პოლონელი **ურსულა რადვანსკა** (128) მე-7 ნომრად განთესილ მასპინძელს, **აკგულ ამანმურადოვას** (78) დაუპირისპირდება. ორივე ძლიერი ჩოგბურთელია, უზბეკი მოწინავე ასეულის წევრია, ხოლო **აგნიეშკა რადვანსკას** უმცროსი და, ურსულა ახალგაზრდულ ასპარეზზე პირველი ჩოგანი იყო.

ტურნირის წყვილთა თანრიგში შაფათავა ყირგიზ **ქსენია პალკინას** შეუწყვილდა, რომელთანაც დუეტში ხშირად უთამაშია ჩვენებურ **ოქსანა კალაშნიკოვას**. პალკინა და შაფათავა პირველ წრეში **ნინა ბრატჩიკოვას** (რუსეთი) და **კატრინ ფოირლეს** (გერმანია) ეთამაშებიან. სხვათა შორის, „ტაშკენტის ღია პირველობის“ საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდი“ ჰქონდა ქართული წარმოშობის უზბეკ **ქრისტინა ბენაშვილს**, რომელიც პირველივე წრეში დამარცხდა.

სოფიო შაფათავამ მხოლოდ ერთი წრის გადალახვისთვის უკვე დაიბევა 15 სარეიტინგო ქულა, რაც თითქმის 25-ათასიანი ტურნირის მოგების ტოლფასია. მერვედფინალში წარმატების შემთხვევაში შაფათავას მონაგარი 30 სარეიტინგო ქულა იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დაუმარცხებელი ორია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონში, ორი ტურის შემდეგ, დაუმარცხებელი ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მხოლოდ ორია: „მასი“ და „პერიგო“, რაც იმთავითვე ამ გუნდების ელიტურ, მეორე დივიზიონში აღზევების ამბიციურობაზე მიუთითებს.

ფედერალ 1-ის A ჯგუფში **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასიმ“ შინ მიიღო **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი“ და საკმაოდ დამაჯერებლადაც სძლია - 48:18. თავიდან ბოლომდე ამ შეხვედრაში მასელთა შემადგენლობაში, მხოლოდ კვირიკაშვილმა ითამაშა და გუნდს 13 ქულა მოუტანა - 5 გარდასახვა და ერთი საჯარიმო. ძირითად შემადგენლობაში იყო დადუნაშვილი, რომელიც 74-ე წუთზე შეცვალეს. სუთიაშვილი კი, თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო.

თავიდან ბოლომდე ითამაშა დომონელთა შორის ზურაბ მჭედლიშვილმაც. მარგველაშვილი და ნემსაძე კი, თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთვნენ.

შინ მოიპოვა პირველი გამარჯვება „რუენთან“ მატჩში, დივიზიონის დებიუტანტმა, **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა“-26:22. ნიკოლენკო ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, ბოლღაშვილი თამაშში 37-ე წუთიდან ჩაერთო.

### ფედერალ 1. II ტური

A ჯგუფი. **დიჟონი-შალონი 9:13, ლილი-რუენი 26:22, მასი-დომონი 48:18, ლონსი-არასი 13:8.**

სატურნირო მდგომარეობა: **1.მასი-10 ქულა, 2.შალონი-8, 3.რუენი-5, 4.ლონსი-4, 5.ლილი-4, 6.არასი-3, 7.დომონი-2, 8.დიჟონი-1.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორმა გუნდმა გაიმარჯვა. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა“ შინ დაამარცხა „ვანი“-16:14. აბუსერიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 76-ე წუთზე შეცვალეს.

ასევე საკუთარ მოედანზე დაამარცხა **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი“ **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერმა“- 16:11. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ელოშვილი შეხვედრაში 70-ე წუთიდან ჩაერთო. ძირითად შემადგენლობაში იყო ყუფარაძეც, რომელიც 61-ე წუთზე შეცვალეს.

B ჯგუფი. **ლიმოჟი-ნუარი 30:14, ჟენევიე-ბობინი 15:28, ორლეანი-ვანი 16:14, სენ ნაზერი-მონლუსონი 16:11.**

სატურნირო მდგომარეობა: **1.ლიმოჟი-9 ქულა, 2.ბობინი-9, 3.ვანი-6, 4.მონლუსონი-5, 5.სენ ნაზერი-5, 6.ორლეანი-4, 7.ნუარი-0, 8.ჟენევიე-0**

D ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა **ილო ზედგინიძის** „ექსმა“. ჩვენებურის გუნდმა გასვლით მატჩში „კარკოირანი“ დაამარცხა - 29:23. ზედგინიძე განაცხადში არ იყო. გასვლითი შეხვედრა ჰქონდა მარსელში **დიმა პავლოვის** „ნიცას“. ექსელებისგან განსხვავებით, პავლოვის გუნდი დამარცხდა-16:22. პავლოვს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

D ჯგუფი. **მარსელი-ნიცა 22:16, გროლე-ლავორი 24:23, კარკოირანი-ექსი 23:29, არგელე-კარკასონი 31:19.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლავორი - 5 ქულა, 2. კარკოირანი - 5, 3. ექსი - 5, 4. ნიცა - 5, 5. გროლე - 5, 6. არგელე - 4, 7. მარსელი - 4, 8. კარკასონი-4.**

E ჯგუფში ლიდერობა ხელთ იგდო **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი გუნდიშვილისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგომ“. ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად შინ დაამარცხა „ლურდი“ - 23:12. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. გუნდიშვილი და ბარბაქაძე განაცხადში არ იყვნენ.

შინ მოიგო „ოლორონთან“ მატჩში **შოთა მელიქიძის** „კაორმაც“-26:19. შერკინების ქართველ პირველხაზელს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

E ჯგუფი. **პერიგო-ლურდი 23:12, კაორი-ოლორონი 26:19, მოლეონი-მარმანდი 19:16, ტიროსი-აგეტმო 21:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. პერიგო - 8 ქულა, 2. ტიროსი - 8, 3. კაორი - 6, 4. ლურდი - 5, 5. მოლეონი - 4, 6. მარმანდი - 2, 7. აგეტმო - 2, 8. ოლორონი - 1.**

F ჯგუფში მოასპარეზე **ირაკლი ჭყონიასა** და **დიმა ბასილაიას** „მორლაა“ ერთადერთია ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან, ვისაც ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია. ჩვენებურთა ეს გუნდი, მეორე ტურში, სტუმრად დამარცხდა „ტარნოსთან“ - 9:14. ჭყონია ძირითად შემადგენლობაში იყო და 43-ე წუთზე შეცვალეს. ბასილაია განაცხადში არ იყო.

F ჯგუფი: **ტარნო-მორლაა 14:9, ლანამეზანი-სენ ჟან დე ლუზი 26:14, ლე ბუგო-რიბერაკი 17:3, ლანჟონი-ვალანსი 25:20.**

სატურნირომდგომარეობა: **1. ლანამეზანი - 8 ქულა, 2. ტარნო - 8, 3. ვალანსი - 5, 4. ლე ბუგო - 5, 5. ლანჟონი - 5, 6. სენ ჟან დე ლუზი - 4, 7. მორლაა - 2, 8. რიბერაკი - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ქალებში კლება, ვაჟებში მატება

ორშაბათს, ტრადიციულად, განახლდა WTA-ს და ATP-ის რეიტინგ-ლისტები. ქალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ლისტში ქართველებს დანაკლისი აქვთ – ურეიტინგოდ დარჩა 18 წლის **მაგდა ოქრუაშვილი**. ცვლილება არ შეხებია ჩვენს პირველ ჩოგანს – 17 წლის **ანა ტატიშვილი** 161 ქულით კვლავ მსოფლიოს 188-ე ჩოგანია. ოდნავ წაიწია წინ **მაკა ჩახნაშვილმა**, რომელმაც 130 ქულით 218-ზე გადაინაცვლა, ეს მაჩვენებელი გასული კვირისას 4 ადგილით სჯობს. დაკარგა პოზიციები **სოფიო შაფათავამ**, ახლა ის 93 ქულით მსოფლიოს 277-ე (-19) ჩოგანია.

ტოპხუთასეულში, კარიერაში პირველად შევიდა 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**. ოქსანას 34 ქულა აქვს, მან 8 საფეხურით წაიწია წინ და 497-ე პოზიცია დაიკავა მსოფლიოში რა თქმა უნდა, ოქსანასგან გაცილებით მეტს ველით მომავალში. სხვა ქართველები კლასიფიკაციაში: 602 (-13) **თინათინ ყავლაშვილი** – 23 ქულა; 671 (+3) **მანანა შაფაქიძე** – 18; 703 (-48) **სალომე დევიძე** – 16; 731 (+27) **სოფიო ქვაცაბაია** – 15; 739 (-16) **ეკა გორგოძე** – 14; 932 (+35) **სოფიო მელიქიშვილი** – 7.

წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი 172-ე პოზიციაზეა, ანა ტატიშვილი – 255-ზე, სოფიო შაფათავა – 293-ზე. ოქსანა კალაშნიკოვას აქაც კარიერის მიღწევა აქვს – ის მსოფლიოს მე-300 ჩოგანია წყვილებში.

ვაჟთა რეიტინგში პირიქით მატებაა – პირველად მოხვდა კლასიფიკაციაში 16 წლის იმედისმომცემი ჩოგბურთელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. ნიკოლოზმა პირველი 2 ქულა მოიპოვა ამერიკაში კარგი თამაშით, ქართველი ჯერ მსოფლიოს 1392-ე ჩოგანია. სხვები: 537 (-5) **ირაკლი ლაბაძე** – 48 ქულა; 930 (-5) **ლაზარე კუხალაშვილი** – 11; 1200 (-11) **ლადო ჩიხლაძე** – 4; 1238 (-8) **ნოდარ ითონიშვილი** – 4; 1565 (-14) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1650 (-14) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტრანსფერები

# ხალხი მიდის და მოდის, ჩემპიონატი დგას

**სამწუხაროდ**, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე კლუბები მეტისმეტი დაგვიანებით კომპლექტდება. სხვა გუნდებზე რა უნდა ვთქვათ, როცა რუსთავის "ენერჯის" 14 ოქტომბერს უკრაინულ "სუმიქიმპრომთან" ევროჩელენჯის მატჩი ელის, თუმცა გუნდთან ერთად ჯერ არც ერთი ლეგიონერი არ ვარჯიშობს. "კვერცხის" ბოლო მომენტამდე შემონახვა ქართული კალათბურთის სენია და მისი გამოსწორების ერთადერთი წამალი გუნდების ფინანსურად მოძლიერებაა. ვიდრე ქართული კლუბები მატერიალურად გაძლიერებულან, სხვა გზა არ გვაქვს, დინებას უნდა მივყვეთ და ჩვენც ვისაუბროთ გუნდებში მომხდარ ცვლილებებზე. ოღონდ ისიც უნდა დავძინოთ, რომ სატრანსფერო ამბებს საბოლოო ხასიათი ჯერ არ მიუღია.

## ენერჯი

დავიწყოთ რუსთავის "ენერჯით", რომლის შემადგენლობაში კიდევ ელიან სამ უცხოელს – ორ ამერიკელსა და ერთ ევროპელს. ქვემოქართლელთა გუნდში უკვე დაბრუნდა 2006 წლის ორი ტრიუმფატორი – **კოტე ტულუში** და **დავით უგრეხელიძე**. მათი შეწევნით რუსთაველებმა 2006 წელს ქვეყნის ჩემპიონობა მშვიდად მოიგეს – ფინალურ სერიაში 3:0 დაამარცხეს "ავიამშენი". ტულუში "ენერჯიში" "ავიადან" გადავიდა, ხოლო უგრეხელიძე – ბოსნიური "ბორაჩ ნექტარიდან". "ენერჯიში" დარჩა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე**, რომელიც უგრეხელიძის დარად უცხოური კლუბის ვარიანტს ელოდა, თუმცა საბოლოოდ რუსთავში დაბრუნება არჩია.

## ავიამშენი

საქართველოს ვიცე-ჩემპიონ "ავიამშენს" უკანახაზელი კოტე ტულუში საგრძნობლად დააკლდება, მაგრამ მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** მას ღირსეული შეცვლა მოუძებნა – "ავიამშენში" დააბრუნა გამთამაშებელი **ირაკლი ბერიშვილი**, რომელიც გასულ სეზონში "მაკაბის" ღირსებას იცავდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის წელიწადი მისთვის ნაყოფიერი იყო. "ავია" საქართველოს ნაკრების მსროლელით **ანატოლი ბოისათიც** გაძლიერდა. ტოლიკას ზამთრის ბოლოს უთანხმოება მოუვიდა "ენერჯის" მთავარ მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან**, რის გამოც გუნდის დატოვება და სეზონის ბოლომდე უქმობამ მოუწია. საინტერესო იქნება მისი ხილვა მშობლიური რუსთაველების წინაალმდეგ. "ავიატორების" მწვრთნელმა წინა ხაზის შევსებაზეც იზრუნა და "მაკაბიდან" ცენტრი **სოსო შერმადინი** დაიმატა. ცნობილია, რომ გუნდში დარჩა ახალგაზრდა მეფარე **რიჩარდ მათიაშვილი**, რომელიც შერმადინთან ერთან "ავიამშენის" წინა ხაზს საკმარისად გაამაღლებს. კარს მომდგარ სეზონში "მფრინავთა" ღირსებას ასევე დაიცავს გამთამაშებელი **გიორგი ნიკოლაძე**, რომელიც დაარსების დღიდან "ავიაშია".

## თსუ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაისად თსუ არც "ავიამშენზე" და არც ""ენერჯიზე" ნაკლები სიძლიერის კლუბი არ იქნება. გუნდში რვაწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა **გიორგი მარკოიშვილი**, რომელმაც 2002 წლის მერე არაერთი კლუბი მოიარა და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კალათბურთელად იქცა. იგი თამაშობდა "დინამოში", სტუ-ში, "ავიამშენში", ხოლო ბოლო სეზონი "ვითაში" გაატარა. ასევე „ვითადან" თსუ-ში გადავიდა **გიორგი მარხვაშვილი**, რომელიც სტუდენტთა მწვრთნელ **ნუგზარ ჭეიშვილთან** ერთად ორიოდე წლის წინ სტუ-ში მუშაობდა. თსუ-ს მესამე ახალწვეული **გიგი ბარბაქაძეა**. 1991 წელს დაბადებული ახალგაზრდა შარშან ისრაელის ერთ-ერთ კლუბში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ მთელი სეზონი ისრაელში გაფრენას ამაოდ ელოდა. გიგის თსუ-ში უფროსი ძმა დათო დახვდება, რომელიც სტუდენტთა შემადგენლობაში ამა წლის იანვარში "ავიამშენიდან" გადავიდა. დათო აზერბაიჯანის ნაკრების წევრია და ამ ზაფხულს C დივიზიონის მატჩების ჩასატარებლად აზერებს შოტლანდიაში გაჰყვა. სკოტეთში დათო ტურნირის სნაიპერი გახდა. თსუ-ში დარჩნენ **ირაკლი კეიდია, დავით ბერიშვილი** და **მიხეილ ფანჩულიძე**. ასე რომ, ახალ სეზონში სტუდენტთა მიზნებს ჩემპიონობაც შეემატება.

## დინამო

თბილისის "დინამო" თითქმის ისეთივე გუნდი იქნება, როგორიც შარშან - დაფინანსება იმავე დოზით და მიზანიც ძველებური, - პლეი ოფში მოხვედრა. მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და ერთიორი ახალგაზრდა კალათბურთელითაც გაძლიერდა. "დინამოში" „მაკაბიდან" გადავიდა მსროლელი **ზურაბ კორკოტაძე**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მაკაბელთა ყვითელი მაისურის ერთგული იყო. დილმელთა კიდევ ერთი შენამატი **ტატო თავართქილაძეა**. იგი გამთამაშებელია და ჯერ საქართველოს კადეტთა ნაკრებში გამოდიოდა, ამ ზაფხულს ჭაბუკთა ნაკრების ღირსება დაიცვა.

## მაკაბი

უმაღლეს ლიგაში ასევე ითამაშებს "მაკაბი", რომელიც კალათბურთელებისგან თითქმის სრულად დაიწრიტა, მაგრამ, მოსალოდნელია, რომ როგორც ყოველთვის, ჩემპიონატს გარკვეულ ინტერესს მაინც შესძენს. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში "მაკაბის" მატჩები საინტერესო იმიტომ იყო, რომ მასში ტანმაღალი **გიორგი შერმადინი** თამაშობდა. გადაწყვეტილია, რომ იგი კარიერას უცხოეთში გააგრძელებს, ამიტომ რჩება ერთი კითხვა – რით იქნება საინტერესო "მაკაბი" ქართველი გულშემატკივრებისთვის? როგორც უკვე ვთქვით, გუნდი დატოვეს გიორგის ძმამ სოსო შერმადინმა და ზურაბ კორკოტაძემ. რაც შეეხება გიორგი შერმადინს, მისი შეძენით სერიოზულად იყო დაინტერესებული ესპანური "ვალენსია", თუმცა კონტრაქტზე ხელმოწერა დროში გაიწელა. სადღეისოდ ცნობილია, რომ "მაკაბის" ღირსებას დაიცავენ **დავით იოსელიანი, ზვიად ანთაძე, ირაკლი ივანეიშვილი, ზურაბ ბიბილური** და **ვიქტორ კოლუაშვილი**. ანთაძე და ივანეიშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები იყვნენ. 20-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა ზვიადი იტალიაში გამართულ ამხანაგურ ტურნირზე წაიყვანა, ხოლო ივანეიშვილი – ანთაძის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე.

*როგორც უკვე გითხარით, ეს არ არის ამომწურავი ინფორმაცია ქართულ კლუბებში მომხდარ სატრანსფერო ცვლილებებზე. ამ თემას უახლოეს დღეებში დავუბრუნდებით.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ირაკლი კეიდია



ლაშა გამყრელიძე



ეროვნული ნაკრები

# გაისად აგვისტოში ვითამაშებთ

ევროპის კალათბურთის ფედერაციამ (ფიბა-ევროპა) 2009 წლის კალენდარი დაამტკიცა. რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ეროვნული ნაკრების მატჩების განრიგია.

გადაწყდა, რომ გაისად **იგორ კოკოშკოვის** შეგირდები უჩვეულოდ ადრე, 15 აგვისტოს დაიწყებენ ოფიციალურ მატჩებს. აღნიშნული გრაფიკი ჩვენი გუნდისთვის დიდად სახარბიელო არ უნდა იყოს. მოსამზადებლად ისედაც ცოტა დრო გვქონდა ხოლმე და ახლა კიდევ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. თუმცა, თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ეს პრობლემა ჩვენს მეტოქეებსაც შეაწუხებს. ჯგუფური ეტაპის დარჩენილი ოთხი მატჩის განრიგი ასეთია:

| 2009 წელი |
|---|
| 15 აგვისტო |
| საქართველო-ლუქსემბურგი |
| 19 აგვისტო |
| საქართველო-ირლანდია |
| 22 აგვისტო |
| საქართველო-სლოვაკეთი |
| 26 აგვისტო |
| საქართველო-შვედეთი |

ოთხივე მატჩს თბილისში ჩავატარებთ. თუ ჯგუფიდან გავალთ, ელიტაში გადასასვლელ პლეი-ოფს 5 და 9 სექტემბერს ვითამაშებთ. ვისაც უკეთესი პირადი მაჩვენებლები ექნება, პლეი ოფის საპასუხო მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს.

**კობა ხატისაშვილი**

ლეგიონერი. პრეზიდენტის თასი

# ცინცაძეს ბოლოს რომ ჩაეგდო, ჟალგირისს დაამარცხებდა

**ლიტვაში** გაიმართა პრეზიდენტის თასის გათამაშება, რომელიც ისეთივე პრელუდიაა ბალტიის ლიგისა, როგორიც დუდუ დადიანის მემორიალი საქართველოს ჩემპიონატისა.

პრეზიდენტის თასის გათამაშებაში ძალები სცადა ბალტიის ქვეყნების სამმა ჩემპიონმა – ლიტვის "ჟალგირისმა", ლატვიის "ბარონსმა" და ესტონეთის "ტარტუ როკმა". მეოთხე მონაწილე ლიტვის "რიტასი" იყო, რომელიც ტურნირზე ბალტიის ლიგის ფინალისტის სტატუსით მოხვდა.

საუბარი ბოლოდან დავიწყოთ და ვთქვათ, რომ ტურნირი სწორედ "რიტასმა" მოიგო. მან ფინალში ლატვიის ჩემპიონი "ბარონსი" 80:78 დაამარცხა.

ახლა ქართველთათვის საინტერესოზე, "ტარტუ როკზე". როგორც მიხვდით, ესტონეთის ჩემპიონი ფინალში ვერ მოხვდა. იგი ნახევარფინალიდან "ბარონსმა" გამოაგდო – 86:73. შეგახსენებთ, რომ "ბარონები" წლეულს "როკერთა" გამამწარებლებად იქცნენ: აპრილში ევროთასის ფინალისკენ გზა "როკს" სწორედ "ბარონსმა" მოუჭრა.

პრეზიდენტის თასის ნახევარფინალში **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუმ" ლატვიის ჩემპიონს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, თანაბარ თამაშში გამარჯვების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა. სირენამდე 5 წუთი რჩებოდა, როცა გიორგი ცინცაძემ ორქულიანით ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა (69:72), მაგრამ ამ ეპიზოდის შემდეგ ორმა წუთმა ისე გაიარა, რომ "როკერებს" ქულა არ ჩაუგდიათ, "ბარონებმა" კი სხვაობა 10 ქულამდე გაზარდეს და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს.

"ტარტუს" გამოცდილ გამთამაშებელ **ტანოკა ბირდთან** ერთად გიორგი ცინცაძე გუნდის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და იმავე ტანოკასთან ერთან "როკის" ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო. ბირდმა 18 ქულა და 6 მოხსნა ჩაიწერა, ხოლო გიორგიმ 33 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა და 3 ჩაჭრა მიითვალა. ბუმ 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო ერთადერთი შორეული ტყორცნა მიზანს ააცილა.

რადგან სათაურში არ ვახსენეთ, იმასაც მიხვდებოდით, რომ "ტარტუ როკის" შემადგენლობაში არ უთამაშია საქართველოს ნაკრების ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს, რომელმაც გუნდთან კონტრაქტი გასულ კვირას გააფორმა. ვიქტორი ჯერ საქართველოშია, სავიზო ფორმალობებს აგვარებს და "როკს" უახლოეს დღეებში შეუერთდება.

ფინალში ვინ-ვის წინააღმდეგ ითამაშა და თასს ვინ დაეუფლა დასაწყისში ვთქვით. ახლა თქვენს ყურადღებას მესამე ადგილისთვის მატჩზე შევაჩერებთ. ეს მატჩი ქართველი მკითხველის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ "ტარტუ როკმა" ევროგრანდი "ჟალგირისი" კინაღამ დაამარცხა და მეორეც – მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე გამარჯვების გასაღები გიორგი ცინცაძის ხელში იყო, მაგრამ ქართველმა გამთამაშებელმა ორქულიანი ტყორცნა ვერ გამოიყენა და "ჟალგირისმა" კინკილა ქულით გაიმარჯვა – 73:72.

რადგან გადამწყვეტი სროლის შესრულების პატივი წილად ცინცაძეს ხვდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მანამდეც კარგად ისროდა. ვარაუდს ზურგს სტატისტიკაც უმაგრებს: ბუმ (ცინცაძის მეტსახელი) 35 წუთი ითამაშა, 11-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი გამოიყენა და 15 ქულას მოუყარა თავი. იგი "როკის" მთავარი მექულე არ გამხდარა (ტანოკა ბირდმა 19 ჩააგდო), სამაგიეროდ, გიორგი ორივე გუნდში საუკეთესო იყო მოხსნებში – 8 დაცვითი მოხსნა მიითვალა. 15 ქულასა და 8 მოხსნას ცინცაძემ 3 შედეგიანი გადაცემა და 12 შეცდომა მიამატა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული



ხელბურთი. ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან

# მოგებული დერბი, წითელი ბარათი და სანაკრებო სევდა

მეორე წელიწადია, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ხელბურთელი ვლადიმერ რუსია რუმინეთის „დინამოში" თამაშობს. ნაკრების მსგავსად, იგი ბუქარესტულ კლუბშიც წარმატებით გამოდის. ამ უქმეებზე, „დინამომ" პრინციპულ დერბიში მოუგო „სტიაუას" და ქართველმა ლეგიონერმა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. გუშინ რუსიას რუმინეთში შევეხმიანეთ.


ვლადიმერ რუსია

- ამ სეზონისთვის ძალიან კარგად მოვემზადეთ. რუმინეთში გავიარეთ შეკრება და ოთხ ტურნირზე ვითამაშეთ, საიდანაც სამში პირველობა გვხვდა წილად. განსაკუთრებულად არ გავძლიერებულვართ. რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრების 4 ხელბურთელი და ერთი მაკედონიელი მოთამაშე დავიმატეთ. ძირითადი ბირთვი იგივეა, რომელიც შარშან გვყავდა, მაგრამ ახლა უფრო შეთამაშებულები ვართ და კარგადაც მიგვდის საქმეები.

**- რა მიზანს ისახავთ?**

- სეზონის წინ გუნდის ხელმძღვანელობამ გვითხრა, რომ მინიმუმ, ხუთეულში უნდა მოვხვდეთ. ამჟამად მეოთხე ადგილზე ვართ და წინ მყოფ სამეულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩებით. თუკი ასე გავაგრძელებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაც სავსებით შესაძლებელია.

**- რეალურად, რამდენი გუნდია საჩემპიონო?**

- ჩვენი ჩათვლით ხუთი. ერთმანეთს თითქმის არაფერში ჩამოვუვარდებით. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო სტაბილურად ჩაატარებს სეზონს.

**- სეზონის წინ, „დინამოს" ხელმძღვანელობამ მილიონიანი ბიუჯეტი ალგითქვათ. ამ კუთხით თუ ჯობნით კონკურენტებს?**

- სამწუხაროდ, ეგ დაპირება დაპირებად დარჩა. მცირე ფინანსური კრიზისი შეგვექმნა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა გვეუბნება, რომ ეს დროებითია და დანაპირები მალე ასრულდება.

**- საკუთარ თავზე რას იტყვი? საკმაოდ ბევრი გოლი გაგაქვს...**

- ეგ კითხვა მუდამ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს, რადგან საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მჩვევია. თუმცა, რახან მკითხე, გიპასუხებ, რომ „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად ვითვლები.

**- რამდენიმე დღის წინ „სტიაუა" დაამარცხეთ. როგორ წარიმართა თამაში?**

- როგორც ყველა დერბი, თავიდან ბოლომდე ძალიან დაძაბული მატჩი იყო. პირველი ტაიმი 16:16 დამთავრდა. შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კი ხუთბურთიანი სხვაობით დავწინაურდით და უმალვე ამოქმედდნენ მსაჯები. თუმცა, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბეთ და მეტოქეს თავის მსაჯ-მაყურებლიანად 33:32 მოვუგეთ.

სხვათა შორის, „სტიაუა" რუმინეთის მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ წლეულს ცუდად დაიწყო სეზონი და ახლა ჩვენზე უკანაა. შემდეგ ტურში შოთა თევზაძის „ბაკაუს" ხვდება და ვიმედოვნებ, შოთას გუნდთანაც წააგებს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თევზაძე საკმაოდ ძლიერად თამაშობს და თავის პოზიციაზე რუმინეთში ერთ-ერთი საუკეთესოა..

**- „სტიაუასთან" შვიდი გოლი გაიტანე. შენზე მეტი თუ გაიტანა ვინმემ?**

- „დინამოდან" არა. თუ არ ვცდები, ამდენი გოლი არც „სტიაუადან" გაუტანია ვინმეს.

**- მერე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ არ დაგასახელეს?**

- არა, აქ არ ასახელებენ მატჩის საუკეთესო ხელბურთელს. თუმცა, მსაჯებმა გამომარჩიეს და ბოლო წამებზე წითელი ბარათით „დამაჯილდოეს" (იცინის).

**- გეკუთვნოდა წითელი ბარათი?**

- კი, ამაში ნამდვილად მართლები იყვნენ მსაჯები. მეტოქემ ბოლო შეტევა წამოიწყო, საფინალო სირენამდე წამები რჩებოდა, „სტიაუას" ერთ-ერთი ხელბურთელი საგოლე პოზიციაზე გადიოდა და აკრძალული ხერხით ავართვი ბურთი. წითელი ბარათი მომცეს და ამის გამო შემდეგ მატჩს გამოვტოვებ. სამაგიეროდ, მეტოქეს თამაშის გადარჩენის შანსი არ მივეცი.

**- ბუქარესტული დერბი რა ვითარებაში იმართება?**

- თითოეული მატჩი უკიდურესად დაძაბულია ხოლმე. მოედანზე ხელბურთელები „ვხოცავთ" ერთმანეთს, ტრიბუნებზე კი გულშემატკივრები. საერთოდ, რუმინეთში ყველა სათამაშო სახეობაში არსებობს „დინამოსა" და „სტიაუას" კლუბები. თითოეულ მათგანს აქვს დაუწერელი კანონი - სეზონში ყველა მატჩიც რომ წააგოს, დერბი აუცილებლად უნდა მოიგოს.

**- ხუთ ტურში 25 გოლი დაგიგროვდა. ბომბარდირობისთვის ბრძოლას არ აპირებ?**

- ჩემსას კი შევეცდები, მაგრამ ახლა ძნელია გათვლები. სიმართლე რომ გითხრათ, ამის გაკეთება გამიჭირდება, რაკილა პენალტებს არ მარტყმევინებენ. მართალია, შვიდმეტრიანებს ურიგოდ არ ვასრულებ, მაგრამ მწვრთნელმა სხვას მიანდო ეს საქმე. ბომბარდირები კი ძირითადად, პენალტისტები ხდებიან ხოლმე.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. სამწუხაროდ, წლეულს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აღარ ვითამაშებთ და სავარაუდოდ, გაისად ისევ „ჩელენჯ ტროფს" დავჯერდებით...**

- ძალიან დამწყდა გული, ასე რომ მოხდა. საქართველო-რუსეთის ომმა ხელბურთიც აზარალა, მაგრამ რას ვიზამთ, ამით ხომ არ მთავრდება ცხოვრება? რაც შეეხება ნაკრების საგაისო გეგმებს, ეს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია. „ჩელენჯ ტროფი" კი არა, უბრალო საერთაშორისო ტურნირიც რომ იყოს, თუ ჯანმრთელი და საჭირო ვიქნები, ნაკრებში ყოველთვის ჩამოვალ.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი. შესარჩევი ტურნირი

# მადლობა ჩემპიონებს

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში რამდენიმე დღის წინ მონტენეგროში დასრულებულ ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის ტრიუმფატორებთან შეხვედრა გაიმართა. შეგახსენებთ - სამხრეთ სლავთა ქვეყანაში ორ ასაკობრივ ჯგუფში - თოთხმეტ და თექვსმეტწლამდელთა შორის პირველობა არავის დაუთმეს **მერი არაბიძემ** და **ნაზი პაიკიძემ**. წარმატება საქვეყნოდ გამოსაჩენია და, ცხადია, რომ გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ უფრორე ის გვახალისებს, რაც ჩვენებური ჭადრაკის უკვდავებას დაგვიმტკიცებს. ამ გოგონათა წარმატება სწორედ რომ ზემოთქმულის დასტურია და აფერუმ, რომ ამგვარად კვეხნის საფუძველი გვაქვს... „ლელოს" ერთგული მკითხველი ევროპის ჩემპიონატის შედეგებს ზედმიწევნით იცნობს და აღარ დავწვრილმანდებით, - ჩვენი დღევანდელი სათქმელი გუშინდელი პრესკონფერენციაა, რომელიც საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა მოაწყო. შეხვედრაზე ლამის ყველა ის მოჭადრაკე მოვიდა, ვინც მონტენეგროში ასპარეზობდა. შეხვედრა ძალიან გულთბილი გამოდგა და კიდევ ერთხელ გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა ამ ბავშვებისადმი. ცხადია, ჩემპიონებად ყველა არ დაბრუნებულა, მაგრამ ძალისხმევა არავის დაუშურებია და ამისთვისაც ეკუთვნით პატივისცემა. თქვა კიდეც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი გიორგაძემ** თავის სიტყვაში - *ამ ბავშვებს მიღწეულისთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმითო...* მართლაც ასეა, მაგრამ ქართველები მეტს ვართ დაჩვეული და არც ამ მომენტის აღნიშვნა დავიწყებია გიორგაძეს: - *რომ არა ბოლო ტურში რამდენიმე ჩვენიანის მოულოდნელი შეფერხება, ბევრად მეტი მედლით დავბრუნდებოდითო...* საქმე ის არის, რომ დასკვნით ტურში რამდენიმე ქართველმა მოჭადრაკემ დადებითი შედეგი ვერ აჩვენა და საპრიზოს მიღმა დარჩა... მიუხედავად ამისა, ქართველთა მონაგარი მაინც სერიოზულ შედეგად დაფიქსირდა.

**გოგი მაჭარაშვილი**, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი: - *რომ არა ბოლო ტურში დაკარგული ქულები. მედალი ბევრად მეტი გვექნებოდა. ჩვენ ყოველთვის ვიკავებდით ადგილს სამეულში - არ ჰქონდა მნიშვნელობა, მსოფლიოს ჩემპიონატს ვთამაშობდით თუ ევროპისას... ამჯერად მესამე ადგილზე გავედით რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ რუსეთს 150 მონაწილე ჰყავდა, უკრაინასაც არანაკლები; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ბევრად გვჯობდნენ რაოდენობრივად - მხოლოდ 18 ქართველი მოჭადრაკე ასპარეზობდა მონტენეგროში. მესამე ადგილზე მედლების საერთო რაოდენობით გავედით, თორემ ოქროს მედლებით მხოლოდ რუსეთმა გაგვისწრო და, ვფიქრობ, რომ ეს უდიდესი მიღწევაა. ამისათვის მადლობა ჩვენს ჩემპიონებს და იმათაც დიდად ვემადლიერები, ვინც საერთო გამარჯვებაში მცირე წვლილი მაინც შეიტანა. არ შემიძლია გვერდი ავუარო დასვენების დღეს გამართულ გუნდურ ჩემპიონატს თოთხმეტ და თვრამეტწლამდელთა შორის სწრაფ ჭადრაკში. ორივე ასაკი ქართველებმა მოიგეს! ერთი მატჩიც არ დაუთმიათ, მაშინ, როცა, მარტო თვრამეტწლამდელებში რუსეთს ოთხი გუნდი ჰყავდა გამოყვანილი. ჩვენ უძლიერეს ნაკრებს ვძლიეთ და, საერთოდაც, ორივე ასაკში ისე გავიმარჯვეთ, ერთი მატჩიც კი არ წაგვიგია.*



პრესკონფერენციაზე მადლობა უთხრეს იმ ადამიანებს და ორგანიზაციებს, ვინც ხელი შეუწყო მონტენეგროში ქართველ მოჭადრაკეთა გამგზავრებას. თუკი ასეთივე მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება, მაღალი შედეგებიც არ დააყოვნებს; ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ყველას აქვს და ჩვენც მივენდოთ ქართული ჭადრაკის მესვეურთა ოპტიმიზმს...

**ზვიად შათირიშვილი**

ქამრიანი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პრეზიდენტის ოქრო და გავაშელიშვილის ვერცხლი

კორეის ქალაქ ბუსანში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ქამრიან ჭიდაობაში. აღნიშნული სახეობა სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ ჭიდაობათა სინთეზია და წლეულს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფილა) გაწევრდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე 29 ქვეყნის სპორტსმენები ცდიდნენ ბედს. მათ შორის ორი ქართველი იყო - წლევანდელი ევროპის ჩემპიონი **ბელდუხ გავაშელიშვილი** (მძიმე წონა) და საქართველოს ქამრიანი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **აკაკი ბორცვაძე** (აბსოლუტური). ვეტერანი პრეზიდენტის ჭიდაობა უკვე აღარ გვიკვირს. ასაკის მიუხედავად, მას აქამდეც უჭიდავია მაღალი რანგის ტურნირებზე. ამჯერად კი ბატონმა აკაკიმ სულაც პლანეტის ნარჩევი მოჭიდავეები დაიბრიყვა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რაც გვარიანი სენსაცია და წარმატებაა.

ანალოგიურ შედეგამდე სულ მცირე დააკლდა გავაშელიშვილს. იგი მხოლოდ ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**კობა ხატისაშვილი**

პარაოლიმპიადა

# იაგო გორგოძე: ლონდონში მედლისათვის ვიბრძოლებ

პეკინში ზაფხულის 29-ე ოლიმპიადის დამთავრებიდან ორი კვირის შემდეგ, მე-13 პარაოლიმპიური თამაშები (ოლიმპიადა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს შორის) გაიმართა, სადაც საქართველოს სპორტის ისტორიაში, ჩვენი დელეგაცია პირველად მონაწილეობდა. დელეგაციას წარმოადგენდნენ პირველი ქართველი პარაოლიმპიელი - **იაგო გორგოძე**, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **დავით მაისურაძე** და მისიის ხელმძღვანელი, პარაოლიმპიური კომიტეტის ვიცე- პრეზიდენტი - **გიორგი ნასიძე**.

იაგო გორგოძემ წოლჭიმში (მტანგის დაწოლილ მდგომარეობაში აწევა) 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და 140 კილოგრამის დაძლევით მე-8 ადგილი დაიკავა. დავძენთ, რომ თამაშებში 150 ქვეყნის სპორტსმენი გამოდიოდა.

სპორტის დეპარტამენტში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც საუბარი იყო სამომავლო გეგმებზე.

**დავით მაისურაძე:** *"პეკინში რომ მივდიოდით ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ წინ ასეთი მასშტაბური ღონისძიება გველოდა. თამაშებზე უდიდესი გამოცდილება მივიღეთ, ვფიქრობ, მომავალ პარაოლიმპიადაზე გაცილებით უკეთესი შედეგისათვის შევძლებთ ბრძოლას. საქართველოს პარაოლიმპიურ კომიტეტს მნიშვნელოვანი გეგმები აქვს. გიორგი ნასიძემ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა კომიტეტის მუშაობა. სპორტის დეპარტამენტი მაქსიმალურად გვიდგას მხარში და იმედია, ერთიანი ძალისხმევით მეტს შევძლებთ."*

**გიორგი ნასიძე:** *"პეკინში პარაოლიმპიადა იმავე სპორტულ არენებზე გაიმართა, სადაც აგვისტოში ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. ჩვენც ოლიმპიურ სოფელში ვცხოვრობდით და თავს ნამდვილ ოლიმპიელებად ვგრძნობდით. დებიუტანტის კვალობაზე მივიღეთ დიდი გამოცდილება. ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, 2012 წლის ლონდონის პარაოლიმპიადისათვის მოვემზადოთ და უკვე რამდენიმე სპორტსმენით წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე. ვიმუშავებთ იმ მიმართულებითაც, რომ გუნდურ სახეობაშიც გვყავდეს წარმომადგენლები. გულისტკივილით მინდა ვთქვა იმის შესახებ, რაც თბილისის აეროპორტში შეგვემთხვა. ჩვენ აეროპორტში ინვალიდის მომსახურებისთვის დამატებითი თანხა გადაგვახდევინეს, რაც არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება."*

**იაგო გორგოძე:** *"ოლიმპიადაზე მოხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ბედნიერი ვარ, რომ პეკინში საქართველო წარმოვადგინე. მიღებული გამოცდილება სამომავლოდ წამადგება. შემიძლია ვთქვა, რომ თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა შემდეგ ოლიმპიადაზე ნამდვილად ვიბრძოლო მედლისთვის. მხარდაჭერისთვის მსურს ყველას მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომლის მხრიდან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ".*

**დავით ნამგალაური: (სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე):** *"იაგო ჩვენთვის ისეთივე ოლიმპიელია, როგორებიც გუნდის სხვა წევრები არიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ 150 ქვეყნიდან, რომლებიც პარაოლიმპიადაზე გამოდიოდნენ, წარმომადგენელი საქართველოსაც ჰყავდა. ბევრი ქვეყანა სულაც ლიცენზიის გარეშე დარჩა, იაგო გორგოძემ კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნაჩვენები მაღალი შედეგებით მოახერხა პეკინში მოხვედრა. როგორც ვიცით, პარაოლიმპიურ კომიტეტს მნიშვნელოვანი გეგმები აქვს სამომავლოდ. რაც მთავარია, ერთობლივი ძალისხმევით პირველი სერიოზული ნაბიჯი გადავდგით და, იმედია, მომავალში უფრო დიდი წარმატებები გვექნება."*



**გიორგი ჭანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ცაბელი წავიდა



მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა 38 წლის გერმანელმა ველომრბოლმა, სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო სპრინტერმა **ერიკ ცაბელმა**. გერმანელი "ტურ დე ფრანსის" რეკორდსმენია მოპოვებული მწვანე მაისურების რაოდენობით: 1996 წლიდან 2001 წლამდე, ცაბელი ზედიზედ ექვსჯერ გახდა ფრანგული ველომარათონის ყველაზე აქტიური მონაწილე.

ერიკ ცაბელი დასავლეთ ბერლინში - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიბადა. მამამისი ასევე ველოსპორტით იყო დაკავებული და მისი გატაცება შვილსაც გადაედო. სამოყვარულო დონეზე ნაჩვენები კარგი შედეგების შემდეგ, 22 წლის ერიკი პროფესიონალებში გადავიდა და ცნობილ გუნდ "ტელეკომ/T-მობილთან" გააფორმა კონტრაქტი. 90-იანი წლების ბოლოს, ცაბელი იტალიელ **მარიო ჩიპოლინისთან** ერთად პროფესიული ველოსპორტის საუკეთესო სპრინტერად ითვლებოდა.

მაგრამ ჩიპოლინისგან განსხვავებით, ცაბელი მხოლოდ სპრინტერობით არ შემოიფარგლებოდა და მთაშიც საკმაოდ კარგად გამოდიოდა. მას არაერთხელ ჩაუცვამს "ტურ დე ფრანსის" ლიდერის ყვითელი მაისურა. გერმანელი ველომრბოლის ყველაზე დასამახსოვრებელი წარმატება 2001 წელს, ფრანგული ველომარათონის მწვანე მაისურის მოპოვება იყო, რომლისთვისაც ის ბოლო ეტაპამდე ებრძოდა ავსტრალიელ სტიუარტ ო'გრეიდის.

თუმცა ეს ეფექტურობა ხანდახან არაპატიოსანი გზებით მიიღწეოდა. ჯერ კიდევ 1994 წლის აპრილში ცაბელი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს და 3 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს. 2006 წელს, "ტელეკომიდან" "მილრამში" გადასვლის შემდეგ, გერმანელი სინდისმა შეაწუხა და აღიარა, რომ 1996 წელს, "ტურ დე ფრანსის" პირველ ეტაპებზე ერითროპოეტინს იღებდა. ცაბელის სიტყვებით, ის დოპინგს ერთი კვირის განმავლობაში იყენებდა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტა მიღება, რადგან ერითროპოეტინმა მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. 10-12 წლის წინ, "ტელეკომში" ამ დოპინგის მიღება ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

რა თქმა უნდა, ცაბელის აღიარებამ ველოსპორტის სამყაროში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი აქებდნენ ერიკს ამ ნაბიჯის გამო, მეორენი კი პირიქით, კიცხავდნენ პრობლემის საქვეყნოდ გამომზეურებისთვის. მაგრამ ყველა ერთ აზრამდე მიდიოდა: მოქმედ სპორტსმენს მამაცი ხასიათი უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ დოპინგის გამოყენება აღიაროს. კითხვაზე, რატომ აღიარა აკრძალული პრეპარატის მიღების ფაქტი, ცაბელმა უპასუხა - მე შვილი მეზრდება, რომელიც ველოსპორტში ვარჯიშობს და მინდა, რომ პროგრესს მხოლოდ ვარჯიშის ხარჯზე მიაღწიოსო.

ცაბელს "ტურ დე ფრანსის" 12 და "ვუელტას" 8 ეტაპი აქვს მოგებული. მის ანგარიშზეა ერთდღიან კლასიკურ რბოლებში გამარჯვებები: "მილანი-სან რემო" (1997, 1998, 2000, 2001), "პარიზი-ტური" (1994, 2003, 2005), "ამსტელ გოლდ რეისი" (2000).

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა

# გებრეს ისტორიული რეკორდი

გასულ უიქენდზე ლეგენდარულმა ეთიოპიელმა სტაიერმა ჰეილე გებრსელასიემ მარათონში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. აფრიკელმა მორბენალმა ისტორიული შედეგი დააფიქსირა - ის პირველი სპორტსმენია, ვინც 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათსა და 4 წუთზე ადრე გაირბინა. ის, რომ გებრსელასიე რეკორდის დამყარებას აპირებდა, მან ბერლინის მარათონის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

*"ბერლინი ჩემთვის ფეხბედნიერი ქალაქია,* - განაცხადა ეთიოპიელმა, რომელმაც თავისი პირველი რეკორდი მარათონში (2:04.26) ერთი წლის წინ, სწორედ გერმანიის დედაქალაქში დაამყარა. - *ვიცი, რომ შემიძლია დისტანციის 2 საათსა და 4 წუთზე ნაკლებ დროში გარბენა, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ხვალ ამის გაკეთებას მოვახერხებ. ძალიან ბევრმა ფაქტორმა უნდა განაპირობოს ასეთი მაღალი შედეგის დაფიქსირება".*

როგორც ჩანს, ყველა ფაქტორმა გებრსელასიეს სასარგებლოდ ითამაშა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 2:04 "დაახურდავა" - მის მიერ ნაჩვენები დრო 2 საათს, 3 წუთსა და 59 წამს უდრიდა, რაც 27 წამით ნაკლებია წინა რეკორდზე.

*"უზომოდ ბედნიერი ვარ. არადა, ორი კვირის წინ პრობლემები შემექმნა: კუნთების ანთება მქონდა და ერთი კვირა ვარჯიშს ვერ ვახერხებდი. მხოლოდ ერთი კვირის წინ დავიწყე ფორმის აღდგენა და საბედნიეროდ, ყველაფერი წარმატებით დასრულდა. ბერლინი მართლაც ბედნიერი ქალაქია ჩემთვის!"*

მთელი დისტანციის განმავლობაში, გებრსელასიე თავისი შარშანდელი გრაფიკის გაუმჯობესებით მირბოდა. აი როგორ გამოიყურება ეთიოპიელის რბენის სტენოგრამა: 5 კმ - 14.35; 10 კმ - 29.13; 15 კმ - 44.03; 20 კმ - 58.50; ნახევარმარათონი - 1:02.05; 25 კმ - 1:13.41; 30 კმ - 1:28.27; 35 კმ - 1:43.05;. 40 კმ - 1:57.34; 42 კმ 195 მ - 2:03.59.

ბერლინის მარათონი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია მსოფლიოში და ის მხოლოდ "დიდ სამეულს" - ლონდონის, ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს მარათონებს ჩამორჩება. სამაგიეროდ, ბოლო წლებში მსოფლიოს რეკორდები სწორედ გერმანიის დედაქალაქში მყარდება. გებრსელასიემ ზედიზედ მესამედ მოიგო ბერლინის მარათონი - ასეთი შედეგისთვის აქამდე არავის მიუღწევია.

ეთიოპიელს კარიერაში სხვადასხვა დისტანციაზე ჯამში მსოფლიოს 18 რეკორდი აქვს დამყარებული.

**ბერლინი. საერთაშორისო მარათონი.** 1. გებრსელასიე (ეთიოპია) - 2:03.59. 2. კვამბაი (კენია) - 2:05.36. 3. კამატი (კენია) - 2:07.48. 4. კიპჩუმბა (კენია) - 2:09.03. 5. ადემასუ (ეთიოპია) - 2:12.02. 6. ნგოლეპუსი (კენია) - 2:12.07.




## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| რაშდენი-ალტრინჩემი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ფროსინონე-ანკონა | 1:0 |
| ბრეშია-პარმა | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ნიურნბერგი-დუისბურგი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კლერმონი-სტრასბურგი | 2:2 |
| **ბელგია** | |
| მეხელენი-დენდერი | 4:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბელენენსეში-ლეიქსოეში | 0:1 |
| **დანიის თასი** | |
| აკადემისკი-მიდტიულანდი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტაბეკი-მიოლდე | 4:0 |
| **შვედეთი** | |
| ერებრუ-ნორჩოპინგი | 2:2 |
| სუნდსვალი-გიოტებორგი | 0:5 |
| **II დივიზიონი** | |
| ენჩოპინგი-ბუნკეფლო | 3:2 |
| ლანდსკრონა-მიალბიუ | 4:2 |
| კვიდინგი-იორგრიტე | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| შაფჰაუზენი-სტ. გალენი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გაზიანთეფი-გირეშუნი | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სპარტა | 3:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ვიჰრენი-სლივენი | 0:2 |
| **არგენტინა** | |
| არგ. ხუნიორსი-ნიუელსი | 0:4 |
| გოდოი-ბოკა | 4:1 |
| **ბრაზილია** | |
| ბოტაფოგო-ფლუმინენსე | 1:1 |
| ინტერნასიონალი-გრემიო | 4:1 |
| სანტოსი-პორტუგეზა | 1:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. ჩილე-ანტოფაგასტა | 3:0 |
| **კოლუმბია** | |
| ამერიკა-მილიონარიოსი | 1:0 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. პერეირა | 0:1 |
| ონსე კალდასი-ენვიგადო | 2:1 |
| ბუკარამანგა-დეპ. კუინდიო | 0:0 |
| დეპ. პასტო-ტოლიმა | 1:2 |
| ჩიკო-ლა ეკვიდადი | 0:1 |
| ატ. უილა-დეპ. კალი | 0:1 |
| **პერუ** | |
| სენსიანო-ალ. ატლეტიკო | 2:1 |
| ხუან აურიჩი-სესარ ვალეხო | 1:3 |
| ალ. ლიმა-ატ. მინერო | 1:2 |
| **მექსიკა** | |
| ამერიკა-კრუს ასული | 2:0 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მვდ | 7:4 |
| აკ ბარსი-სიბირი | 8:4 |
| ბარისი-ატლანტი | 3:4 |
| ლადა-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 4:2 |
| სკა-სპარტაკი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-მოდო | 5:4 |
| ფრიოლუნდა-როგლე | 4:1 |
| ჰვ71-ლინჩოპინგი | 1:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მეცი** | |
| აკასუსო-კანიასი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-შარდი | 7:6, 7:5 |
| ანჩიჩი-გულბისი | 6:7, 4:6 |
| მოია-მონტანიესი | 6:1, 4:6, 6:4 |
| **ATP. ტოკიო** | |
| დელიჩი-სოედა | 6:4, 6:2 |
| სუძუკი-სუგიტა | 6:3, 7:6 |
| ლი-ივაბუჩი | 6:1, 6:4 |
| მინარი-ზვერევი | 7:6, 2:6, 6:2 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| ნა ლი-ვაიდიშოვა | 6:1, 6:2 |
| ა. ბონდარენკო-დანიილიდუ | 7:6, 6:1 |
| ბამერი-მალეკი | 4:6, 6:2, 7:5 |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| ლისიცკი-საიდხოდაევა | 6:0, 6:1 |
| რიბარიკოვა-ვოერლე | 6:4, 6:4 |
| შაფათავა-ლესნი | 6:3, 4:6, 6:4 |
| **WTA. ტოკიო** | |
| დომახოვსკა-ნაკამურა | 6:4, 7:5 |
| მორიტა-ერაკოვიჩი | 6:1, 6:4 |
| კანეპი-საფაროვა | 4:6, 6:3, 6:4 |

## TV სპორტი

**30 სექტემბერი. სამშაბათი**

### რუსთავი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-ლიონი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:00 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
13:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 საფეხბურთო პროგრამა.
18:05 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვილიარეალი-სელტიკი.
02:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
04:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
05:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბატეიუვენტუსი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკოსევილია.
08:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-იუვენტუსი.
11:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუევოლფსბურგი.
14:20 სპორტდოსიე. გოლფი.
14:50 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ტოტენჰემი.
17:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. I ტურის მიმოხილვა.
18:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა.
22:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-ლიონი (LIVE).
02:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
04:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:10 სპორტდოსიე. გოლფი.
05:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### EUROSPORT

10:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 სნუკერი. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჩელსი-ბორდო.
15:45 სნუკერი. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ჯ. რუისი (აშშ). ბერლინი. გერმანია.
23:00 პროფესიული კრივი. პირველი საშუალო წონა. პ. ვოლაკი (პოლონეთი)-ი. სმიტი (აშშ). ნიუ იორკი. აშშ.
01:00 რალი. IRC-ის ახალი სერია. იტალია.
01:30 კატერები. მსოფლიოს ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
02:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
12:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
13:00 მულტისპორტი.
13:15 ახალი ამბები.
13:30 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ჰამბურგი-უნირეა.
16:30 სპიდვეი. ჩეხეთის გრანპრი.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-იაპონია. ბრაზილია (LIVE).
19:00 ახალი ამბები.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-აშშ. ბრაზილია (LIVE).
21:00 მაუნტინბაიკი.
21:30 მულტისპორტი.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
05:00 ახალი ამბები.

კრივი

# ბებრების ჩხუბი


მაიორგას მაგრად მოხვდა

კალიფორნიის შტატის ქალაქ კარსონში ორი ბებერი ვარსკვლავის - 37 წლის ამერიკელი **შეინ მოსლისა** და 34 წლის ნიკარაგუელი **რიკარდო მაიორგას** ბრძოლა გაიმართა. ეს გახლდათ პირველ საშუალო წონაში WBA-ის ნაკლებად პრესტიჟული საკონტინენტთაშორისო ტიტულისთვის დაპირისპირება. მიუხედავად ამისა, პუბლიკის ინტერესი მაინც დიდი იყო. მოსლისა და მაიორგას კარიერაში ბევრი დასამახსოვრებელი ბრძოლა ჰქონიათ და უამრავი ტიტულიც აქვთ მოპოვებული (მოსლი სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონია, მაიორგას ორ წონაში უმარჯვია). მაგრამ მათი საუკეთესო წლები ჩავლილია და მაყურებელი ხარისხიანი კრივის ხილვას ნაკლებად ელოდა. მან ბილეთი მოკრივეების სახელის გამო უფრო შეიძინა.

ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტად შეინ მოსლი ითვლებოდა, მაგრამ უკვე პირველ რაუნდში გამოჩნდა, რომ ამერიკელს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდებოდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ვიზუალურად მაიორგა მოსლიზე უფრო ბრგედ გამოიყურებოდა. ნიკარაგუელს არც უფიქრია, ისე გადავიდა პირველი წამებიდან შეტევაზე. თავდაცვითი რეფლექსებით გამორჩეული მოსლი ყოველთვის ვერ ახერხებდა მოწინააღმდეგის დარტყმების მოგერიებას.

მეორე რაუნდში ცოტა ხნით სტატუს კვო აღდგა, მაგრამ შემდეგ მაიორგამ მწვრთნელების დავალების შესრულება გააგრძელა. მის დამრიგებელ **რიგობერტო გარიბალდის** კარგად ახსოვდა, რომ **ვერნონ ფორესტიც** და **რონალდ რაიტიც** გამუდმებით უტევდნენ მოსლის და უკან დახევას აიძულებდნენ. ასეთი ზეწოლის პირობებში კი ამერიკელი ვერ ახერხებდა პასუხის გაცემას და დასწრებაზე მოქმედებას.

შეინმა ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა და "ბინძურ თამაშზე" გადავიდა. ჯერ შუბლი ჩაარტყა მეტოქეს, მეოთხე რაუნდში მუცლის ქვეშაც უთავაზა... ყველა დარწმუნებული იყო, რომ მას ეს შემთხვევით არ გაუკეთებია. სხვათა შორის, გასაკვირი იყო მაიორგას საქციელი. აქამდე არავის უნახავს, რომ მას მოწინააღმდეგის მიმართ პატივისცემა გამოეხატოს, აქ კი თითქმის არ დაურღვევია წესი, ხოლო, როცა იმავეს შეინ მოსლი აკეთებდა, მეტოქის ნაცვლად იხდიდა ბოდიშს. მეექვსე რაუნდში რიკარდოს ეს ყველაფერი ცუდად შემოუბრუნდა: თავებით შეჯახებისას მცირედი პაუზა აილო და შეინს უძლიერესი დარტყმის განხორციელების საშუალება მისცა. ნიკარაგუელმა რაუნდის დარჩენილ დროში მოსლის ყველა საფირმო დარტყმა იგემა, მაგრამ ის თავს ხრიდა და მისთვის დამახასიათებელი ჟესტით ანიშნებდა მოწინააღმდეგეს: *"მიდი, კიდევ დამარტყი!"*

ჩვეულებრივ, მაიორგას ასეთი გამოწვევა მეტოქეებს აბნევს ხოლმე, მაგრამ მსგავს ფსიქოლოგიურ ილეთზე მოსლის წამოკიდება უაზრო საქმეა. მართალია, ნიკარაგუელმა ინიციატივა დაიბრუნა, მაგრამ ეს იმის ხარჯზე მოახერხა, რომ შეინმა მეექვსე რაუნდში დიდი ენერგია დახარჯა და ოდნავ მოდუნდა. სწორედ აქ დაინახეს მაყურებლებმა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში მაიორგა. მან ისევ გადააბა დარტყმების სერიები და მოსლიმ უპირატესობა მეტოქეს გადაულოცა.

მაგრამ ბრძოლის ბოლოსკენ მაიორგას დაეტყო მანამდე გაშვებული დარტყმები. "მატადორს" სიზუსტემ უმტყუნა - უაზროდ იქნევდა ხელებს და ფეხებს ძლივს ამოძრავებდა. მოსლიმ ეს იგრძნო და უფრო თამამად გადავიდა კონტრშეტევაზე. თავიდან თითქოს საგანგაშო არაფერი იყო. უფრო მეტიც, მაიორგას ბრძოლის ქულებით მოგების კარგი შანსიც ჰქონდა... მაგრამ საფინალო გონგამდე ორი წუთით ადრე, მოსლიმ ბრწყინვალედ მოიქნია. შეინმა სისხლის სუნი იგრძნო. 40 წამის შემდეგ მაიორგამ საერთოდ ხელი აილო დაცვაზე და ყველა დარტყმას უშვებდა. ფინალისკენ დასიებული და თვალებამღვრეული მაიორგა ერთ ადგილას დადგა. მოსლის ერთი ჰუკი ეყო მოწინააღმდეგის უგონო მდგომარეობაში რინგზე დასაგდებად. რეფერი **დევიდ მენდოსამ** სწრაფი მზერა ესროლა მაიორგას და ფინალურ გონგამდე ერთი წამით ადრე ნოკაუტი დააფიქსირა.

ბედნიერი მოსლი მილოცვებს იღებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სწორედ ბოლო რაუნდს უნდა გაერკვია გამარჯვებულის ბედი. უკანასკნელი სამწუთიანი მონაკვეთის წინ ორი მსაჯი უპირატესობას ამერიკელს ანიჭებდა (107:102, 105:104), ერთი - მაიორგას (105:104). თუმცა არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მოსლი ზუსტი დარტყმების რაოდენობით დიდი უპირატესობით უგებდა ნიკარაგუელს. მაგრამ შეინის მიერ ნაჩვენები კრივის ხარისხი, მას მომავალში წარმატებაზე ფიქრის საშუალებას არ უნდა აძლევდეს. ასეთი გამოსვლით მოსლის ძალიან გაუჭირდება ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონ **ანტონიო მარგარიტოსთან** ან WBO-ის ვერსიით საუკეთესო **პოლ უილიამსთან** ბრძოლა. იმ საღამოს გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა შეინს კარიერის დასრულება ურჩიეს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს 37 წლის ამერიკელი.

# კალზაგემ ტიტული დათმო



ლეგენდარულმა ბრიტანელმა მოკრივემ **ჯო კალზაგემ** მეორე საშუალო წონაში, WBO-ის ვერსიით, საჩემპიონო ტიტული დათმო, რომელსაც 11 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა. კალზაგემ ეს ტიტული 1997 წლის 11 ოქტომბერს, თანამემამულე **კრის იუბენკის** დამარცხების შემდეგ მოიპოვა და იქიდან მოყოლებული, ეს საჩემპიონო სარტყელი 21-ჯერ წარმატებით დაიცვა. ბრიტანელი სხვადასხვა წლებში მეორე საშუალო წონაში IBF-ის, WBC-ისა და WBA-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებსაც ფლობდა, მაგრამ ახლა, 36 წლის მოკრივეს მიაჩნია, რომ მისი საკრივო კარიერის ამ ეტაპის დასრულების დრო დადგა.

*"ჩემთვის ეს რთული გადაწყვეტილება იყო,* - მოჰყავს კალზაგეს სიტყვები Allboxing.com-ს. - *საქმე ისაა, რომ მეორე საშუალო წონის ლიმიტში ველარ ვჯდები. არასოდეს დავივიწყებ კრის იუბენკთან გამარჯვებას, რომელმაც შორეულ 1997 წელს ეს ტიტული მომიტანა, მაგრამ ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩემი ცხოვრების ეს ნაწილი დასრულდა. ადრე WBA-ის ვერსიის ტიტულზეც უარი ვთქვი და ამიერიდან ნამდვილ ნახევრად მძიმეწონოსნად ჩამთვალეთ".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## სხვადასხვა

ფორმულა 1

### კულტჰარდი კომენტატორი იქნება

წლევანდელი სეზონის შემდეგ, ბრიტანელი პილოტი **დევიდ კულტჰარდი** აქტიურ სპორტულ კარიერას დაასრულებს. "რედ ბულის" პილოტმა უკვე გადაწყვიტა, რა საქმეს მოჰკიდებს ხელს ფორმულადან წასვლის შემდეგ.

შოტლანდიელი ტელეკომპანია BBC-ის კომენტატორი გახდება. მას პარტნიორობას ფორმულა 1-ის კიდევ ერთი ყოფილი პილოტი **მარტინ ბრანდლი** გაუწევს. კონტრაქტის გაფორმება სეზონის დასრულების შემდეგ არის ნავარაუდები.

### აბუ-დაბი – ახალი ღამის რბოლა?

ფორმულა 1-ის ისტორიაში ღამის პირველმა რბოლამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. სინგაპურის გრანპრი ფინანსური, სანახაობრივი და სპორტული თვალსაზრისით მომგებიანი აღმოჩნდა. ახლა ფორმულას ხელმძღვანელობა იმაზე ფიქრობს, გაისად რომელმა ეტაპმა უნდა უმასპინძლოს ღამის რბოლას.

ამბობენ, რომ აბუ-დაბის სადებიუტო გრანპრი, რომელმაც 2009 წლის სეზონი უნდა გახსნას, ასევე ღამის საათებში ჩაივლის. უიქენდის ზუსტი განრიგი ჯერ არ არის დადგენილი, მაგრამ რბოლის ორგანიზატორები და ფორმულას მეპატრონე **ბერნი ექლსტოუნი** თითქმის დარწმუნებული არიან იმაში, რომ ისტორიაში მეორე ღამის რბოლა სწორედ აბუ-დაბიში გაიმართება.

ცურვა

### ტორპი ეკიპს უჩივის

ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა მოცურავემ **იან ტორპმა** სასამართლო პროცესი წამოიწყო ფრანგულ გაზეთ "ეკიპის" წინააღმდეგ. ტორპი გამოცემას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. 2007 წლის მარტში "ეკიპმა" დაწერა, რომ ავსტრალიის ნაკრების ყოფილი წევრის ერთ-ერთმა დოპინგტესტმა მის სისხლში ტესტოსტერონის კვალი აღმოაჩინა.

გაზეთის ინფორმაციით, მაშინ საქმე დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობის გამო გაჩერდა. ტორპი "ეკიპისგან" ფულადი კომპენსაციის მიღებას ითხოვს.

### ფელპსი წლის მოცურავეა

პეკინის თამაშების გმირი **მაიკლ ფელპსი** ამერიკაში წლის საუკეთესო მოცურავედ აღიარეს. ლაურეატები ქვეყნის ცურვის ფედერაციამ დაასახელა. თავის მხრივ, წლის მწვრთნელად აღიარეს 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის დამრიგებელი **ბობ ბოუმენი**.

ფელპსი დაჯილდოების ცერემონიას არ ესწრებოდა და მის ნაცვლად პრიზი დედამისმა მიიღო.

ჰოკეი

### სელიანე ორი წელი ითამაშებს

სერიოზული ცვლილებები მოხდა 2007 წლის სტენლის თასის მფლობელ "ანაჰაიმ დაქსის" რიგებში. სახელფასო ფონდის გათავისუფლების მიზნით, "იხვების" ხელმძღვანელობამ ცნობილი მცველი **მატიო შნაიდერი** "ატლანტაში" გაუშვა, სანაცვლოდ კი ორი ფორვარდი - **ბრედ ლარსენი** და **ჩედ პეინჩოდი** და მცველი **კენ კლი** მიიღო.

ამ გარიგებით "ანაჰაიმმა" წლიურ სახელფასო ფონდში 2.5 მილიონი გამოათავისუფლა და მეორე დღეს ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფინელ ვეტერან ვარსკვლავ **ტეემუ სელიანესთან**. ორი სეზონის განმავლობაში თავდამსხმელი 5.25 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჩოგბურთი

### რუსეცკი დევისის თასისთვის ბრუნდება?

ბრიტანელი ჩოგბურთელი **გრეგ რუსეცკი**, რომელმაც ორი წლის წინ დაასრულა კარიერა, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას აპირებს.

*"მთელი ამ დროის განმავლობაში გრეგთან კონტაქტი მქონდა და ვიცი, როგორ განიცდის ის ნაკრების ყველა წარმატებასა თუ მარცხს. ჯერ არ განმიხილავს რუსეცკისთან უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი გუნდში გამოჩენა ყველაზე დადებითად იმოქმედებს. თუ გულახდილნი ვიქნებით, ცოტა ხნის წინ ავსტრიის ნაკრებთან მარცხი ჩვენთვის დიდი იმედგაცრუება იყო და ახლა კიდევ ერთი წაგების უფლება არ გვაქვს"*, - აცხადებს დევისის თასზე ბრიტანეთის ნაკრების კაპიტანი **ჯონ ლოიდი**, რომლის გუნდმაც ავსტრიასთან წაგების გამო დევისის თასის მსოფლიო ლიგის საგზური ვერ მოიპოვა.

კალათბურთი

### გორდონი ჩიკაგოში რჩება

როგორც იქნა გაირკვა "ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის **ბენ გორდონის** ბედი. ბრიტანელი კალათბურთელი ორი წელი ვერ ახერხებდა კლუბთან ახალი კონტრაქტის დეტალების შეთანხმებას, მაგრამ ახლა განაცხადა, რომ საწვრთნელ შეკრებას "ხარების" რიგებში გაივლის და მომავალ სეზონს "ჩიკაგოს" შემადგენლობაში გაატარებს.

ჯერჯერობით უცნობია, კონტრაქტის რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები.

რაგბი

### უილკინსონი ისტორიაში შევიდა

ლეგენდარული ინგლისელი მორაგბე **ჯონი უილკინსონი** ქვეყნის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. კვირას, ჯონის გუნდ "ნიუკასლისა" და "ბრისტოლის" შეხვედრაში (17:3), უილკინსონმა ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გამოიყენა და ჩემპიონატში თავისი მონაგარი 1482 ქულამდე აიყვანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა